დაპირისპირებაში გადაიზარდა, სამწუხაროდ მრავალმხრივია მიზეზები ამ ფაქტისა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის და იმპერიის კლანჭებისგან სრულად თავის დასაღწევად, საჭირო იყო სრული ეროვნულ-პოლიტიკური კონსოლიდაცია, რაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

1990 წლის მეორე ნახევარში ეროვნულ-რადიკალური პარტიები უკვე ორ ბანაკად იყოფიან. ეროვნულ რადიკალების ერთი ნაწილის გზა მრგვალი მაგიდის კონცეფცია და მათი ბრძოლაა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ხოლო ეროვნულ-რადიკალების მეორე ნაწილმა, ანუ ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა პარტიებმა უცვლელად შეინარჩუნეს იგივე ტაქტიკა. ეროვნულმა ფორუმმა ქართველი ხალხის ნების გამომხატველ ორგანოდ ეროვნული კონგრესი აღიარა. 1990 წლის 23-25 ივნისს ე.წ. ეროვნულ ყრილობაზე ფორუმში მყოფი ეროვნულ-რადიკალები, ზოგიერთი სხვა ორგანიზაციები და ინტელიგენციის ერთი ნაწილის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. კონგრესის მომხრე რადიკალებმა გადადგეს ტაქტიკური ნაბიჯი და ყრილობაზე ინტელიგენციის წარმომადგენლებიც მიიწვიეს. (შველიძე 2008:96) სამდღიანმა ყრილობამ ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. თარიღად კი 20 სექტემბერი გამოცხადდა.

ზემოთ აღწერილ ფაქტებთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია ჩემი აზრი დავაფიქსირო ეროვნული ყრილობის სახელთან დაკავშირებით. ის ფაქტი, რომ ეროვნულ-რადიკალების ნაწილმა ყრილობას ეროვნული დაარქვა გადაჭარბებულია, რამდენადაც მასში საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების მხოლოდ და მხოლოდ ნაწილი იღებდა მონაწილეობას, იმდენად ეს ყრილობა ეროვნულად ვერანაირად ვერ ჩაითვლება. ეროვნულ-რადიკალების ეს ბანაკი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, აბსოლუტურად განსხვავებული გზით წავიდა, რამაც ქვეყანაში არსებული დაპირისპირებები გაზარდა. ხელისუფლებაში მოსვლისა და ჰეგემონიის დაკარგვის შიშმა, ეროვნული კონგრესის მომხრეები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა მრგვალ მაგიდას.

მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა. მასში მონაწილეობა ამომრჩეველთა 67%-მა მიიღო. არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მიერ მიღებული შედეგით კი ლიდერობდა „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“ 1 248 111 ხმა (81 დეპუტატი) - 53,99%-ით.

ამ არჩევნების შედეგად საქართველოში ხავერდოვანი რევოლუცია მოხდა. დასრულდა კომუნისტური პარტიის დიქტატურის ეპოქა და საქართველოს ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. პარალელურად ქვეყანაში არსებობდა რადიკალური ოპოზიციის თვითმარქვია, წარმომადგენლობითი ორგანო - ეროვნული კონგრესი, რაც ქვეყანაში კონფრონტაციური ცენტრების ჩამოყალიბებას ნიშნავდა.

1990 წლის 30 ნოემბერს ეროვნული კონგრესი ე.წ. მეორე სესიაზე შეიკრიბა. კონგრესი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში კვლავ არარეალურ და უტოპიურ გზას იზიარებდა. კონგრესმა დადგენილებით აირჩია პრეზიდენტი, რაც ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. ხელისუფლების მიმართ მწვავე დაპირისპირებით გამოირჩეოდნენ: ეროვნულ დემოკრატები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მხედრიონი და სხვა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ. 1990 წლის 20 დეკემბერს, დადგენილების მიღებამდე, უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების, ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. სახელმწიფო მოუწოდებდა სხვადასხვა ფორმირებებს, რომ თუ ისინი მიზნად დაისახავდნენ ქვეყნის ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვას, მაშინ ეროვნული გვარდია სწორედ ამ მიზნით შეიქმნებოდა და მასში უნდა გაერთიანებულიყვნენ. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამ შეიარაღებულმა ფორმირებებმა გარკვეული პოზიტიური როლი ითამაშეს ეთნოკონფლიქტურ რაიონებში ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ჯაბა იოსელიანი აცხადებდა: „ეროვნული გვარდია, ეს არის ნამდვილი ბლეფი. არავითარი გვარდია არ არსებობს, ეს არის იგივე მოსკოვის შინაგანი ჯარების გაძლიერების პროცესი... პირადად ვინმეს თუნდაც, ზვიად გამსახურდიას ან სხვას ჩვენ არ დავემორჩილებით... თუ ვინმე ჩვენ დაშლას დააპირებს, ვურჩევ ილუზიებს თავი დაანებოს. მართალია სისხლი დაიღვრება, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგის იარაღი ჩვენს ხელში გადმოვა“ („შვიდი დღე“ 1991: 4 იანვარი).

მხედრონთან მიმართებით, ხელისუფლებამ აშკარად გამოავლინა არათანმიმდევრული ქმედება. მან მთელი თვენახევრის განმავლობაში თავისივე დაპირებული კანონით გათვალისწინებულ ზომებს არ მიმართა - იარაღის ჩაუბარებლობის შემთხვევაში ერთ თვეში კანონის აღსრულების შესახებ (შველიძე 1008: 4 იანვარი).

მხედრონის ლიდერის ეს განცხადება ნათლად წარმოაჩენს, რომ იგი არ სცნობდა არსებულ ხელისუფლებას და გადადიოდა კონფრონტაციის მდგომარეობაში, რასაც ჩვეულებრივ ამბობენ ეწოდება. მხედრონსა და ეროვნულ ხელისუფლებას შორის დაპირისპირება მეტად სახიფათო გზით გაგრძელდა.

1991 წლის მარტისათვის ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის ურთიერთობა სტაბილურად კონფრონტაციული იყო. დაპირისპირება მუდმივ მიტინგებში გადაიზარდა. 1991 წლის მაისის წინასაარჩევნო გარემო ურთიერთდაპირისპირებით დაიწყო. გასაკვირი არ არის, რომ საარჩევნო პერიოდი ნებისმიერ ქვეყანაში ზრდის პოლიტიკურ დამაბულობას და კონკურენციას.

წინა საარჩევნო პერიოდში გახშირდა ზვიად გამსახურდიას მხრიდან მწვავე შეფასებები ინტელიგენციის მიმართ, რადგან მათი დიდი ნაწილი მხარს არ უჭერდა მას, ხოლო ეს უკანასკნელიც გამოირჩეოდა ისეთი შეფასებებით როგორცაა: პროვოკატორი, აგენტურა, კრემლის აგენტის, მოსკოვის ჯაშუშები, ანტიეროვნული, ღვთის მოღალატე („თავისუფალი საქართველო“ 1991: მაისი). შესაძლოა არც ცდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატი ინტელიგენტთა ნაწილის შეფასებაში, თუმცა მას კარგად უნდა გაეაზრებინა, რომ საზოგადოების ეს ფენა მნიშვნელოვან გონს და ძალას წამოადგენდა, არ ქონდა იმას მნიშვნელობა რამდენად უჭერდა ამ უკანასკნელთ ხალხი მხარს. ამდაგვარმა შეფასებებმა ამ პერიოდში და შემდგომშიც, საბოლოოდ გამოიწვია ინტელიგენციის დიდი ნაწილის მოწინააღმდეგე ბანაკში გადასვლა, თუმცა შემდეგ მათი ნაწილის ანტისახელმწიფოებრივი მიდგომები და დანაშაულებები სხვა საკითხია. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები პირველად 1991 წლის 26 მაისს გაიმართა. ამრიგად, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისაგან უკვე მესამედ მიიღო უმაღლესი სახის ლეგიტიმაცია. პირველად - 1990 წლის 28 ოქტომბერს, მეორედ - 1991 წლის 31 მარტს და ხოლო მესამედ - 1991 წლის 26 მაისს.

საქართველოს ხელისუფლება საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ღიად დაფიქსირებისგან თავს იკავებდა, თუმცა ხაზს უსვამდა დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის უპირატესობის მნიშვნელობას, რაც იმდროინდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სრულიად რეალური მიდგომა იყო.

1991 წლის ივლისის დასაწყისში, საქართველოს პრეზიდენტი, მოსკოვში ამერიკის საელჩოში იმყოფებოდა, სადაც იგი აშშ-ს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით იყო მიწვეული. თენგიზ სიგუა იხსენებს: „მოსკოვში შეხვედრის დროს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა მე და ზვიად გამსახურდიას გვითხრა, დაგეხმარებით, საბჭოთა კავშირი დაშლის პირასაა, ოღონდ ნუ იჩქარებთ“ (პრეზიდენტი 2004, 13-26 დეკემბერი).

ამრიგად, ოპოზიციონერების მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება ღიად უპირისპირდებოდა დასავლეთის ქვეყნებს და იზოლაციის გზას ადგა იყო სიცრუე. 1991 წლის ივლისამდე საქართველოს ხელისუფლება და მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ

ურთიერთობები დაემყარებინათ დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფოს სტრუქტურებთან, მაგრამ ოფიციალური ურთიერთობების გაფორმება შეუძლებელი იყო, დასავლეთი ცნობდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ მთლიანობას (შველიძე 2008: 270).

1991 წლის ივლისში საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. 31 ივლისს შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა შეიარაღების სფეროში უმნიშვნელოვანესი შეთანხმების გაფორმება შესძლეს. ჯორჯ ბუშმა და მიხეილ გორბაჩოვმა მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ, რომლის მიხედვითაც აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ბირთვული არსენალები 30-40 %-ით მცირდებოდა (კობალაძე 2006: 384).

ბუნებრივია, რომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედებისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირთან რაიმე სახის პოლიტიკური დაპირისპირება არ სურდა. ამ მსოფლიო გეოპოლიტიკურ ვითარებაში, დასავლეთის ქვეყნები და მისი ფლაგმანი აშშ არ აპირებდნენ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ცნობას დამოუკიდებელ სუბიექტებად, ეს ფაქტი შემდგომი მოვლენებითაც დადასტურდა, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებს არც ერთი საბჭოთა რესპუბლიკა არ უცვნიათ სამართალ სუბიექტად (გამონაკლისს წარმოადგენდა ბალტიისპირეთი).

ცხადი იყო, რომ მსოფლიოს ამ გადანაწილების პროცესებში საქართველო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერის იმედი მას არ უნდა ჰქონოდა, ამით საქართველოს ხელისუფლება განწირული იყო და ეს ფაქტი კარგად გამოიყენეს შემდგომ ამბოხებულმა და ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა, როდესაც დაიწყეს ღია ამბოხი და სახელმწიფო გადატრიალება საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ.

1991 წლის შემოდგომა იწყება ესკალაციით, შემდგომში ის იღებს ღია ამბოხისა და დესტაბილიზაციის სახეს და საბოლოოდ სრულდება ეროვნული ხელისუფლების დამხობით და პრეზიდენტის განდევნით.

1988-1992 წლების პერიოდი (სახელმწიფო გადატრიალება) საქართველოში წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და გამოწვევებით სავსე პერიოდს. მიუხედავად დამოუკიდებლობის მოპოვებისა, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური დამაბულობა, შიდა განხეთქილებები და გარე გავლენები სერიოზულ დაბრკოლებად იქცა საქართველოსთვის, რამაც შეუშალა ხელი მის სწრაფად განვითარებასა და დემოკრატიულ პროგრესს. 1990 წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში მოსულ ეროვნული მოძრაობის ძალების ნაწილს ღია დაუფარავი, უკომპრომისო, მტრული და ხშირ შემთხვევაში ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით, ეროვნული მოძრაობის მეორე ნაწილი დაუპირისპირდა, რაც კიდევ უფრო დიდ განსაცდელში ამყოფებდა, ჯერ კიდევ არ აღიარებულ და არარსებულ ქვეყანას და მის დამოუკიდებლობის მოპოვებას. ცხადია, რომ ეროვნული მოძრაობის ნაწილთან ერთად, ხელისუფლებას საბჭოთა ნომენკლატურა ებრძოდა; პრივილეგიებული ინტელიგენცია, შეიარაღებული ფორმირებები და თავისთავად, იმპერიის სპეცსამსახურები. საკითხი არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ ხელისუფლება შეუცდომელი და ყოველთვის მართალი იყო. თავის მმართველობის პერიოდში მან ბევრი შეცდომა დაუშვა და ეს იყო რეალობა.

სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში, რუსეთის იმპერიის თითქმის 2 საუკუნოვანმა ბატონობამ, დიდი დალი დაასვა ჩვენ საზოგადოებას. 1990 წლის ბოლოს სათავეში მოვიდა ძალა, რომელსაც ქვეყნის მმართველის არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ ჰქონდა, ეს მხოლოდ ქართველმა კომუნისტებმა იცოდნენ, მაგრამ წლების განმავლობაში ისინიც კი ცენტრიდან იმართებოდნენ, ანუ გამოდის, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს არანაირი პოლიტიკური კულტურის და მისი მართვის უნარი არ გააჩნდა. ერთია ეროვნული მოძრაობა, დაუმორჩილებლობა, დემონსტრაციები, აქციები, და სხვადასხვა აქტივობები, მაგრამ სრულიად სხვა და გაცილებით რთულია ქვეყნის მართვა.

1991 წლის სექტემბრიდან საქართველოში, ღია და დაუფარავი ბრძოლა მიმდინარეობდა ლეგიტიმურ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ, ბრძოლის შინაარსი ფეხდაფეხ იცვლიდა სახეს, ხდებოდა არაკანონიერი და ანტიკონსტიტუციური.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში, საქართველოში შეიარაღებული ამბოხებისა და საბჭოთა კავშირის ჩარევის შედეგად, დაემხო ეროვნული ხელისუფლება, რაც წარმოადგენდა ანტიეროვნულ, კონტრსუვერენულ, სახელმწიფო გადატრიალებას. ხელისუფლების დამხობის შემდგომ რუსული ორიენტაციის ხალხმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და მისი უზურპაცია მოახდინა, როდესაც დათანხმდა დსთ-ში გაწევრიანებაზე ნაწილობრივ შეზღუდვა ქვეყნის სუვერენიტეტი. ამ უდიდესი დანაშაულებრივი აქტის შემდგომ, ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული კრიზისი. დაიკარგა კონტროლი ტერიტორიების დაახლოებით 20%-ზე. გადატრიალების შემდეგ, წლების მანძილზე ქვეყანაში ანარქია სუფევდა, გაიძარცვა სახელმწიფოს, ხალხის ქონება რომელსაც უნდა შეექმნა დოვლათი და ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე დაეყენებინა. ანტისახელმწიფოებრივი ქმედების გამო, მოიშალა ყველა სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურა და მისი მართვა-გამგეობა ხდებოდა არა კანონის არამედ, როგორც თ.კიტოვანი იტყოდა, „პატრიოტული რწმენით“, ეკონომიკური კატასტროფის გამო ქვეყანაში გამეფდა კრიმინალი რომელიც თავის მხრივ დიდად ხელს უშლიდა ქვეყნის მმართველის კანონიერების ჩარჩოში მოქცევას.

ამრიგად, 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების ავტორები და მათი თანამზრახველები დამნაშავეები არიან, საკუთარი ქვეყნის და ერის წინაშე, ეს კი ღალატზე მეტს ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ ამ ეროვნული ტრაგედიიდან 29 წელია გასული და არცერთი პირი, ჯგუფი თუ ორგანიზატორი არ არიან მიცემულნი შესაბამის პასუხისგებაში, მას მერე 3-ჯერ შეცვლილმა ხელისუფლებამ, არც ერთმა არ ჩაატარა გამოძიება კი და არ მიანიჭა კვალიფიკაცია ამ ფაქტს, მხოლოდ 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა 1991-1992 წლების მოვლენებს სახელმწიფო გადატრიალების შეფასება მისცა, მაგრამ ამ ფაქტის გარშემო გამოძიება არც ამის შემდგომ ჩატარებულა.

ლიტერატურა

1. უჩა ბლუაშვილი - საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1987 – 2003 . თბილისი 2015.
2. მერაბ ვაჩნაძე - ისტორიის ჩანაწერები. ნაწილი პირველი. 1989 – 1992 წლები. 2007.
3. ჯაბა იოსელიანი - სამი განზომილება. თბილისი. 2013.
4. არჩილ კობალაძე - ამერიკის ისტორიის ესკიზები. რედაქტორი ჰოვარდ ქინოტი. ქართული გამოცემის რედაქტორი არჩილ კობალაძე. თბილისი. 2006.
5. ნოდარ ნათაძე - რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი). 2002.
6. აპოლონ სილაგაძე (რედაქტორი) - რა ხდებოდა თბილისში. ქრონიკა, ოფიციალური მასალები, ანალიზის პირველი ცდები. შემდგენელები: თემურ კალანდაძე, გიგა ლიპარტელიანი. თბილისი 1992.
7. დიმიტრი შველიძე - პოლიტიკური დაპირისპირება და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში. 1987 – 1992. თბილისი. 2008.
8. ვახტანგ ძაბირაძე - ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები.2007.
9. „ახალგაზრდა ივერიელი“. 1989. 22 ივნისი.

Political history of Georgia (1988-1992)

Ana Etsdashvili

Abstract

Numerous works and studies have been dedicated to the issue of the struggle for Georgia's independence. Analyzing this highly significant fact and providing a historical and significant fact and providing a historical and legal assessment is crucial for future generations, as they need to understand the difficult path Georgia has traversed in its quest for independence. The events of December 1991 to January 1992 and the subsequent coup are also noteworthy. It is essential to analyze and evaluate this extremely tragic, anti-state, and unconstitutional event from a historical and legal perspective. The article analyzes the key events that actively engaged Georgia's national movement in the political process. It discusses the election of Zviad Gamsakhurdia as president, the dynamics of his governance and relations with the opposition, as well as international influences and Russia's involvement in these processes.

Keywords: "Independence"; "National Movement"; "Elections"; "Georgia"; "Union of Soviet Socialist Republics"; "State".

0222 ისტორია და არქეოლოგია HISTORY AND ARCHAEOLOGY

მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობის ზოგიერთი საკითხი

ეკატერინე სოხადე

წმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტი

E-mail: e.sokhadze@sangu.edu.ge

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქართველთა მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში. ძირითადი ყურადღება ეთმობა წითელი არმიის რიგებში არსებული სტატისტიკურ სირთულეებს, რაც განაპირობებს მაშინ არსებული მონაცემების მიახლოებითობას მონაწილეთა თუ ომში დაღუპულთა შესახებ, გაანალიზებულია ახალი მონაცემები. ამავდროულად, წარმოდგენილია ქართველთა მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში, გერმანიის მხარეზე, როგორც საბრძოლო სულისკვეთება საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისა თუ უფრო მეტად ეროვნული იდეის გამო, მათი გულწრფელი ფიქრი საქართველოს კომუნიზმის ტყვეობიდან გათავისუფლების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გერმანია, მეორე მსოფლიო ომი.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე, მრავლად გვხვდება ბრძოლის, გამირობისა და პატრიოტული სულისკვეთების მაღალი იდეალებით განმსჭვალული ისტორიული ფაქტები, რომელთა მეშვეობით ვიგებთ თუ რაოდენ რთული გზა განვლო ადამიანებმა განვითარების ყოველ ეტაპზე და როგორ მოაღწია დღემდე. ზემოაღნიშნულში ვგულისხმობთ ორ მსოფლიო ომსაც, რომელთა მიზეზებისა თუ შედეგების განხილვა დღესაც არ კარგავს აქტუალობას. საკითხი ინტერესმოკლებულია არ არის საქართველოშიც, რასაც განაპირობებს ქართველთა მონაწილეობა და დამსახურება ამ ომებში.

გერმანიის მხრიდან საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, ბუნებრივია, საქართველოს ომში მონაწილეობის თაობაზე არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებას გერმანიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში რაც შეიძლება მეტი მებრძოლი სჭირდებოდა საბჭოთა რეჟიმის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნებიდან. ბუნებრივია, მათ შორის იყო საქართველოც. ომის მოთხოვნათა შესაბამისად, ქვეყნის მეურნეობა საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა, წყაროებში აღნიშნულია მეორე მსოფლიო ომში გაწვეულ მებრძოლთა სხვადასხვა მონაცემები მაგალითად; წიგნში „Великая Победа над фашизмом“, წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის მე-4 ტომისაგან განსხვავებული მონაცემები. თუ პირველში მითითებულია, რომ გაწვეულთა სრული რაოდენობა 400 ოთხმოცი ათასს შეადგენს, „საქართველოს ისტორიის“ მე-4 ტომიდან ვიგებთ, რომ 1942 წლის აპრილისთვის საქართველოდან გაწვეული იყო 500 ათასამდე მებრძოლი, მაგრამ არ არის მონაცემები შემდგომ გაწვევებზე, ამავე წყაროში აღნიშნულია, რომ საქართველოდან გაწვეულთაგან მობილიზებულთა 23,3 პროცენტი დაიღუპა, რაც იმას ნიშნავს, რომ ომის დროს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 700 ათასზე მეტი მებრძოლი, მათგან 23 ათასი ოფიცერი, 46 გენერალი და ადმირალი. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველოდან 16 ათასამდე ქალი იბრძოდა. საქართველოდან 1941-1945 წლებში გაწვეულთა რაოდენობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში ვრცელდება მცდარი მონაცემები, ომში მონაწილეთა რაოდენობა მერყეობს 400 ათასიდან 600 ათასამდე. ციფრი 600 ათასი დაასახელა თბილისში ვიზიტად მყოფმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, ლეონიდ ბრეჟნევმა. ცხადია, მისთვის არავის უკითხავს თუ რა წყაროებს ეყრდნობოდა იგი. ეს ციფრი აიტაცა ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე. სანდო მეცნიერული კვლევებით მტკიცდება, რომ საქართველოდან ომში გაწვეულთა რაოდენობა არ შეიძლება 350 ათასზე მეტი ყოფილიყო, ეს მაჩვენებელი არის მაქსიმუმი რისი გაღებაც საქართველოს შეეძლო, აღნიშნავს ისტორიკოსი, ვახტანგ გურული. იმის გათვალისწინებით,

რომ ფრონტზე მოსახლეობის გაწვევამ სოფლის მეურნეობა ისედაც მუშახელის გარეშე დატოვა, სასოფლო-სამეურნეო მუშაობის მთელი სიმძიმე ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს დააწვათ. საქართველოდან გაწვეულ მებრძოლთა რაზმებისგან შეიქმნა რამდენიმე ქართული დივიზია, რასაც, ნათლად წარმოგვიდგენს ისტორიკოსი მიხეილ ბახტაძე თავის ნაშრომში: „ქართველები მეორე მსოფლიო ომში“, რომელიც ცხადყოფს საქართველოს როლს ამ ომში.

აღნიშნული წყაროდან ვიგებთ, რომ ომში გაწვეული ქართველთა რაზმებისგან შეიქმნა შემდეგი დივიზიები: 24-ე, 242-ე (ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე ბრძოლებში), 276-ე (ქალაქ კიევისთვის მიმდინარე ბრძოლებში), 296-ე, 349-ე, 351-ე, 386-ე, 392-ე, 394-ე, 406-ე, 414-ე (ყირიმის ნახევარკუნძულისა და ქალაქ სევასტოპოლისათვის მიმდინარე ბრძოლებში). აღნიშნული დივიზიებიდან უმეტესობამ თავი გაწირა კავკასიისათვის მიმდინარე ბრძოლაში, რომლის მთავარი ლოკაციები იყო: მარუხი, სანჭარო, ქლუხორი და სხვა. ქართველები იბრძოდნენ როგორც ქვეითთა ნაწილებში ასევე, ავიაციაში, საზღვაო ფლოტში. აქტიურად მონაწილეობდნენ იმ პარტიზანულ რაზმებში, რომლებიც იბრძოდნენ გერმანელთა ზურგში უკრაინისა და ბელარუსის ტერიტორიაზე. ასევე ქართველები იბრძოდნენ საფრანგეთის არმიის რიგებში, რომელთა შორის თავი ისახელა პოლკოვნიკმა დიმიტრი ამილახვარმა, რომლის სახელი სრულიად მსოფლიოსთვისაც ცნობილია [1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ომში ცალკეულ საჯარისო შენაერთებს ხელმძღვანელობდნენ გენერლები: კონსტანტინე ლესელიძე, ვლადიმერ ჯანჯღავა, ესტატე ტატანაშვილი, პორფირე ჩანჩიბაძე და სხვა. რომლებმაც თვალსაჩინო გმირობის მაგალითი უჩვენეს მთელს მსოფლიოს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქართველთა მსხვერპლი ქერჩის ბრძოლაში. სადაც 224-ე დივიზია იბრძოდა. ასევე აღნიშვნის ღირსია ქართველი პოეტები, რომლებმაც ლიტერატურული მოღვაწეობა გვერდზე გადადეს და შეუპოვრად იბრძოდნენ წითელარმიელთა რაზმში, მედგრად იცავდნენ საქართველოს, ისტორიამ შემოგვინახა და გადმოგვცა ბრძოლის ქარცეცხლში გახვეულ მეომართა სულიერი მდგომარეობა.

საქართველო, საბჭოთა დროშის ქვეშ მოქცეული ქვეყნების მსგავსად, იძულებული იყო ომში ჩაბმულიყო. საქართველომ მონაწილეობა მიიღო, როგორც საბჭოთა იმპერიის ნაწილმა და არა როგორც ცალკეულმა ერთეულმა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძნელი სათქმელია, ომში ჩართვის გადაწყვეტილება ქართველთა უბრალო ვალდებულება იყო თუ პატრიოტული სულისკვეთების გამოძახილი, მაგრამ აშკარაა, რომ ქართველი მეომრები თავს არ ზოგავდნენ, მედგრად ებრძოდნენ მტერს და თითოეულ მათგანს სწამდა, რომ საკუთარ სამშობლოსა და ოჯახებს იცავდნენ, რაც ცალსახად მიუთითებს მათ დაუოკებელ სურვილზე, რომელიც ფაშიზმის დამხობას ითვალისწინებდა.

„სამამულო ომი“, რომელსაც საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში ასე მოიხსენიებდნენ, დიდი სიმბოლოს მატარებელი გახლდათ იმ დროინდელი საბჭოთა მოსახლეობისთვის და რა საკვირველია, ქართველებისთვისაც. საქართველო მეორე მსოფლიო ომში ძლიერი ზურგი იყო საბჭოთა კავშირისთვის, ომის წლებში საქართველო ამიერკავკასიის ფრონტსა და შავი ზღვის ფლოტს უმაგრებდა ზურგს და მებრძოლებს ამარაგებდა ომისათვის აუცილებელი საქონლითა და ნედლეულით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქვეყანა, როდესაც იმ დროინდელი მოსახლეობის 24%, რომელსაც ახალგაზრდა შრომისუნარიანი მამაკაცები წარმოადგენდნენ, მშობლიურ მიწას მოსწყდნენ და გადაიკარგნენ უცხო მხარეში თავგანწირული ბრძოლისა და მსხვერპლის გასაღებად. ქვეყანაში დარჩენილები დღესა და ღამეს ასწორებდნენ, რომ მეომრებს საჭირო ეკიპირება, პროდუქტები არ მოჰკლებოდათ. ამარაგებდნენ აუცილებელი ნივთებით.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მე-3 ტომის თანახმად: 224 ათას შვიდასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ-ის ორდენებითა და მედლებით. 164-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ამ მონაცემებს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ეროვნული მუზეუმის უცნობი კოლექციები და ექსპონატები. საგამოფენო სივრცეში და მის ფონდებში

დაცულია მემორიალური ნივთები, რომლებიც მოწმობს, რომ ქართველები იცავდნენ არამხოლოდ საკუთარ ქვეყანას, არამედ მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარებაში მონაწილეობდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვანი ჯილდო და ორდენი, რომლებიც ომის ვეტერანებმა გადასცეს მუზეუმის გამოფენას, რომელსაც „ქართველები მეორე მსოფლიო ომში“ ეწოდება [2].

რისთვის იბრძოდნენ ქართველი პატრიოტები გერმანიის დროშის ქვეშ? ეს კითხვა მეტად აქტუალურია მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობის საკითხის შესასწავლ კონტექსტში. გერმანელთა მხარეს დაახლოებით 30 ათასი ქართველი იბრძოდა. ვერმანის შემადგენლობაში ქართული და ზოგადად, სხვა ნაციონალური სამხედრო ნაწილების შექმნის იდეა გერმანიის მთავრობის შესაბამის უწყებებს სსრკ-ზე თავდასხმამდე გააჩნდათ, კარგა ხნით ადრე ამუშავდნენ და მხოლოდ იდეის დონეზე განიხილებოდა და რეალური მხოლოდ 1941 წლის ივნისში გახდა, როდესაც ჰიტლერმა ომი წამოიწყო და სულ მოკლე დროში წარმატებას მიაღწია დაიკავა ბელორუსი, მოლდოვა უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბალტიისპირეთი. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ასეულ ათასობით საბჭოთა ჯარისკაცი მოექცა ტყვეობაში. ჯერ კიდევ 1941 წლის აგვისტოში, აღმოსავლეთის ტერიტორიების სამინისტროს ეგიდით, ე.წ. სამხედრო ტყვეების საკითხთა კომისია შეიქმნა. ეს კომისია საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი საბჭოთა ჯარისკაცების ეროვნული ნიშნით აღწერას აწარმოებდა.

გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე 18 ათასი ქართველი სამხედრო ტყვე იმყოფებოდა, გარდა ამისა სპეციალურ ბანაკებში დამატებით 15 ათასი ქართველი ჯარისკაცი იმყოფებოდა. გიორგი მაღალაშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომ ამ ჯარისკაცთა უმრავლესობა 1941-1942 წლების მკაცრ ზამთარს მშვიდობიანად გადაურჩნენ საკონცენტრაციო ბანაკებში და ამის შემდგომ შეიქმნა ქართული ბატალიონები. ამის შესახებ კი ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი მიხეილ ბახტაძე ნაშრომში „ქართველები მეორე მსოფლიო ომში“ და დაზუსტებით გადმოსცემს გერმანიის მხარეს მებრძოლ ქართველ შენაერთთა შესახებ მონაცემებს. შეიქმნა ქართული ლეგიონი შალვა მაღლაკელიძის მეთაურობით ესენი გახლდათ: 795-ე ბატალიონი „შალვა მაღლაკელიძე“, 796-ე ბატალიონი, 797-ე ბატალიონი „გიორგი სააკაძე“, 798-ე ბატალიონი „მეფე ერეკლე II ბაგრატიონი“, 799-ე ბატალიონი „მეფე დავით აღმაშენებელი“, 822-ე „თამარ მეფე“, 823-ე „შოთა რუსთაველი“, 824-ე ბატალიონი „ილია ჭავჭავაძე“. გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ასევე საგანგებო დანიშნულების ბატალიონი „ბერგმანი“ [1]. გერმანიის მხარეს მებრძოლ ქართველთა შესახებ საგანგებო ნაშრომებს წარმოგვიდგენს გიორგი მამულია „ქართული ლეგიონი ვერმანტში“ ესენი იყვნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში წასული ქართველები მეტწილად კი გერმანელების მხარეს გადაბირებული უბრალო ადამიანები, სამხედრო ტყვეები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ გერმანელებთან მოკავშირეობით საქართველო დამოუკიდებლობას დაიბრუნებდა. ქართული ლეგიონების შექმნის საკითხში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ვაჩნაძე და კედია მათ პირობებიც კი წამოუყენეს და დაანახეს გერმანიის მმართველ ორგანოს თუ რა პოზიცია გააჩნდა ქართველ ემიგრანტებს ამ საკითხთან დაკავშირებით:

1. ემიგრაციის წარმომადგენლებისა და გერმანიის ტყვეობაში მყოფი ქართველი საბჭოთა ჯარისკაცებისაგან ნაციონალური ბატალიონების შექმნა უნდა განხორციელებულიყო ქართული ნაციონალური კომიტეტის მეთვალყურეობით;

2. ქართული ლეგიონი სამხედრო-პოლიტიკურ მომზადებას უშუალოდ გერმანიის ტერიტორიაზე გაივლიდა და იგი მომავალში კავკასიის განმანთავისუფლებელი არმიის საფუძველი გახდებოდა;

3. ქართული ლეგიონი საბრძოლო მოქმედებებში მხოლოდ შესაბამისი მომზადების შემდეგ უნდა ჩართულიყო და მას მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტზე გამოიყენებდნენ.

სპირიდონ კედიას თქმით, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ პირველ ეტაპზე, საქართველო სლოვაკეთის მსგავსს დამოუკიდებლობის მოდელს მიიღებდა [3].

ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე აღნიშნავს, რომ მალიან ბევრმა ქართველმა იცოდა, ჰიტლერი მაშინვე დამოუკიდებელს არ გახდიდა საქართველოს. მათ სჯეროდათ, რომ ჰიტლერი მუდმივად არ იქნებოდა გერმანიის ლიდერი. მათთვის მთავარი იყო, რუსეთი და ბოლშევიზმი დაემარცხებინათ. ფიქრობდნენ, რომ საქართველო გერმანიის პროტექტორის ქვეშ უფრო ადვილად გახდებოდა დამოუკიდებელი. თუ დავუჯერებთ გამოთქმულ მოსაზრებას, შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ზემოთ თქმული მეტად სარწმუნო საბუთად გვევლინება იმ საკითხთან წვდომაში თუ რამ განაპირობა ქართველთა ბრძოლა გერმანიის მხარეს. ამდენად, მეტად ღრმა კონტექსტისა და აზრის შემცველია გერმანელების მხარეს ქართველთა ბრძოლის საკითხი.

რთულია ვისაუბროთ ამ თემის ირგვლივ მხოლოდ წყაროებზე დაყრდნობით, გამოვიტანოთ ცალსახა დასკვნა და არ განვიხილოთ ვერმანის ქართულ ლეგიონში მებრძოლთა იმ ნაწილის სულიერი მდგომარეობა, რომელთა პატრიოტული სულისკვეთება და იდეალები წითელიარმიამი ბრძოლისკენ, რომ ისწრაფოდა, რადგან ნაცისტები მათთვის მთლიანად მსოფლიოს მტერები იყვნენ და ცივილიზებული სამყაროსთვისაც საფრთხეს წარმოადგენდნენ იქნებოდა ეს დასავლეთ ევროპა თუ ამერიკა, ნაცისტური გერმანიის გავლენა საკმაოდ დიდი იყო იმდროინდელ მსოფლიოში და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკმაოდ ძლიერ და საშიშ ძალასთან გვაქვს საქმე. ამ ფაქტის საუკეთესო გამართლებად გვევლინება ფორე (ქრისტეფორე) მოსულიშვილის ისტორია, რომელიც ერთ-ერთ პარტიზანულ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს და მაშინვე ვერმანის ქართულ ლეგიონში უკრეს თავი, რათა გამოჯანმრთელების შემდეგ შეერთებოდა იმ ქართველებს, რომლებიც იბრძოდნენ ნაცისტთა მხარეს. მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ სრულად გაუცრუვდათ ეს იმედეები გერმანელებს. ფორემ გასაოცარი სიმტკიცე და მამაცობა აჩვენა მათ და დაუმტკიცა, რომ იგი წითელარმიელთა ნაწილია და არასდროს უღალატებდა მათ. ამის ნათელ მაგალითად მინდა წარმოგიდგინოთ ნაწყვეტი ელჟარდ სიხარულიძის წიგნის "იტალიის ეროვნული გმირი":

1943 წლის დამლევს ტყვეთა ნაწილი (დაუდასტურებელი ვერსიით ფორე ვერმანის ქართულ ლეგიონში მსახურობდა) პოლონეთიდან საფრანგეთში გადაიყვანეს. ფორე იმ ბანაკში მოხვდა, რომლის კომენდანტიც სიმკაცრით განთქმული ობერშტურმფიურერი ჰანს ფონ ფალკენშტაინი იყო. ერთერთი შემოვლისას მისი ყურადღება ფორემ მიიპყრო, ალბათ მისი ახოვანი აღნაგობის და წვერების გამო.

- სადაური ხარ? - ჰკითხა ოფიცერმა.
- ქართველი.
- აჰა, ქართველი, ქართველი ... - გაიმეორა კომენდანტმა და უცებ იყვირა: დაიჩოქე! ფორე კიდევ უფრო გაიმართა წელში და თვალი თვალში გაუყარა. კომენდანტმა ერთხანს უყურა ფორეს, მერე მათრახი მოიმარჯვა და გადაუჭირა.

ფორე არც შერხეულა, მოულოდნელად მოუქნია მკლავი და სახეში გაარტყა ... კომენდანტი მოცელილივით დავარდა მიწაყრილზე. მისი დაცვა და ტყვეები გაოგნებისგან გაშემდნენ ... კომენდანტი ძლივს წამოდგა, ყურიდან და ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. ჯარისკაცებს ანიშნა უკან დაიხიეთო და აკანკალებული ხელით ამოიღო პარაბელუმი ... შეტრიალდა და წავიდა ... საღამოს ფორემ თავის მეგობარ ისაკ ძამსაშვილს უთხრა: "ეს კაცი მართლა ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა!" ისაკი იგონებს: "თავიდან ვერ გავიგე რა იგულისხმა ფორემ, მერე მივხვდი, რომ უიარალო ტყვის საჯაროდ დახვრეტა სახეში გარტყმის გამო საკუთარი უღირსობის დემონსტრაცია და შიშის აღიარება იქნებოდა. ბოლოსდაბოლოს კომენდანტი ბარონი იყო" [4].

აღნიშნული ნაწყვეტი, დიალოგი მოსულიშვილსა და ნაცისტთა ოფიცერს შორის მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ურყევი, მტკიცე, ღირსეული და ზედმეტად მაღალი პატრიოტული ელემენტებით იყო განსჭვალული ფორეს, როგორც რიგითი წითელარმიელის სულისკვეთება.

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მხარეს მებრძოლ ქართველთა სტატისტიკა: ომის დასრულების შემდგომ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი რაც რჩება ორივე მხარისთვის, ეს არის ადამიანური დანაკარგისა და სხვადასხვა სახის ზარალის დათვლა. აღნიშნულ თემაზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას სათავე დაუდო ჯერ კიდევ კავკასიაში საომარი მოქმედებების დროს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შექმნილმა სამამულო ომის ისტორიის მასალების შემგროვებელმა და შემსწავლელმა კომისიამ, აკადემიკოს გ. ხაჭაპურიძის თავმჯდომარეობით. შემდეგ პერიოდში ამ თემატიკაზე მუშაობდნენ და ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული მ. ქოჩიაშვილს, ა. იოსელიანს, კ. ცქიტიშვილს და სხვებს.

მეორე მსოფლიო ომში გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მხარეს დაღუპულ ქართველთა სტატისტიკის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის რევაზ გაჩეჩილაძე ნაშრომში „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეტად სარწმუნო წყაროდ გვევლინება, სადაც ნათლად არის გადმოცემული ომის შედეგები საქართველოსთვის. გავრცელებულია მოსაზრების თანახმად, მეორე მსოფლიო ომში საქართველომ 300 ათასი მებრძოლი დაკარგა, რაც გამოდის, რომ იმდროინდელი მოსახლეობის 13,3 პროცენტია [5], თუმცა წლების განმავლობაში დიდი გამოხმაურება სდევდა თან აღნიშნულ რიცხვს და არ წყდებოდა მსჯელობა, კამათი, განხილვა და ხელახალი გადაფასება მონაცემებისა.

რევაზ გაჩეჩილაძის ამავე ნაშრომშია ნახსენები, რომ სამხედრო ექსპერტი მ. ფილიმოშინი გვთავაზობს თავის გამოთვლას, სადაც ვიგებთ, რომ ბრძოლაში დაიღუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 79,5 ათასი ქართველი, რომელიც იმდროინდელი მოსახლეობის 3,5 პროცენტს შეადგენს. ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა დანაკარგი კი 140-150 ათასამდე მერყეობს [5]. უმეტესი დანაკარგი კი ქერჩის ბრძოლას მოყვა, სადაც სარდლობის დაუდევრობასა და უნიჭობას უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

როგორც ვხედავთ, წითელარმიაში მებრძოლ ქართველთა დანაკარგი საკმაოდ ტრაგიკული მონაცემია, თუმცა წლების განმავლობაში არსებულ, დასახელებულ რიცხვამდე „300 ათასი“ ბევრი უკლია. ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ საქართველოს მიწას უამრავი ახალგაზრდა მოსწყდა და მათგან უმეტესი და დაიღუპა. აგრეთვე მეტად საყურადღებო და პრობლემურია უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხი.

რაც შეეხება გერმანიის მხარეს მებრძოლ ქართველებს, მათი რიცხვი 30 ათასამდე მერყეობს, ხოლო ქართულ ბატალიონთა თითქმის 2/3 განადგურდა, ყველაზე სისხლისმღვრელი მათთვის კურსკის ბრძოლა აღმოჩნდა.

სამშობლოში დაბრუნებულთა მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, მათგან საღსალამათი იშვიათად, რომ ყოფილიყო, რადგან უამრავი ხეივანი და ფსიქიურად გაუწონასწორებელი გახლდათ, ომის სიმძიმემ უდიდესი დაღი დაასვა მათ სიცოცხლეს.

კვლევამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

1. უპირველეს ყოვლისა, გაირკვა, რომ ქართველთა მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული ეს გახლდათ, პატრიოტული სულისკვეთების გამოძახილი, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, ქართველ მეომართა ღრმა რწმენა, რომ ისინი ამგვარად თავიანთ სამშობლოს და ოჯახებს იცავდნენ და მათი წარმოდგენით გაღებული მსხვერპლი და თავგანწირვა სრულიად ბუნებრივი იყო, აგრეთვე, გამოიკვეთა, სხვა იდეალების მქონდე ქართველთა მეორე ნაწილის პოზიცია, რომლებიც გერმანიის მხარეს იბრძოდნენ და უმეტესად ესენი იყვნენ გასაბჭოების შემდეგ სამშობლოდან გადახვეწილი ემიგრანტები და საბჭოთა რეჟიმის „კლანჭებისგან“ თავის დაღწევას ლამობდნენ, ხოლო მებრძოლთა შორის იყვნენ ტყვედ ჩავარდილი ჯარისკაცები, რომლებიც ბედის ჩარხმა მტრის ბანაკში გადაისროლა.

2. მეორე საკითხი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ეს გახლავთ მსხვერპლთა რაოდენობა, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, თვალნათელია, რომ საქართველოს მეორე მსოფლიო ომში ჩაბმა ძვირად დაუჯდა. ის ფაქტიც, რომ იმდროინდელი მოსახლეობა არც თუ ისე დიდი რაოდენობისა იყო და უფრო მეტად ქმნიდა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური სფეროების მომლის საშიშროებას.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ „დიდი სამამულო ომი“ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი და მძიმე გახლდათ, ამდენად, უპრიანია მივიჩნიოთ, რომ მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობა არასდროს დაკარგავს აქტუალობას და კვლავ მრავალჯერ მოუწევს საქართველოს ისტორიას და საზოგადოებას თავიდან გადააფასოს, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდში, მმართველ ძალას დამორჩილება და ბრმად მიხედობა თუ გაანალიზება, რაოდენ საფრთხის შემცველია ის რეჟიმი, რომლის გამარჯვებისთვისაც იღწვი და აგრეთვე ამ ომში ადამიანური ზარალის პატრიოტული სულისკვეთებისათვის თავგანწირვით გამართლება.

ლიტერატურა

1. ზახტაძე, მ. ქართველები მეორე მსოფლიო ომში. თბილისი. 2014წ.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (pp. მე-3 ტომი). 1965წ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
3. მამულია, გ. ვერმახტის ქართული ლეგიონი. თბილისი. 2011წ.
4. სიხარულიძე, ე. „იტალიის ეროვნული გმირი“. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973წ.
5. გაჩეჩილაძე, რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში. 2017: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
6. გ. გაბლიანი, მეორე მსოფლიო ომი და ქართველები. 1996წ.
7. დაუშვილი, რ. (n.d.). მეორე მსოფლიო ომი და საქართველო.
8. გურული, ვ. (n.d.). მეორე მსოფლიო ომი და საქართველო: კრიტიკული წერილები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები VII ტომისა და საბჭოთა პერიოდში ისტორიოგრაფების მუშაობის შესახებ.
9. მ. ბასილაძე, გ. მ. (n.d.). ქართველები გერმანიის მხარეს II მსოფლიო ომში.
10. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე. 2012წ. თბილისი: პალიტრა L .
11. Великая Победа над фашизмом. 2014. Москва.
12. newday.ge. (2015, 26 ივნისი). Retrieved from newday.ge: <http://newday.ge/new/index.php>

Some issues of Georgian participation in the Second World War

Ekaterine Sokhadze

Abstract

The article discusses the participation of Georgians in the Second World War. The main focus is on the statistical difficulties in the ranks of the Red Army, What determines the approximation of the existing data about the participants or those who died in the war, new data is analyzed. At the same time, the participation of Georgians in the Second World War, on the side of Germany, is presented, as a fighting spirit to save their own lives or more because of the national idea, their sincere thought about liberating Georgia from the captivity of communism.

Keywords: Georgia, Germany, Second World War.

აზერბაიჯანის სსრ-ის კუთვნილებაში გადავიდა. სომხური მხარის მტკიცებით, 5 ივლისის გადაწყვეტილება სომხეთში არსებული ანტი ბოლშევიკური განწყობის გამო იქნა მიღებული, რითაც მოსკოვმა ერთგვარი სადამსჯელო პოლიტიკა გაატარა სომხებთან მიმართებაში (სომხების პოზიციას კიდევ უფრო ამყარებს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდისათვის ყარაბაღის რეგიონში მოსახლეობის 94,4%-ს სომხები შეადგენდნენ, ხოლო დანარჩენ ნაწილს – ეთნიკური აზერბაიჯანელები). სომხებისგან განსხვავებით, 5 ივლისის გადაწყვეტილებას პოზიტიურად შეხვდნენ ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებმაც მოსკოვის ეს ქმედება მიიჩნიეს როგორც არათუ რაიმე სახის სადამსჯელო ღონისძიებად, არამედ ისტორიული ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის აღსრულებად.

1989 წელს საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ბოლო აღწერა ჩატარდა, რომლის მიხედვითაც ყარაბაღში სიტუაცია შედარებით სახეცვლილია, თუმცა უმრავლესობას კვლავაც ეთნიკური სომხები შეადგენდნენ, რაც შედეგობრივად ესე აისახა: სომხები – 75%, აზერბაიჯანელები – 23% [1]. დაწყებული დამაბულობის ფონზე, 1989 წლის 28 ნოემბერს, სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ კიდევ ერთხელ განიხილა ყარაბაღის საკითხი და იგი ისევ აზერბაიჯანის შემადგენლობაში დაეტოვა. მოსკოვის ეს ქმედება ემსახურებოდა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებაში დამკვიდრებულ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც მსგავსი ტიპის ეთნოკონფლიქტები თავად საბჭოთა კავშირის არსებობისთვის იყო საფრთხის შემქმნელი, ამიტომ კონფლიქტების დასაწყისშივე ცდილობდა კრემლი მათ მოგვარებას. თუმცა, მოგვიანებით მოსკოვმა მიმდინარე მოვლენები ახლებურად გადააფასა, რის შემდეგაც პოლიტიკური ელიტა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სომხეთი ირჩევდა სსრკ-ს, ხოლო აზერბაიჯანში ეროვნული მოძრაობა ძლიერდებოდა. აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობა ღიად ანტირუსული განწყობებით არ გამოირჩეოდა, თუმცა, მათგან მეტად ისმოდა ანტირუსული რიტორიკა ერევანთან შედარებით. გარდა ამისა, რუსეთი ისტორიულ მოკავშირედ უფრო მეტად სომხეთს მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა ადმინისტრაციის სიმპათიებიც სომხეთისკენ გადაიხარა [2].

1992 წლის 16 მაისს სომხეთი დსთ-ის წევრი ხდება. სწორედ ამ დროიდან იწყება რუსების მიერ სომხების დახმარების ტემპების ზრდა, ვინაიდან სომხეთმა მოირგო როლი, რომლის მიხედვითაც ის ახლო მომავალში რუსული ძალების მთავარი საყრდენი იქნებოდა სამხრეთ კავკასიაში. რუსული ძალებით გაძლიერებულმა სომხებმა ყარაბაღის სრული ოკუპაცია შეძლეს. ყარაბაღში განცდილმა მარცხმა ბაქოში მთავრობის ძალისმიერი გადაადგების დააჩქარა გამოიწვია, რასაც ავტომატურად საბრძოლო მოქმედებების დასრულებაც მოჰყვა. 1994 წლის მაისში, რუსეთის ჩართულობით, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის წარმომადგენლების მიერ გაფორმდა „ბიშკეკის პროტოკოლი“. ეს იყო ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დასრულდა ყარაბაღის პირველი ომი აზერბაიჯანის სრული დამარცხებით [3].

აფხაზეთის კონფლიქტის აღწერა

ყარაბაღის კონფლიქტთან შედარებით სრულიად განსხვავებულ სიტუაციას ვაწყდებით აფხაზეთთან მიმართებით, რაც უპირველესად გამოიხატება აფხაზი ეთნოსის უმცირესობაში ყოფნით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ყარაბაღის მსგავსად, აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიაც არ შეგვიძლია მხოლოდ 1990-იან წლებში მიმდინარე მოვლენებზე ავაგოთ, ვინაიდან აფხაზი ეთნოსი ჯერ კიდევ თითქმის ერთი საუკუნით ადრე ცდილობდა დამოუკიდებლობის მოპოვებას.

1921 წლის თებერვალში საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ანექსირებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ. ამ ვითარებით ისარგებლეს აფხაზურმა სეპარატიულად განწყობილმა ძალებმა და 1921 წლის 31 მარტს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. აფხაზთა აღნიშნულ ქცევას როგორც თბილისში, ისე მოსკოვშიც სრული იგნორი გაუკეთეს. 1921 წლის

დეკემბერში აფხაზეთი „სახელშეკრულებო რესპუბლიკის“ ფორმით, საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შევიდა, რის მიხედვითაც აფხაზეთი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის წევრი მხოლოდ საქართველოს ფარგლებში ხდებოდა. სსრკ-ის 1927 წლის კონსტიტუციით, აფხაზეთს მიენიჭა სსრ ავტონომიური ერთეულის სტატუსი, რომელიც საქართველოს სსრ-ში შედიოდა [4]. აუცილებელია აღინიშნოს, რომ აფხაზეთმა რამდენჯერმე მიმართეს მოსკოვს საქართველოდან გამოყოფასთან დაკავშირებით. 1957 და 1966 წლებში, ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთის მიერთებას კომუნისტურ რუსეთთან, თუმცა, მათი მოთხოვნა არც ერთხელ არ დაკმაყოფილდა [4].

1980-იანი წლების ბოლო საბჭოთა კავშირში ერთგვარი ნაციონალისტური გრძნობების „გამოღვიძების“ პერიოდი. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა, სადაც 1989 წლიდან ღიად დაიწყო საუბარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. აღნიშნულმა აფხაზ ეთნოსში გარკვეული შიშები გააჩინა. პრობლემების თავიდან აცილების მიზნით აფხაზეთმა წერილით – „აფხაზი ხალხის წამომადგენლობის დადგენილება“ – მიმართეს საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანს, მიხეილ გორბაჩოვს, რომელსაც სთხოვდნენ, გაეწია ანგარიში აფხაზი საზოგადოებისათვის და აღედგინა 1921 წლის სტატუსი აფხაზეთისათვის, სადაც აფხაზეთი იქნებოდა ლენინურ იდეებზე დამყარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო. აღნიშნული მიმართვა შედგენილ იქნა სოფელ ლიხნში, ამიტომ აღნიშნულ მიმართვას ქართულ საზოგადოებაში „ლიხნის წერილად“ ვიცნობთ.

აფხაზეთის ამ ქმედებას ქართულმა საზოგადოებამ დიდი პროტესტით უპასუხა, დაიწყო მიტინგები და მასობრივი მსვლელობები როგორც აფხაზეთის ქალაქებში (გალი, სოხუმი, ლესელიძე და სხვ.), ისე თბილისში. აფხაზეთის თემაზე დაწყებული პროტესტი მალე ანტისაბჭოურ მიტინგებში გადაიზარდა. შედეგად, ძალიან მალე, ქართველმა ხალხმა სრულიად საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვა.

თბილისში განვითარებული მოვლენების საპირისპიროდ, აფხაზმა პოლიტიკურმა ელიტამ ღიად სეპარატისტული პოლიტიკის წარმოება დაიწყო, რათა აფხაზეთი სრულად გამოყოფოდა საქართველოს. პირველ ეტაპზე აფხაზეთის ასსრ-ის საბჭოში მიღებულ კანონებში იქნა გამოხატული აღნიშნული ტენდენცია, სადაც კანონთა უმეტესობა შინაარსობრივად უგულვებელყოფდა საქართველოს კონსტიტუციას და ზღუდავდა მის სამართალწარმოებას აფხაზეთში. ამავდროულად, მმართველმა ელიტამ გააძლიერა ანტიქართული პროპაგანდა რიგით მოსახლეობაში, ცდილობდა დამოუკიდებლობის იდეით მოხიბლული აფხაზი საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ ერთადერთი, რაც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აფერხებს, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებია. ამ ფონზე გაჩნდა არაერთი ლოზუნგი მოწოდებით – „აფხაზეთი ქართველების გარეშე“.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესმა საბჭომ, საკონსტიტუციო კანონმდებლობის უგულვებელყოფით, მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ-ის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, თუმცა, ეს დეკლარაცია მეორე დღესვე გაუქმდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა, სადაც კომუნისტები დამარცხდნენ. უზენაესი საბჭოს თავჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩიეს, ხოლო აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარედ – ვლადისლავ არძინბა. თუმცა, 1991 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქვეყნის შიგნით არსებული საბჭოები გაუქმებულიყო, რასაც არძინბა არ დაემორჩილა. სოხუმის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ უფრო დამაბა ურთიერთობა თბილისსა და სოხუმს შორის.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (აფხაზეთის ჩათვლით, მაგრამ აფხაზ სეპარატისტებს მასში მონაწილეობა არ მიუღიათ) დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით რეფერენდუმი გაიმართა, რომელშიც ამომრჩეველთა თითქმის 90%-მა მიიღო მონაწილეობა, სადაც მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის

ანალიზის ფონზე კონფლიქტის უშუალო მამოძრავებელ ძალებად გამოიკვეთა ორი დამოუკიდებელი მიმართულება: პოლიტიკური ელიტა – აფხაზეთის კონფლიქტში (1992-1993) და რიგითი სომეხი მოსახლეობა – ყარაბაღის (1988-1994) კონფლიქტში.

ლიტერატურა

1. შ. მალაშხია. 2011. კონფლიქტების ანატომია. თბილისი: სტამბა „ფორმა“.
2. ბ. კობახიძე. 2020. ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი. *პუბლიკა*, (ოქტომბერი). <https://publika.ge/article/yarabaghis-konflikti-warsuli-awmyo-momavali/>
3. დ. პიპინაშვილი. 2008. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. PhD დის. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. კ. ყალიჩავა. 2019. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. PhD დის. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. ს. ჯონსი., მ. თორია. 2022. მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო. გვ.11-23. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. Th. Hoch. 2020. The Roots of Ethno-Political Mobilization in Nagorno-Karabakh. *The Soviet and Post-Soviet Review*, vol.47. pp.306-332. Verlag Ferdinand Schoningh.
7. C. Welt. 2004. Explaining Ethnic Conflict in the South Caucasus: Mountainous Karabagh, Abkhazia, and South Ossetia. Massachusetts Institute of Technology.

The Provocative forces in the Karabakh and Abkhazia conflicts

Sandro Tsutskiridze

Abstract

In the 90s of the 20th century, several significant conflicts occurred in the South Caucasus, following the collapse of the Soviet Union. The armed conflicts launched by separatist forces in Karabakh and Abkhazia on ethnic grounds proved to be particularly severe. This work serves to highlight all those direct or indirect actions that influenced the incitement of conflicts. In addition to the common geographical region, a number of other similar and different features were identified. As reflected in the final conclusion, the Karabakh conflict was a kind of order given by ordinary Karabakh Armenians (citizens of Soviet Armenia) to the Yerevan government to completely separate from Azerbaijan in any form. Which, in turn, was reinforced by the feeling among the ordinary Armenian population that Karabakh is historically Armenian land. In relation to Abkhazia, the picture is mostly the opposite, where the government and pseudo-intelligence are trying to manipulate ordinary citizens of society with the issue of Abkhazia's independence and to give impetus to future struggles with Georgians on this issue.

Keywords: separatism, Abkhazia, Nagorno-Karabakh, ethnic conflicts.

0231 ენის დაუფლება LANGUAGE ACQUISITION

ჟან რასინის „ესთერი“ და „ათალია“ – ბიბლიური ტრაგედიების დრამატურგიული სპეციფიკა

ეკა კვანტალიანი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: kvantaliani.eka@atsu.edu.ge

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია ჟან რასინის ბიბლიურ მოტივებზე შექმნილი დრამების – „ესთერი“-სა და „ათალია“-ს დრამატურგიული თავისებურებანი. ჟან რასინი, როგორც კლასიციზმის ესთეტიკის წარმომადგენელი, თემებს ანტიკურობიდან იღებდა და მის კლასიციზტურ ტრაგედიებში დაცული იყო დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობის კანონი. ჟან რასინის „ესთერი“-ს და „ათალია“-ს ძირითადი ლიტერატურული წყაროები ბიბლიურ სიუჟეტებს ეფუძნება. ამ ტრაგედიებში იკვეთება ავტორის ინოვაციური ხელწერა, მაგალითად, „ესთერი“ სამმოქმედებიანი დრამაა, ხუთის ნაცვლად და „სამი ერთიანობის“ კანონიც დარღვეულია (დრამის მოქმედება სცდება 24 საათში განვითარების სავალდებულო წესს), რაც სიახლე იყო მე-17 საუკუნის კლასიციზმისთვის. „ესთერი“-სგან განსხვავებით, „ათალია“ ტრადიციული ტრაგედიაა ხუთ მოქმედებაში, თუმცა აქაც იკვეთება რასინისეული ინოვაციები, მაგალითად: ქორო წარმოდგენილია მხოლოდ თითოეული მოქმედების ბოლოს, რაც პიესას პოეტურ და სულიერ განზომილებას ანიჭებს.

სტატიაში გაანალიზებულია რასინისეული ბიბლიურ სიუჟეტებზე რეინტერპრეტირებული დრამების – „ესთერი“-სა და „ათალია“-ს პოეტიკის ბიბლიური სიმბოლიკის კვლევა, ისტორიული სახელების სემანტიკური ანალიზი, პერიფრაზირება, ტროპული აზროვნების მაგალითების გააზრება და სხვ. ასევე განხილულია პიესებში ანტიკურობის ელემენტებისა და ბიბლიური მოტივების სინთეზი. ჟან რასინმა თავისებურად რეინტერპრეტირებული რელიგიური დრამებით – „ესთერი“ და „ათალია“, სრულიად ახალი, ორიგინალური კლასიციზტური ნაწარმოებები შექმნა და ფაქტობრივად, სათავე დაუდო ბიბლიურ ტრაგედიებს მე-17 საუკუნის საფრანგეთში. ეს პიესები ღირსეულ მეტოქეობას უწევს დღესაც იდეალურ ესთეტიკურ ეტალონებად გამოცხადებულ კლასიკურ დრამატურგიულ ნიმუშებს. თუმცა, დრამები ეყრდნობა როგორც ბიბლიურ მოტივებს (ბერძნული და არამეული ძველადთქმისეული ტექსტების ვარიანტებს), ასევე ებრაული თალმუდისა და თანახის ნაწილს, ისტორიულ გადმოცემებს და ამასთანავე, აქვე იკვეთება ანტიკური ტრაგედიების გავლენაც.

მე-17 საუკუნის აბსოლუტიზმის ფონზე, დრამები – „ესთერი“ და „ათალია“ წარმოადგენს რასინის კარიერის კულმინაციას, მის შედევრებს, თავისებურ ანდერშსა და ეპიტაფიას. ტრაგიკული წინააღმდეგობები არასოდეს ყოფილა ასე მკვეთრად მიახლოებული ღვთისმეტყველებას.

საკვანძო სიტყვები: კლასიციზტური დრამა, რასინი, ბიბლიური სიუჟეტები, ესთერი, ათალია.

XVII საუკუნის საფრანგეთში თეატრი წარმოადგენდა იმ სასცენო სივრცეს, სადაც დრამატურგები ასახავდნენ თავიანთი დროის ზნე-ჩვეულებებს. კლასიციზმის ეპოქაში ტრაგედია ადამიანის სულის წინააღმდეგობებს გადმოსცემდა, რომელიც ტრადიციისა და ანტიკურობისადმი მიბაძვას შორის ესთეტიკურ შუალედს ქმნიდა. ეს რამდენიმე პრინციპი საფუძვლად უდევს მე-17 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის უამრავ ნამუშევარს, მათ შორის ჟან რასინის შემოქმედებას, რომელშიც დიდწილად ვნებათაღელვით აღსავსე გმირებია წარმოდგენილი. დრამატურგი-პოეტი ყოველთვის იცავდა კლასიციზმის ესთეტიკის პრინციპებს და ამის საფუძველზე ავითარებდა საკუთარ, ავტორისეულ თვალთახედვას.

შუა საუკუნეებში გარცელებული რელიგიური თეატრი შემოიფარგლებოდა უბრალო „ღვთისმოსავი საუბრებით“. კლასიკურ თეატრსა და სასულიერო ტრაგედიას წინააღმდეგობრივი მიზნები ჰქონდა, რადგან საღვთისმეტყველო თემატიკა ტრაგიკულ საგნებთან შეუთავსებელი ჩანდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ არისტოტელეს მიხედვით ძველანტიკური გმირები, როგორც წესი, წმინდანები და ღვთაებრიობამდე აყვანილი მაღალზნეობრივი ადამიანები იყვნენ. სენტ-ევრემონი (Saint-Evremond) 1672 წელს ძველი და თანამედროვე ტრაგედიის შესახებ მსჯელობისას წერდა, რომ დრამატურგიაში გმირს ბედი მართავდა და ამიტომაც მთავარი პოერსონაჟი არც მთლად კეთილი იყო და არც მთლად ბოროტი („le héros, mené par le destin, n'et ni tout à fait bon ni tout à fait méchant“), ეს ყოველივე კი

რელიგიური სულისკვეთებისგან განსხვავდებოდა. ამ აზრს იზიარებს მკვლევარი ბლანცი, რომელიც აღნიშნავს:

„L'esprit de notre religion directement opposé à celui de la tragédie. L'humilité et la patience de nos saints sont trop contraires aux vertus des héros que demande le théâtre...“ (Blanc, 2021).

„ჩვენი რელიგიის სული პირდაპირ ეწინააღმდეგება ტრაგედიას. წმინდანების თავმდაბლობა და მოთმინება ზედმეტად წინააღმდეგობრივია გმირების იმ სათნოებისა და ხასიათისა რასაც თეატრი ითხოვს.“ (ყველა თარგმანი ფრანგულიდან ეკა კვანტალიანისა).

მე-17 საუკუნის ქრისტიანებისთვის ძველი აღთქმა არ განიხილებოდა ახალი აღთქმისგან დამოუკიდებლად. ჟან რასინი რელიგიური თემატიკის პიესებში იყენებდა და იაზრებდა ძველ აღთქმისეულ წყაროებს. განსაკუთრებით აქტუალურია რასინთან სამყაროს რელიგიური აღქმა: ამქვეყნიურობის წარმავლობა და ამაოება (Vanitas_რაც ალეგორიული ხელოვნების სიმბოლიკით იყო წარმოადგენილი), მიწიერი ტანჯვა როგორც ღვთის განგების ნაწილი, რომელიც ასოცირდებოდა სტოიციზმთან (Loftis, 1958:541–544).

XVII საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული თეატრი კლასიციზტურია, სამი ერთიანობის კანონზომიერებით. დრამატურგია არეგულირებდა თეატრალური ენის მნიშვნელოვან ნაწილს, მისთვის დამახასიათებელი იყო ფრანგულის, როგორც სალიტერატურო და სახელმწიფო ენის გაწმენდა გასული საუკუნეების ლათინიზაციისაგან. ამაზე საინტერესოდ მსჯელობს ჟან-მარი პრადიე თავის კვლევაში „სცენა და სხეულის ფლობა“, რომელიც თეატრს აბსოლუტიზმის ეპოქის მარკერად მიიჩნევს და წერს რომ დრამატურგია:

„Régissant une bonne part du langage théâtral de l'époque, elles sont caractéristiques de ce qu'on appela plus tard le théâtre classique.“ (Pradier, 2000: 221).

„არეგულირებს რა იმდროინდელი თეატრალური ენის დიდ ნაწილს, ისინი ხასიათდებიან იმით, რასაც მოგვიანებით კლასიკურ თეატრს უწოდებდნენ“.

ნამდვილ რიტორიკულ სამკაულად მიიჩნეოდა მაღალფარდოვნებით და პათეტიკურობით ნათქვამი ფრაზები, რადგან ამას მოითხოვდა სამეფო კარის უკიდურესად დახვეწილი მანერების სავალდებულო ეტიკეტი, თუმცა რასინის ენა და სტილი იმდემად მაღალ, ერთიან ნაციონალურ-სახელმწიფო დონეზე იქნა აყვანილი, რომ შესანიშნავად იკითხება და არჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

კლასიციზტური დრამების მოქმედი პირები ინდივიდუალური თვისებებისგან დაცლილი აბსტრაქტული ტიპაჟები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა რასინის დრამატურგიისათვის დამახასიათებელია პიროვნულად ძლიერი და ფსიქოლოგიურად რთული ხასიათის გმირები – განსაკუთრებით, გამორჩეულია ქალთა სახეები (მაგ.: ესთერი, ათალია), სადაც ნოვატორად გვევლინება რასინი. ჟან რასინის დრამები ამავედროულად შინაგანი მოქმედების, ტრაგიკული ინტენსივობისა და პოეტური ინტუიციის სინთეზის სფეროშიც ნოვატორულია: ზოგი კრიტიკოსი თითქმის გულგრილია რასინის დრამების ფსიქოლოგიური კონსტრუქციის მიმართ, ზოგი კი პირიქით, „აღფრთოვანებულია“ ავტორისეული სიმკაცრითა და პიესების მოქმედების ერთიანობით (Sainte-Beuve, 1973: 260-264).

მე-17 საუკუნე გამოირჩეოდა მხოლოდ ახალი აღთქმისეული მომენტების წარმოჩენით და ძველბერძნული თეატრიდან ნასაზრდოები სიუჟეტებით. ჟან რასინის „ესთერი“ (1689 წ.) და „ათალია“ (1691 წ.) სავსეა ლიტერატურული ინოვაციებით. მაგალითად, პიესების მხატვრული აზროვნების მთავარი წყარო არის ნაწყვეტები ბიბლიური წიგნებიდან „ესთერი“, „მეოთხე მეფეთა“, „ნემტთა“ და სხვ. ასევე, ავტორმა ფართოდ გამოიყენა ძველი აღთქმის გადმოცემები, რომლებიც მიზანმიმართულად მიუსადაგა თანამედროვე მე-17 საუკუნის აქტუალურ პრობლემებს.

დრამებს „ესთერი“ და „ათალია“ წამდგარებული ჰქონდა წარწერა „წმიდა წერილიდან აღებული ტრაგედია“ (Tragédie tirée de l'Écriture sainte) და სიტყვები: „საღვთო წერილიდან აღებული პოეტური ნაწარმოები, შესაფერისი კითხვისა და გალობისთვის“ („Ouvrage de poésie

მოწყალების სადიდებლად უდანაშაულო ბიბლიური დედოფლის ესთერისა და ებრაელთა ერის გადარჩენის გამო (III მოქმედება, სცენა 9). ერთგან ვკითხულობთ:

„Je leur livre le sang de tous leurs ennemis.“ (v. 1183)

„მე ვაზღვევინე ყველა მათ მტერს სისხლით.“

რაც შეეხება პერსონაჟთა სახელების ეტიმოლოგიას, „ესთერის“ წიგნის მიხედვით, ესთერს ებრაულად „ადასა“ ანუ იგივე „ჰადასაჰ“, თარგმანით "მირტი" ერქვა, მაგრამ მან სახელი ესთერი მიიღო მაშინ, როდესაც მეფის ჰარამხანაში მიიყვანეს. ბევრი მეცნიერი ამ სახელს უკავშირებს ბაბილონის ღვთაებას – იშთარს, ქალღმერთს, რომელიც დაკავშირებულია პლანეტა ვენერასთან. ესთერის ბიძაშვილის (ან ზოგჯერ როგორც მოიხსენიებენ – ბიძის), სამეფო მოხელის სახელი – მორდოქაი მჭიდროდ უკავშირდება ბაბილონის მთავარ ღვთაებას – მარდუქს (Racine 1889 : 174–178).

ესთერი ებრაულად ნიშნავს "მე დავიმალეები". სინამდვილეში ესთერი მალავს თავის ნამდვილ იდენტობას, როგორც ებრაელი, რათა გამოავლინოს ის შესაფერის მომენტში, როდესაც საქმე ეხება იუდეველთა გადარჩენას ამანის მიერ დაკვეთილი ხოცვა-ჟლეტისგან. ბიბლიური ესთერი, ისევე როგორც რასინის დრამის მთავარი გმირი ესთერიც, დიდი ღვთისმოსავი დედოფალია, რომელსაც ავტორი ახასიათებს რწმენით, გამბედაობით, პატრიოტიზმით, წინდახედულობითა და საჭიროებისას სწრაფი და სწორი გადაწყვეტილების მიღებით. იგი მუდამ ერთგული და მორჩილი იყო ბიძისა და მზად იყო შეესრულებინა თავისი მოვალეობა და ეხსნა მშობელი ერი სისცოცხლის ფასად თუ საჭიროება ამას მოითხოვდა (Littman, 1975 : 330). ბიბლიურ წყაროში „ესთერის წიგნის“ პირველ სტრიქონში ესთერის ებრაული სახელი „ჰადასაჰ“, არ არის ბერძნული ტექსტების ვერსიებში და სავარაუდოდ, ებრაულ ტექსტს ახ. წ. II საუკუნეში ან უფრო გვიან ებრაელთა მიერ დაემატა (Lanson, 1903:141).

ტრადიციულად, ჟან რასინის „ესთერი“ ითვლება ტრაგედიად, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი არ მიიჩნევს, რომ ეს ნაწარმოები არის წმინდა სახის „ტრაგედია“. ამის საბუთად ასახელებენ იმას, რომ „ესთერს“ აქვს ბედნიერი დასასრული. ჩემი აზრით, აღნიშნულ მკვლევრებს მხედველობიდან რჩებათ ის, რომ პიესაში ჩვენ გვაქვს არა ე.წ. „გარეგანი ტრაგედია“, არამედ დრამა „შინაგანი ტრაგედიის“ პრინციპებით. პიესაში გმირების ტრაგიკულ ხვედრს აპირობებს მათი შინაგანი ფსიქოლოგიური ტრაგიზმი. მთავარი გმირის – ბიბლიური დედოფლის ესთერის პირადი განცდები კი დიდი დრამატული მოვლენების მძაფრ ფონზე არის ასახული (Deshusses, 1984: 178).

„ესთერის“ დრამატურგიულ სპეციფიკას ქმნის ის მომენტები, რომ ჟან რასინი ფაქტობრივად აკავშირებს გუნდსა და სიმღერას მოქმედებასთან (I მოქმედება, სცენები: 2 და 5; II მოქმედება, სცენა 8; III მოქმედება, სცენები: 3 და 9). რასინს განზრახული ჰქონდა ოპერის მსგავსი დრამა შეექმნა, რომელსაც, მისი თქმით, ამ გზით შეეძლო ბერძნული ტრაგედიის ნამდვილი სულისკვეთება გადმოეცა. გუნდი, რომელიც შედგებოდა სენ-სირის პანსიონის ახალგაზრდა მოსწავლე გოგონებისაგან, ემსახურებოდა მხოლოდ სცენების კომენტირებასა და შთაბეჭდილებების გაძლიერებას, მოქმედებების სხვადასხვა სიტუაციათა უკეთ გადმოსაცემად. მაშასადამე, ქოროს არანაირი პოლიტიკური ფუნქცია არ გააჩნდა, არამედ მხოლოდ დრამის ლირიკულ და პოეტურ დატვირთვას ითავსებდა.

რასინის „ესთერი“-ს და „ათალია“-ს პოეტიკის ბიბლიური და ანტიკური მოტივების ფილოსოფიურ-ლიტერატურული მოცემულობების გასაანალიზებლად, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კლასიციზმის თავისებურად განსხვავებული მხატვრული სისტემა, რომელიც ვითარდებოდა მე-17 საუკუნის განმავლობაში. რასინს „ესთერი“ უნდა შეექმნა იეზუიტური სკოლის მორალური ტრადიციიდან გამომდინარე, რომელიც სენ-სირის სასწავლებლისათვის იქნებოდა გათვლილი, ასევე, დამკვეთის – მადამ დე მენტენონისა და მეფე ლუი XIV-ის მოსაწონი უნდა ყოფილიყო. ამიტომ პიესა მხოლოდ ღვთისმოსაობასთან მიახლებას ასახავს.

გადმოცემათა ასპექტების შედარებითი ანალიზი, საშუალებას იძლევა ყურადღება გავამახვილოთ არა მხოლოდ იმ მსგავსებებზე, რაც რასინმა თანმიმდევრულად უცვლელად გადმოიღო ძველი ალექსის წიგნებიდან, არამედ იმ ინოვაციებზეც, რაც დრამატურგმა ანტიკური ავტორების მსგავსი სცენების სიუჟეტიდან სათანადოდ შესწავლისა და დამუშავების შემდეგ შეიტანა თავის პიესაში.

ჟან რასინი, ტრაგედიის შესახებ წერს, რომ თავდაპირველად პიესისთვის „იოასის“ დარქმევა სურდა, მაგრამ, რადგან ეს ამბავი ცნობილი იყო ათალიას შესახებ ისტორიული გადმოცემით, ავტორმა იგივე სახელი დაუტოვა – „ათალია“. რასინი თავად აღნიშნავს, რომ პიესის სათაურად ყველაზე ბუნებრივად სწორედ ეს სახელი ეჩვენა, მით უმეტეს, რომ დედოფალ ათალიას ტრაგედიაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, თუმცა იგი ესთერისაგან განსხვავებით ბოროტ და გრძნეულ დედოფლად მოიხსენიება.

ფაქტობრივად, სწორედ პიესა „ათალია“-სთან არის განსაკუთრებულად დაკავშირებული რასინის მიერ სიახლის შემოტანა ტრაგედიაში ტრაგიკული ალექსის შესახებ. ათალიას პერსონაჟი განსხვავებულია, ვიდრე ანდრომაქე, იფიგენია და ფედრა, რადგან მან არ იცის შინაგანი წინააღმდეგობა მოვალეობასა და გრძნობას შორის. მრავალი წლის განმავლობაში მის მიერ ჩადენილი სისასტიკე არანაირად არ ისჯებოდა, ის დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში:

„Le ciel même a pris soin de me justifier.“ (v.470)

„ზეცამ თვითონ იზრუნა ჩემს გამართლებაზე.“

იცვლება ცენტრალური პერსონაჟის როლი და დედოფალი ათალია ხდება ანტაგონისტი, რადგან პიესის პროტაგონისტი არ არის პიროვნება, არამედ ებრაელთა ღმერთია, რომლის გამარჯვებასაც ათალია ფინალში აღიარებს:

„Dieu des Juifs, tu l'emportes!“ (v.1769)

„იუდეველთა ღმერთო, შენ გაიმარჯვე!“

სწორედ, მსგავს სიტყვებს: „შენ გაიმარჯვე გალილეველო!“ სიძულვილით იმეორებს სიკვდილის ჟამს უკანასკნელი წარმართი მეფე იულიანე განდგომილი, რომელიც მეფობდა 351-353 წლებში და ქრისტიანების სასტიკი მძევნიელი იყო.

ჟან რასინმა ბიბლიურ ტრაგედიაში შემოიტანა ადამიანთა ქმედებების მიღმა (იანსენისტური გავლენით) ღვთაებრივი ძალის ნება. „ათალია“-ში იკვეთება არა მხოლოდ სიკვდილის საფრთხის წინაშე მყოფი პერსონაჟების ბედისადმი შიში, არამედ ღვთის განგებულებისა და უფლის გზების გაუცნობიერებლობის გამო გაუგებრობის განცდები. შემთხვევითი არ არის, რომ ახალგაზრდა იოასი, თუმცა იდეალის განსახიერებაა, შეშინებულია მასთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებით მომავალი დანაშაულების შესახებ, ათალია კი იმ მომენტში კვდება, როდესაც ნაბიჯს თავისი ცოდვილობის გასაცნობიერებლად გადადგამს. რასინისეული ტრაგედიების ყველაზე იდუმალი ფიგურა ღვთის ხატებაა, მაგალითად „ათალია“-ში ეს ხატსახე "ძველ დღეთა" ღმერთია.

ტრაგედია „ათალია“ წარმოდგენილი იყო რასინის სიცოცხლეში მხოლოდ ორჯერ სენ-სირის ქალთა პანსიონატში ლუი XIV-ის დროს, შემდეგ ვერსალში 1702 წელს, სამეფო სახლისთვის, სადაც მაღალი რანგის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ასევე, პირველი საჯარო სპექტაკლი ტრიუმფალურად დაიდგა Comédie Française-ის სცენაზე 1716 წელს. განმანათლებლები, უპირველეს ყოვლისა – ვოლტერი, აღფრთოვანებული იყო ტრაგედიით, მასში ხედავდნენ, პირველ რიგში, პროტესტს ტირანიის წინააღმდეგ, რომელსაც ათალია განასახიერებდა. რომანტიკოსებმა, პირიქით, ტრაგედიის იდუმალი, შემზარავი ატმოსფერო საუკუნის სულის ტკივილის ამოძახილად გაიაზრეს (Garrette, 2020:137-150).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ფრანგული კლასიკური დრამის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ჟან რასინი მეფის გამორჩეულად საყვარელი დრამატურგი იყო. ისტორიული გადმოცემით, მეფე თავად მონაწილეობდა რასინის სპექტაკლებში სამეფო კარის სცენაზე. ეს

გახლდათ ფრანგული თეატრის აყვავების პერიოდი, როდესაც პირველად გაჩნდა თეატრალური წარმოდგენების დახვეწის საჭიროება, ასეთი მაღალი რანგის სამეფო პირთა დიდი ინტერესის გამო. საყურადღებოა, რომ, სწორედ ამ ეპოქაში ჩნდება სცენაზე პირველად ფარდის არსებობის აუცილებლობა.

ჟან რასინის, როგორც ბრწყინვალე დრამატურგის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, დაწყებული მისი თანამედროვეობიდან დღემდე, როგორც ევროპაში, ასევე მთელ მსოფლიოში და რა თქმა უნდა საქართველოშიც. XIX საუკუნის დასაწყისში ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტის – ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია რასინისა და კორნელის ნაწარმოებთა თარგმანები. მას უთარგმნია რასინის „ესთერი“ და „ფედრა“, თუმცა „ესთერის“ ალექსანდრე ჭავჭავაძისეული თარგმანის მცირე ნაწილია არის შემორჩენილი დღეისათვის.

ყველაზე სრულყოფილი ასახვა კლასიციზმის პოეტურმა ნორმატივებმა, სწორედ რასინის შემოქმედებაში ჰპოვა პიესების „ესთერი“-სა და „ათალია“-ს სახით, რომელშიც თავისებური სიახლეც შემოიტანა ავტორმა, იმ მკაცრი წესების მიღმა, რაც ამ საუკუნის დრამატურგიისათვის იყო დამახასიათებელი. მაშასადამე, ჟან რასინი კლასიციზმის უდიდესი წარმომადგენელი და ამავდროულად დიდი ნოვატორიც გახლდათ, რომელმაც ფაქტიურად მე-18 საუკუნის განმანათლებლობისთვის მოამზადა ფრანგული ლიტერატურა.

ლიტერატურა

1. არჩვაძე, ზურაბ, ლეონიძე ნანა, *ფრანგული ლიტერატურის ისტორია*. აწეს გამომცემლობა, ტომი I, ქუთაისი, 2019.
2. Deshusses Pierre, *Dix Siècles De Litterature Francaise: Tome 1: Du Moyen Age Au 18e Siècle*, Bordas, Paris, 1984.
3. Garrette Robert, „Esther et Athalie, sommets de l'orthodoxie classique dans la tragédie ou points d'affleurement des valeurs modernistes ?" Scientific edition by Gérard Peylet "L'Apogée", Publisher: Presses Universitaires de Bordeaux, Pessac, 2020.
4. Goldmann, Lucien, "Le Dieu caché, Etude sur la vision tragique dans les Pensées de Pascal et dans le théâtre de Racine." *Revue d'Histoire et de Philosophie religieuses Année*, Paris, Édition: Gallimard, 1955.
5. Lanson G. *Études sur les origines de la tragédie classique en France*//Revue d'Histoire littéraire de la France. 1903. № X.
6. Littman, Robert J. "The Religious Policy of Xerxes and the Book of Esther". *The Jewish Quarterly Review*. 65 (3), January, 1975.
7. Loftis, J. "Racine and English Classicism". *Modern Language Notes*, 73 (7), 1958.
8. Pradier, Jean-Marie, *La scène et la fabrique des corps : ethnoscénologie du spectacle vivant en Occident (Ve siècle av. J.-C.-XVIIIe siècle)*, Presses Univ. de Bordeaux, 2000.
9. Racine Jean, *Esther, Tragédie (1689)*, Première édition in-12, Paris: Denys Thierry, 1889.
10. Sainte-Beuve Charles Augustin „Critique de Sainte-Beuve“, Bibliothèque de l'École libre des hautes études de New York, Publisher: Nouvelles Éditions Debresse, 1973.
11. Blanc Emmanuèle, *LES TRAGÉDIES BIBLIQUES DE JEAN RACINE*, Professeure de chaire supérieure de lettres, le 08/04/2021; www.eduscol.education.fr.

The Dramaturgical Specificity of "Esther" and "Athalie" by Jean Racine - Biblical Tragedies

Eka Kvantaliani

Abstract

The article presents the peculiarities characteristic of the dramaturgical specificity of Jean Racine's dramas "Esther" and "Athalie", based on biblical motifs. The main literary sources for Jean Racine's "Esther" and "Athalie" are based on biblical stories. These tragedies reveal the author's innovative style. The article analyzes the poetics of Racine's dramas reinterpreted on biblical stories - "Esther" and "Athalie", the study of biblical symbolism, semantic analysis of historical names, paraphrasing, understanding examples of trope thinking, etc. The synthesis of elements of antiquity and biblical motifs in the plays is also discussed. Against the backdrop of 17th-century absolutism, the dramas Esther and Athalie represent the culmination of Racine's career, his masterpieces, his own testament and epitaph.

Keywords: classicist drama, Racine, biblical stories, Esther, Athalie.

ბიბლიური სიუჟეტური თხრობით ახერხებს, ახსენებს ბიბლიურ პერსონაჟებს - მოსეს, აარონს, ილიას, ელისეს და იერემიას გოდებით აცოცხლებს და გადმოსცემს მთავარ სათქმელს, რომელიც თანადროული ეპოქის ჩარჩოშიც თავსდება და მის მიღმაც იხილება.

აკაკი წერეთელი ორი ლექსით „ურიული მოთქმითი ტირილი საქართველოში“ და „ირაკლის საფლავზე“ ვრცლად, ფართო ჭრილში იხილავს ტირილის სცენას, რომელიც მრავალასპექტიანია, მოიცავს რამდენიმე შრეს: ერის ისტორიულ მეხსიერებას, ტრადიციას, ქრისტიანულ არსს, ტირილთან დაკავშირებული ცრემლის შინაარსობრივ ასპექტებს, წუხილს, სინანულს... და, რაც მთავარია, სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემებს, რომელიც თავისთავში მოიაზრებს სიკეთე-ბოროტების არსს, წუთისოფელს, საფლავის კარს, იმ ფერისცვალებას, რასაც განიცდის სიცოცხლის არსის მატარებელი ადამიანი.

დასახელებული ლექსებით ავტორი, უპირველეს ყოვლისა, ორი ერის - ქართველების და ებრაელების ერთიან სივრცეში განთავსებით, მათ ერთობას ერთი ქრისტიანული რწმენის საფარველში აქცევს და ორივე ერის ტკივილს ერთი განცდით გადმოსცემს. თქმული უფრო შეიგრძნობა ლექსში „ირაკლის საფლავზე“, სადაც აკაკი წერეთლის ტკივილი ირაკლის, მეფე ერეკლეს გარდაცვალების გამო არის გამოწვეული, რაშიც არა მარტო მისი გარდაცვალების გამოა ცრემლი, გლოვა აღბეჭდილი, არამედ მთელი ერის ეროვნული ტკივილი შეიგრძნობა, რომელიც ზოგადკაცობრიული სევდაა სიკვდილის, სიცოცხლის, სევდა, გოდება ცოდვითმოსილი სამყაროსი, სადაც დაბადებაც და გარდაცვალებაც უცნაურია, რომლის შესახებ ქრისტიანული მსოფლმხედველობა გაჯერებულია ძველი და ახალი აღთქმის მონაცემებით, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი სწავლებებით.

ლექსში „ურიული მოთქმითი ტირილი საქართველოში“ (დაწ. 1907-8 წ.წ.) აკაკი წერეთელი საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა (ურიათა) ქრისტიანულ წესს წარმოაჩენს, სადაც იხილება, ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვლილის სხეულებრივი მდგომარეობა. ეს წესი კი ფერის განცდით, მისი სახისმეტყველებითი გააზრებით აქვს გადმოცემული:

„ახა, ნარინჯო, ნარინჯო,
შე ბროწეულო, იაო,
პირი ზურგისკენ გიქნია,
კისერი მოგგრეხიაო!...“ [5, გვ. 267].

ბოლო სტრიქონებში ნათლად არის ასახული ებრაელი ერის ქრისტიანულ-ტრადიციული წესი ადამიანის გარდაცვალებისას აღსასრულებელი. ჩემი ვარაუდით, ზურგისკენ პირის მიბრუნება წარსულისკენ ხედვა, სიცოცხლის საწყისი ძირებისაკენ შინაგანი თვალთ ხედვაა, რომელიც ყველა დროს ერთმანეთთან აკავშირებს და სიცოცხლის უწყვეტობას გულისხმობს. ეს ცვლილებები ფერის გააზრებით გადმოცემული, აერთიანებს ბნელ სამარეს და სამოთხეს, რომელთა გზაზე არეკლილია გაურკვეველობა, ჯერ კიდევ ძველ მწერლობაში გაჟღერებული ცხოვრების ფილოსოფია, ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი:

„საიდან მოხვალ? სად მიხვალ?
ჯერეც ვერ გაგვიგიაო!“ [5, გვ. 267].

აკაკი წერეთელი აღნიშნული საკითხის უკეთ გააზრებისათვის ასევე მოიხმობს ისეთ მატერიალურ საშუალებებს, როგორცაა ცული და ფული, ეს უკანასკნელი კი ბიბლიიდან იღებს სათავეს და დაკავშირებულია იესო ქრისტეს ცხოვრებასთან, მისი მოძღვრებების და დაწინაურების გამო როგორ გაჩნდა მის მოწაფეებში შური, ბოროტება, ურწმუნოება და მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ _ იუდამ 30 ვერცხლად გაყიდა. ე.ი. ფული ინახავს მატერიალური ცხოვრების თანამდევ ცოდვებსაც და მისით აღძრულ ამპარტავნებას, წუთისოფლის სიამესაც

და უკეთურებასაც...ფული, რომელიც ჯოჯოხეთსაც კი ანათებს, მაგრამ ვაითუ ფულმაც არ გასჭრას მოსაქრთამად, მაშინ გარდაცვლილს უნდა ჰქონდეს მეორე მატერიალური იარაღი ცული, ნივთიერი შესაძლებლობა, რომელიც ყოველგვარ პრობლემას მოაგვარებს.

ებრაელი ქრისტიანის გარდაცვალების ფაქტს იერემიას გოდებასთან აკავშირებს, გოდებას უთანაბრებს, მიცვალებულს ტირილით ამცნობს აკაკი და მოძღვრავს, რომ იერემიას უნდა გაანდოს ყველა ის დაუნდობლობა, წუთისოფლის თანამდევნი და აუცილებლად უნდა მიაწვდინოს ამაქვეყნის ხმა იმ სამყაროსთან შესარწყმელად, თან შეახსენებს, იმ სამყაროში მყოფთაც უნდა იცოდნენ სააქაო სატანჯველის შესახებ:

„ნურას დაჰფარავ! მეორედ
ხომ აღარ დაიბადები?
იქაურებსაც გადაეც,
რაც რომ აქ გაგიგიაო!“ [5, გვ. 268].

ებრაელი ერისთვის დამახასიათებელ აღნიშნულ წესს აკაკი ძველი აღთქმის მიხედვით მოიხმობს და მის აღსრულებას მიზანშეწონილად მიიჩნევს იქიდან გამომდინარე, რომ ახალი აღთქმაც მას ეფუძნება, სხვაობა არ იკითხება და უკეთესობაც არ ჩანს:

„შეხვედები მოსეს, აარონს,
ილიას, ელისესაო _
უთხარი: არ ვსტეხთ „ძველ აღთქმას“,
რაც რჯულმა დაგვიწესაო;
ვერ ვხედავთ ახალ რჯულებში
იმ ძველზე უკეთესსაო!
გადაგვამტერა ქვეყანა
იმან და დაგვაკვნესაო.
რაც ურიებმა დასთესეს
ქრისტიანებმა მკესაო
და დაგვრჩენია ნუგეშად
მხოლოდ ქურდული ქესაო.
უთხარი, ნურას დაჰფარავ,
რაც ტანჯვა მიგვიღიაო“ [5, გვ. 268].

წუთისოფლის სატანჯველის განცდა ბიბლიურ პერსონაჟთათვის უცხო არ იყო, უპირველესად, მათ შეიგრძნეს, განიცადეს და გაითავისეს წუთისოფლის წარმავლობის მძიმე ტვირთი და მისგან გამოწვეული ხვედრი, რომლის თანაზიარი მთელი კაცობრიობა გახდა.

აკაკი წერეთელი სინანულით გამოთქვამს მწუხარებას იმის შესახებ, რომ:
„გაბნეული ვართ ყოველგან
სხვადასხვა უცხო მხარესა,
ვერ ვხედავთ იერუსალიმს
იმის მზეს, მისსა მთვარესა“ [5, გვ. 268].

აკაკი წერეთელმა ამ ერთ სტროფში არსებობის განმსაზღვრელი მთელი ცხოვრების არსი განჭვრიტა. სათქმელი მრავალ აზრს განითავსებს, კერძოდ, ერების გაბნევა _ დაშორებას, მათ განსხვავებულ დრო-სივრცულ განზომილებაში ყოფნას მოიაზრებს, რაც კიდევ უფრო აჩენს უფსკრულს ერთი ქრისტიანული მრწამსის ერთა შორის, რომელთა ხვედრი თანაზიარია, ერთი ბიბლიურ-ქრისტიანული მსოფლმხედველობით გაჯერებული და ნასაზრდოები; იერუსალიმი _ სასულიერო სიბრძნის წყარო გახდა საფუძველი ქრისტიანულ ერთა სულიერი მრწამსის ჩამოყალიბებისა... „იერუსალიმი, გადატანილი მნიშვნელობით, „ეკლესია“ (გალ. 4, 25-26; ებრ.

12, 22) [3, გვ. 191]. ქართულ მწერლობაში ცნობილია, რომ გელათის აკადემია მეორე იერუსალიმად, ე. ი. მეორე სასულიერო კერად იქნა გააზრებული. ქართული და ებრაული ქრისტიანული სამყარო გათანაბრებულ იქნა ქართველ მოაზროვნეთა მიერ მათი საღვთო მისიიდან გამომდინარე. იერუსალიმის მზე იგივე ღვთაებაა, ღმერთი ქართულ-ებრაული ქრისტიანული მრწამსის ერთიანობის გამომხატველი, როგორც თვით ღმერთი არის ერთარსი, ერთი მთელი სამი პირის განმთავსებელი; ის არის მთავარი ძალა, შემქმნელი და მფარველი ქრისტიანული სამყაროსი და არა მარტო, ასევე დამსახავი და განმსაზღვრელი მომავალი არსებობისაც. აკაკი წერეთელი მთელ ბიბლიურ, საღვთისმეტყველო ცოდნას ფლობს, მასზე აყრდნობს ამქვეყნიური ცხოვრების არსებობას, წუთისოფელს ათავსებს ღვთაებრივობით აღსავსე სოლომონის ტაძარში, რომელიც რჯულის ტაძარია, საყდარია, ქრისტიანთა სულის მასაზრდოებელი და მკურნალი „გულდამწვარი“, „სისხლმდუღარე“ ქართველი ერის:

„... უცხო ვართ ყველა ხალხებთან,

გრემლს ვაქცევთ მუდამ მწარესა!“ - წერს პოეტი, რომლის გულისთქმაში გაუცხოებას, ქრისტიანული სამყაროსგან დაშორებულად, მწირად მოიაზრებს თავის სამშობლოს, ერს, რომლის დაშორება წმინდა ქრისტიანულ სამყაროსაგან, მასში აღძრავს დარდს, ტკივილს, ცრემლს (უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკის ნააზრევში ძალიან დიდი ადგილი განეკუთვნება ცრემლს, როგორც დარდის გამომხატველსა და განმქარველს, სინანულის სათნოებით რომაა გაჯერებული... ცრემლი ერთდროულად გამოხატავს მის პირად არასახარბიელო ცხოვრებასაც და მთელი ერის სატანჯველსაც) [1] ... იგი იწვევს შინაგანი ტკივილის შემსუბუქებას. ცრემლი ღმერთთან სიახლოვის ნიშანია და გამოიხატება მწუხარებით და ლოცვით. ბიბლიის ლექსიკონის მიხედვით: „ლოცვას თან უნდა ახლდეს „ცრემლები“ (I მეფ. 1, 10; ეზრა, 10, 1; ნემ. 1, 4; იერ. 31, 9; ოს. 12, 5) [2, გვ. 282].

წმიდა იოანე ოქროპირის დამოდვრით: „არარად მიგუაახლებს ღმერთს უფროდს ცრემლთა ღმობიერთა... დაითხინიან ცრემლნი მჭურვალენი ღმობიერთად, განანათლიან სიბნელე იგი ცოდვის და ვითარცა იგი წყლისგან და სულისა განვიწმიდენით პირველად, ეგრევე აწ ტირილითა და აღსარებითა ცოდვითათა განვიწმიდებით კუალად და უფროდსა“ [4, გვ. 132-133].

აკაკის, როგორც ქრისტიანული რწმენით გაჯერებულ ადამიანს, სწამს, რომ წუთისოფელში რაც წილად ერგო მოკვდავ ადამიანს, მხოლოდ ამქვეყნად მოიხმარება, გაგიკვალავს გზას „იმ“ ქვეყნისთვის, ესაა ერთგვარი საგზალი, საზრდო, შემწე მარადიული სიცოცხლის მოსაპოვებლად, სამოთხის კარის შესაღებად და დასამკვიდრებლად. სამოთხისაკენ სწრაფვა, მისი დაუფლება, მთავარი მიზანი, შემავსებელია წუთისოფლის სივრცეში არსებული იმ დანაკლისისა, რომლის ამოვსება წუთისოფლის წარმავლობის პირობებში შეუძლებელი და მიუწვდომელია; აკაკი წერეთელი დიდ ტკივილს გამოხატავს ადამიანის გარდაცვალების გამო, მისტირის არა მარტო ერთი ადამიანის, არამედ ადამის მოდგმის, ცოდვითმოსილი კაცობრიობის წარმავლობის გამო, ცოდვა ხომ თავისთავში წარმავლობას, დროებით ყოფნას მოიაზრებს, იმ გარდაუვალი ფერისცვალების გამო, რასაც ყველა მოკვდავი თანაუზიარება.

აღნიშნული პრობლემების შესახებ მსჯელობა ავტორის მხრიდან ყურადღება გამახვილებულია შედარებით ადრე დაწერილ ლექსში „ირაკლის საფლაგზე“ (დაწ. 1898 წ.), რომელიც დატვირთულია პრობლემატური, ეპოქისეული საკითხებით, სადაც მოიაზრება ერთდროულად ისეთი მსოფლმხედველობრივი პრობლემები, როგორცაა პატრიოტიზმი, სოციალური, რელიგიური საკითხები, სადაც იკითხება ერის არსებობის განცდა, მეფის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის მხატვრულად გარდაქმნილი პერსონაჟის პიროვნებაში ჩადებული ქრისტიანული იდეალი... ეს საკითხები ნათლად ჩანს ჯერ კიდევ სათაურშივე,

სადაც ავტორს გამოაქვს სათქმელი მკითხველის წინასწარ დასამოდვრად. აკაკი წერეთელი ირაკლის საფლავზე, როგორც დიდებული აჩრდილის ქვეშ მყოფი, გაიაზრებს სიცოცხლის ფილოსოფიურ არსს... საფლავი ინახავს და ასახავს სიცოცხლის ქრონოტოპს, ის არის ადგილი, შესაკრებელი სულისა და ხორცის, ზღვარი სულიერი არსებობისკენ მიდრეკილი, დამსახავი უკვდავების, მარადიული არსებობისა. საფლავის, წარმავლობის და, ამავე დროს, მარადიულის განცდა მკვეთრი ხაზით გასდევს აკაკის მსოფლმხედველობას. „საფლავი გარდამავალი საფეხურია ორ სოფელს შორის – წუთისოფელსა და მარადიულს რომ აკავშირებს, ერთი წარმავალი ცხოვრება მეორე მარადიულ არსებობას ერწყმის და ქმნის ერთი დიდი მთლიანი არსებობის განმსაზღვრელს...“ [1, გვ. 406].

ლექსის „ირაკლის საფლავზე“ სათაურში გამოტანილი სათქმელი შემდეგ მთელი ლექსის სტრიქონებში ვრცლად, მთელი ცხოვრების სიბრძნის ღრმა ცოდნით არის გადმოცემული. დასახელებულ ლექსშიც, პირველ რიგში, გამჟღავნებულია, სიცოცხლის რელიგიურ-ფილოსოფიური ხედვა, რომელიც ძველ ქრისტიანულ სამყაროსთან, იერუსალიმურ ქრისტიანულ საწყისზეა დაფუძნებული, ავტორი იერემიას გოდებას აქაც მოიხსენიებს, ერთი ტირილის ქვეშ აერთიანებს ორი ერის სულიერ ტკივილს, მათი სახით მთელი ცოდვითმოსილი კაცობრიობის ხვედრს, სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემებს, რომელიც მთელ წუთისოფელშია განფენილი.

ლიტერატურა

1. ბეთხოშვილი 2022 - ბეთხოშვილი, დ., აკაკი წერეთლის შემოქმედების მსოფლმხედველობრივი პრობლემები, მონოგრაფია, I, თბ., 2022.
2. ბიბლიის ლექსიკონი (მასალები) 2000ა - ბიბლიის ლექსიკონი, მასალები, ტ. I, შემდგენლები ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე, რედ., ზ. სარჯველაძე, Printed in the Netherlands, 2000.
3. ბიბლიის ლექსიკონი (მასალები) 2000ბ - ბიბლიის ლექსიკონი, მასალები, ტ. II, შემდგენლები ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე, რედ., ზ. სარჯველაძე, Printed in the Netherlands, 2000.
4. მამათა სწავლანი 1955 - მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, ილია აბულაძის გამოცემა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955.
5. წერეთელი, 1980 - წერეთელი აკ., თხზულებანი, თბ., 1980.

For the understanding of two poems by Akaki Tsereteli ("Uriuli Motkhimiti Tirili in Georgia", "At the Grave of Irakli")

Dali Betkhashvili

Abstract

Akaki Tsereteli holds an important place in Georgian artistic thought of the second half of the nineteenth century. His worldview included a number of epochal problems, among which one of the characteristic features of the Jewish tradition existing in the Georgian national space is worth noting - the weeping scene, where its characteristic features are shown, reflecting the psychology of the nation during the period of death, its characteristic features, where the Christian elements defining the existence of the nation are reflected, combined with everyday details that are characteristic only for them and distinguish them from others. Akaki Tsereteli, as a creator, conveys the everyday details characteristic of the Jewish people through artistic reinterpretation, but for greater persuasiveness, to give them more spiritual content, he seeks a religious garb and manages to address this issue through a biblical narrative, bringing to life biblical characters - Moses, Aaron, Elijah, Elisha and Jeremiah - with lamentations and conveying the main message, which is both within the framework of the contemporary era and seen beyond it. In two poems, "Uriuli Motkhimiti Tirili in Georgia" and "On the Grave of Irakli," Akaki Tsereteli examines the scene of weeping in detail, from a broad perspective, which is multifaceted and includes several layers: the historical memory of the nation, tradition, the Christian essence, the content aspects of tears related to crying, sorrow, regret... and, most importantly, the problems of life and death, which include the essence of good and evil, the world, the door of the grave, the transformation that a person who carries the essence of life experiences. The author also mentions Jeremiah's Lamentations here, uniting under one cry the spiritual pain of two nations, the fate of all sinful humanity in their form, the problems of life and death, which are spread throughout the world.

Key words: Akaki Tsereteli, Jew, Georgian, national, crying, tears, King Erekle, Jerusalem.

0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა LITERATURE AND LINGUISTICS

სოფისტები - პროფესიონალი მასწავლებლები

ვერა წერეთელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: vera.zereteli@atsu.edu.ge

მანანა ნიკოლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: manana.nikoladze@gmail.com

რეზიუმე

სოფისტები იყვნენ პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებიც, ძირითადად, მოდიოდნენ მცირე აზიის ბერძნული კოლონიებიდან და იტალიის იმ ნაწილიდან, რომელიც Magna Graecia სახელწოდებითაა არის ცნობილი. ისინი ცდილობდნენ ადამიანებისათვის ესწავლებათ, თუ როგორ გამხდარიყვნენ თავიანთი ქვეყნის წარჩინებული მოქალაქეები. სოკრატემ, პლატონმა და არისტოტელემ სოფისტური მოძღვრების ნაკლოვანი მხარეები მწვავედ გააკრიტიკეს, მაგრამ სწავლების სოფისტურმა მეთოდებმა ღრმა კვალი დატოვეს სააღმზრდელო პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: სოფისტები, ლოგიკური ამოცანები, სოფისტური მოძღვრება.

სოფისტების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ რევოლუცია მოახდინა აღზრდა-განათლების სფეროში. სოფისტები იყვნენ პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებიც, ძირითადად, მოდიოდნენ მცირე აზიის ბერძნული კოლონიებიდან და იტალიის იმ ნაწილიდან, რომელიც Magna Graecia სახელწოდებითაა არის ცნობილი. ისინი ცდილობდნენ ადამიანებისათვის ესწავლებინათ, თუ როგორ გამხდარიყვნენ თავიანთი ქვეყნის წარჩინებული მოქალაქეები.

სოფისტები ასწავლიდნენ ასტრონომიას, გეომეტრიას, არითმეტიკას, გრამატიკასა და ლიტერატურას; მზად იყვნენ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი გაეცათ და დამახსოვრების ისეთი სისტემა ჰქონდათ შემუშავებული, რომ ორმოცდაათსიტყვიანი ჯაჭვი ერთხელ რომ მოესმინათ, შეეძლოთ მისი გამეორება. მათი საყვარელი საგანი იყო მათემატიკა, განსაკუთრებით კი, გეომეტრია. მოდაში შემოვიდა მათი სააზროვნო, ლოგიკური ამოცანები და მათი ამოხსნის გზები, რომლებიც ევკლიდემ თავის ტრაქტატში გააერთიანა. ისინი ასწავლიდნენ გეოგრაფიასა და ისტორიას, თუმცა ყველაზე პოპულარული მაინც იყო რიტორიკის შესწავლა. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ადამიანი ცდილობდა ადგილი დაემკვიდრებინა სამყაროში და რადგანაც პოლიტიკა და სასამართლო ცნობადობის მიღწევის იოლი გზა იყო, ორატორულ ხელოვნებას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ეუფლებოდა (შდრ. უატსონი 2001: 139-161). სოფისტები ასწავლიდნენ ხალხს, როგორ შეემკოთ მათი გამოსვლები მაღალფარდოვანი ფრაზეოლოგიით, როგორ ემოქმედათ აუდიტორიის გრძნობებზე და, რაც მთავარია, როგორ ეკამათათ სხვადასხვა საკითხზე.

სოფისტები რეგულარულ გაკვეთილებს ატარებდნენ რიტორიკაში. ფასი დამოკიდებული იყო კურსის ხანგრძლივობაზე. სოფისტი მასწავლებლები სტუდენტებს აძლევდნენ გარანტიას, რომ კურსის დასრულების შემდგომ მოიგებდნენ ნებისმიერ სასამართლო პროცესს. ისინი ქალაქიდან ქალაქში ლექციებს უკითხავდნენ მათ, ვისაც შეეძლო სწავლის საფასურის გადახდა. თანხა მაღალიც იყო (უატერფილდი 2000: 203-205). მაგალითად, არისტოტელის ათას დრამას ითხოვდა ჩატარებული ლექციების კურსის სანაცვლოდ; ისოკრატესიც ამავე თანხას იღებდა. ცნობილია ფაქტი, რომ როდესაც დემოსთენესმა მას 200 დრამა შესთავაზა მთელი კურსის მეხუთედი ნაწილის მოსასმენად, ისოკრატესმა უპასუხა: „მე ვერ დავეყოფ ჩემს სალექციო კურსს ნაწილებად!“ (პლუტ. ორატ. ცხოვრ. X, 4). ზოგი ღარიბი სტუდენტი მთელ ღამეს ათევდა მუშაობაში, მაგალითად, წისქვილში, იმისათვის, რომ შეეგროვებინათ თანხა და დილით სოფისტების ლექციებს დასწრებოდნენ.

ყველა პროფესიონალი სოფისტისაგან განსხვავებით, სოკრატე არ იღებდა გასამრჯელოს ჩატარებული გაკვეთილების სანაცვლოდ. ამან ის სიღარიბემდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა, იგი აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. სოკრატე ხშირად შეაჩერებდა გამვლელებს და დაუწყებდა რაღაც პრობლემაზე დისკუსიას. სოკრატემ განავითარა სწავლების მისეული - „დიალექტიკური“ მეთოდი. მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტი იმავე ენერჯიას ხარჯავს, რასაც მასწავლებელი (იხ. ბრიკჰაუსი 2000: 54–68). ანუ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს უამრავ შეკითხვას და ცდილობს, თავად მიიყვანოს ისინი სწორ პასუხამდე. სოკრატე ფიქრობდა, რომ მას საღმრთო მისია ჰქონდა დაკისრებული – ადამიანთათვის გონება გაენათებინა და ისინი სწორი აზროვნებისაკენ წაეყვანა. პრაქტიკულად, ყველაფერი, რაც ჩვენ მის შესახებ ვიცით, არის მისი ორი მოწაფის - ქსენოფონისა და პლატონის დამსახურება. ისინი სოკრატეს ზეგავლენას განიცდიდნენ. ისოკრატესმა, გორგიასის მოწაფემ, დააარსა პოლიტიკური რიტორიკის სკოლა, სადაც პოლიტიკური ფილოსოფია წამყვანი დარგი იყო, მაშინ როცა პლატონი ათენში დაბრუნდა და დააარსა აკადემია (მიჩელინი 2003: 8–15).

პლატონი მისი სიცოცხლის ბოლო 40 წლის განმავლობაში თავის საკუთარ სახლში უტარებდა ლექციებს მოსწავლეებს აკადემუსის ტყეში. პლატონის გარდაცვალების შემდგომ (ძვ.წ.ა. 347 წ.), მისმა ძმისშვილმა სპეუსიპუსმა მემკვიდრეობით მიიღო მისი მამული, რომელიც შემდგომ მან დაუტოვა საკუთარ მოსწავლეებს. ლიცეუმი იყო არისტოტელეს მიმდევრების თავშეყრის ადგილი, რომელიც ასევე კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. ეპიკურელთა სკოლამ დაიწყო ფუნქციონირება ეპიკურესის ბაღში, რომელიც ფილოსოფოსთა ერთ-ერთ მიმდევარს ეკუთვნოდა გარკვეული პერიოდის მანძილზე (საიდი 1999: 79–96). როგორც ჩანს, მხოლოდ სტოიკოსებს არ გააჩნდათ კერძო საკუთრება. ეს სკოლები საერთო სამმოს წარმოადგენდა და მათ ჰქონდათ ერთი საერთო მიზანი: ცოდნის შეძენა და გადაცემა სტუდენტებისათვის. ამ სკოლებში მოდიოდნენ მოსწავლეები საბერძნეთის ყველა კუთხიდან უმაღლესი განათლების მისაღებად. მათი წყალობით, ათენი ინარჩუნებდა, სულ მცირე, ქრისტესშობამდე ფილოსოფიური აზროვნების ცენტრის ფუნქციას.

რეგულარული სოფისტური სკოლები ძვ.წ.ა. IV საუკუნეში ჩამოყალიბდა ორ დიდ გიმნასიონში. ერთის ხელმძღვანელი იყო პლატონი, მეორის – არისტოტელე, პლატონის მოსწავლე. მანამდე სოფისტები უტარებდნენ მოსწავლეებს გაკვეთილებს იქ, სადაც სწავლამოწყურებულ ახალგაზრდებს ნახავდნენ ერთად შეკრებილს. გასაოცარ ენთუზიაზმს ანთებდნენ ისინი ახალგაზრდებში. მათი გავლენით უსაქმურმა ახალგაზრდებმა ქვიშაში გეომეტრიული ფიგურების ხატვა დაიწყეს. მოსწავლეები იმდენად მოიხიბლენ სოფისტთა გაკვეთილებით, რომ მათ მიჰყვებოდნენ სხვადასხვა ქალაქებში. ახალგაზრდობასთან ერთად, ზრდასრული ხალხიც აიყოლიეს სოფისტებმა. „გადმოცემის თანახმად, დიდმა პერიკლესმა ნახევარი დღე გაატარა ერთ-ერთ მასწავლებელთან დებატებში ერთი უბედური შემთხვევის განხილვისას: ცხენი ემსხვერპლა გასროლილ შუბს და გაჩნდა შეკითხვა: ვინ იყო დამნაშავე? - შუბი, ადამიანი, რომელმაც ის ისროლა, თუ რბოლის ზედამხედველი?“ (რობინსონი 1933: 145).

წიგნების კითხვა პოპულარული გახდა ხალხში. პლატონი თვლიდა, რომ ფილოსოფოსთა შრომები ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, ამიტომ ხდებოდა წიგნების გადაწერა სპეციალურად ეგვიპტიდან შემოტანილ პაპირუსებზე (კენიონი 1932: 33–78).

სოფისტებისაგან გამორჩეული იყო პროტაგორასი ადბერადან (ძვ.წ.ა. 480-410 წწ.). ის თავის თავს უწოდებდა „ღირსების“ მასწავლებელს და ამ ღირსებაში გულისხმობდა არა მორალს, არამედ იმ თვისებებს, რომელიც ადამიანს საშუალებას მისცემდა საზოგადოებაში ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა. იგი 40 წლის განმავლობაში მოგზაურობდა მთელს საბერძნეთში, კარგა ხნით ცხოვრობდა ათენში და დიდი პოპულარობა მოიპოვა თავისი ლექციებით. პლატონი, მიუხედავად იმისა, რომ სოფისტების პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, პროტაგორასს ყველგან დიდი პატივისცემით მოიხსენიებდა და ნათლად აღწერდა, თუ რა ვნებათაღელვას იწვევდა მისი ყოველი გამოჩენა ათენელ ახალგაზრდებში. სოკრატე

გადმოგვცემს, ერთ დილას ჰიპოკრატემ როგორ მიუბრაზუნა კარზე, შევარდა შიგნით და ყვიროდა ბოლო ხმაზე: „პროტაგორასი ჩამოვიდა“ (პლატ. პროტ. 310, 315). ჰიპოკრატემ სოკრატე წაიყვანა მასთან შესახვედრად. როცა მივიდნენ კალიასის სახლში, სადაც იმყოფებოდა პროტაგორასი, იქ დახვდათ მოწაფეთა ბრბო, უმეტესად უცხოელები ანუ ის ხალხი, რომელიც პროტაგორასს დაყვებოდა ერთი ქალაქიდან მეორეში. აქვე იყვნენ ცნობილი ათენელები: კრიტიასი, ალკიბიადესი და პერიკლესის ორი ვაჟი, პროდიკუსი კეოსიდან, ევნოსი პაროსიდან, და ჰიპიასი ელისიდან (დობსონი 1932: 51).

სოფისტების სწავლებას ცუდი მხარეებიც ჰქონდა (შდრ. უათერფილდი 2000: 67–68). მათ ხალხს ჩამოუყალიბეს ზედაპირული ცოდნის მიღების სურვილი. სოფისტების გავლენის ქვეშ მოქცეული პოლიტიკოსები თავგამოდებით ამტკიცებდნენ იმას, რაც შესაძლოა, არ ყოფილიყო მართალი და ამ მეთოდების გამოყენებას ისინი ამართლებდნენ ეროვნული ინტერესებით. სოფისტები ძალიან ბევრს მსჯელობდნენ მორალზე, ცდილობდნენ პასუხი გაეცათ შეკითხვაზე: როგორ უნდა იპოვოს ადამიანი ბედნიერება? ზოგი ამბობდა, ინსტიტუტებს უნდა მიჰყევსო, სხვანი - კარგი ცხოვრებით უნდა იცხოვროსო. რა არის კარგი ცხოვრება? ნიშნავს ეს - საზოგადოებრივი წესების დაცვას? თუ ის უნდა აკეთოს ინდივიდმა, რასაც თავად თვლის სწორად? კამათი ამ საკითხებზე ყოველთვის იყო მწვავე და არგუმენტირებული.

სოფისტურ შეხედულებებზე დაყრდნობით, ცნობილმა ორატორმა ისოკრატესმა ჩამოაყალიბა ἔγκυκλιος παιδεία-ის („წრიული“ ანუ „ზოგადი აღზრდა“) კონცეფცია (გორდეზიანი 2007 : 235). აქედან წარმოიქმნა ტერმინი ენციკლოპედია და საფუძველი ჩაეყარა საცნობარო ლიტერატურის შექმნას, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებაში ზოგადი განათლების დონის ამაღლებას.

უნდა ითქვას, რომ სოფისტებმა თითქოს ხასიათი შეუცვალეს ბერძნებს. მათში ჩაკლეს სახელმწიფოსათვის თავდადების სურვილი. ხალხმა პირადი ინტერესები წამოსწია სახელმწიფო ინტერესების წინ. ათენელებიც კი გაზარმაცდნენ და უკვე ერჩივნათ დაქირავებულ მეომრებს ებრძოლათ მათ ნაცვლად. მდიდართა სასახლეების ბრწყინვალეობა მეტოქეობას უწევდა საზოგადოებრივი ძეგლების მშენებლობას. ძვ. წ. ა. IV საუკუნე საბერძნეთის ისტორიაში ინტრიგების, შურისძიებებისა და არაკეთილსინდისიერი დიპლომატიის საუკუნეაა ცნობილი. თითოეული კაცი თავად წერდა კანონებს და ის მტკიცე ჯაჭვი, რომლითაც შეკრული იყო მთელი ქალაქ-სახელმწიფო, ნელ-ნელა მოეშვა.

მართალია, სოკრატემ, პლატონმა და არისტოტელემ სოფისტური მოძღვრების ნაკლოვანი მხარეები მწვავედ გააკრიტიკეს, მაგრამ სწავლების სოფისტურმა მეთოდებმა ღრმა კვალი დატოვეს სააღმზრდელო პრაქტიკაში (შდრ. მიჩელინი 2003: 40–50).

ლიტერატურა

1. გორდეზიანი 2007 – გორდეზიანი რ., დანელია მ. (2007). კლასიკური ფილოლოგიის შესავალი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
2. რობინსონი 1933 – Robinson C. E. (1933). *Everyday Life in Ancient Greece*. Oxford: Clarendon Press.
3. ბრიკჰაუსი 2000 - Brickhouse T. Nicholas D Smith. (2000). *The philosophy of Socrates*. Boulder Co: Westview press
4. კენიონი 1932 – Kenyon F. G. (1932). *Books and Readers in Ancient Greece and Rome*. Oxford: The Clarendon Press.
5. მიჩელინი 2003 – Michelini A. N. (2003). *The Rhetoric of Philosophy: Plato as Author*. Boston: Brill
6. უათერფილდი 2000 – Waterfield R. (2000). *The First Philosophers: The Presocratics and Sophists*. Oxford: Oxford University Press.

Sophists -Professional Teachers

Vera Tsereteli, Manana Nikoladze

Abstract

Sophists were professional teachers, who mainly came from Asian Greek colonies and the part of Italy, which is known as Magna Graecia. They tried to teach people how to become outstanding citizens of their country. Socrates, Plato and Aristotle criticized sophistic teaching drawbacks, but sophistic teaching methods had great impact on teaching-nurturing practice.

Key words: Sophists, logical tasks, sophistic learning.

რასინის მიერ ანტიკური მითის ინტერპრეტაცია გამოირჩევა რამდენიმე ინოვაციური მახასიათებლით:

1. ფსიქოლოგიური რეალიზმი: პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს დეტალური ანალიზი, ფსიქოლოგიური მოტივაციების სიღრმისეული კვლევა, ემოციური მდგომარეობების ნიუანსირებული აღწერა.
2. მორალური დიალექტიკა: მორალური არჩევანის კომპლექსურობის წარმოჩენა, პიროვნული პასუხისმგებლობის საკითხის აქტუალიზაცია.
3. სულიერი განწყობის კონცეფცია: კათარსისის თანამედროვე გააზრება, პიროვნული ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზი, მორალური აღდგენის გზების ძიება. (Maulnier, 1947: 34).

ნაწარმოების მთავარი ფიგურაა დედოფალი ფედრა, რომელსაც შეუყვარდა თავისი გერი იპოლიტი. აცნობიერებს რა თავისი სურვილის ტრაგიკულობას, ფედრა საკუთარ თავთან მძაფრ კონფლიქტშია სასიყვარულო ვნების, სირცხვილისა და ზნეობრივი მოვალეობის გამო.

ფედრას გზა წარმოადგენს ადამიანის შინაგანი ევოლუციის მაგალითს, სადაც აკრძალული ვნება და მორალური ვალდებულებები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ფედრას შინაგანი გზა სწორედ აქედან იწყება - აკრძალული სიყვარულით თავისი გერის, იპოლიტის მიმართ. ეს გრძნობა მასში იწვევს ღრმა შინაგან კონფლიქტს - ერთი მხრივ არის დაუოკებელი ვნება, მეორე მხრივ კი მორალური ვალდებულებები მეუღლისა და საზოგადოების წინაშე. რასინი ოსტატურად გვიჩვენებს ამ შინაგან ბრძოლას პერსონაჟის მონოლოგებში.

J'ai conçu pour mon crime une juste terreur;
J'ai pris la vie en haine, et ma flamme en horreur.
Je voulais en mourant prendre soin de ma gloire;
Et dérober au jour une flamme si noire“ (Racine, 1999: 91).

თავს დატეხილი ძლიერი ვნების გამო მას აღარ შეუძლია კონტროლი გაუწიოს საკუთარ თავს. ეს დილემა განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩინდება III მოქმედების I სცენაში, როდესაც ენონა ურჩევს, სახელმწიფოს მმართველობით დაკავდეს და თავს მოერიოს, გაღვივების ნაცვლად მასში არსებული ვნების ცეცხლი ჩააქროს:

„Ainsi, dans vos malheurs ne songeant qu'à vous plaindre,
Vous nourrissez un feu qu'il vous faudrait éteindre.
Ne vaudrait-il pas mieux, digne sang de Minos,
Dans de plus nobles soins chercher votre repos;
Contre un ingrat qui plaît recourir à la fuite,
Régner, et de l'État embrasser la conduite ?“ (Racine 1999: 99)

რაზეც ფედრა პასუხობს:
„Moi, régner ! Moi, ranger un État sous ma loi
Quand ma faible raison ne règne plus sur moi !
Lorsque j'ai de mes sens abandonné l'empire !
Quand sous un joug honteux à peine je respire !
Quand je me meurs !“ (Racine 1999: 99)

ფედრას ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ იგი სრულად აცნობიერებს თავისი გრძნობების უკანონობას, მაგრამ ვერ ახერხებს მათ დაძლევას. მისი ცნობიერება გახლეჩილია ვნებასა და მოვალეობას შორის. მას წარმოუდგენელი შინაგან კონფლიქტი აქვს საკუთარ თავთან. იპოლიტის მიმართ სიყვარული მას ტანჯავს და უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს, ეს გრძნობა მას ტვირთად ექცა. ფედრა ამ ტანჯვას საკუთარ თავს უმაღლავს და ცდილობს, განერიდოს. მორალურ - რელიგიური მრწამსისა და ვნება- სიყვარულის ჭიდილი მას მძიმე მდგომარეობაში აგდებს:

"Les dieux m'en sont témoins, ces dieux qui dans mon flanc

ზნეობრივი წონასწორობა. ამ ეტაპზე ფედრას ტრაგიკული ფინალი – შხამის მიღება – პიროვნული და ეთიკური განწმენდის უმაღლესი ფორმა (Forestier, 1999: 45).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჟან რასინთან კათარსისი არ წარმოადგენს მხოლოდ ემოციურ განწმენდას. იგი უფრო ღრმა, ეგზისტენციალურ ხასიათს ატარებს და მოიცავს პიროვნების მთლიან ტრანსფორმაციას ზნეობრივ ჭრილში. მისი თვითმკვლელობა არა მხოლოდ გაქცევაა რეალობისგან, არამედ მორალური განწმენდის საბოლოო აქტი, რომელშიც ვლინდება მისი სრული პასუხისმგებლობა (Bury, E., 1999, p.33).

ფედრას ტრაგიკული აღსასრული აჩვენებს, როგორ შეიძლება ინდივიდუალური მორალური კრიზისი საყოველთაო ეთიკური გაკვეთილის წყარო გახდეს. მისი გარდაცვალება ტრანსცენდენტური ხასიათისაა – იგი არ არის მხოლოდ პირადი ტრაგედია, არამედ ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი გამოცდილების სიმბოლო. მისი თვითმკვლელობა, რაც შხამის მიღებაში გამოიხატება, არ არის მხოლოდ გაქცევა რეალობიდან, არამედ მისი მორალური განწმენდის უკანასკნელი აქტი (Forestier, 1988:34).

აღსანიშნავია ისიც, რომ რასინი ახერხებს წარმოაჩინოს კათარსისის პროცესი არა როგორც წრფივი მოძრაობა, არამედ როგორც რთული დიალექტიკური სპირალი, სადაც ყოველი ახალი ეტაპი წინამორბედის უარყოფითა და იმავდროულად მისი შენარჩუნებით ხასიათდება.

ჟან რასინი განსაკუთრებული ოსტატობით წარმოაჩენს, როგორ ხდება ფედრას პირადი ტრაგედია უნივერსალური მორალური გაკვეთილის წყარო. მისი სულიერი განწმენდის გზა გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი კათარსისი მოითხოვს არა მხოლოდ დანაშაულის აღიარებას, არამედ მის სრულ გაცნობიერებასა და მორალურ პასუხისმგებლობას.

ამრიდან, ჟან რასინის „ფედრა“ ადამიანის შინაგანი ტრანსფორმაციის უნიკალური ნიმუშია. ფედრას პერსონაჟი წარმოადგენს არქეტიპულ გზას ვნებიდან განწმენდამდე, სადაც აკრძალული სიყვარული, სირცხვილი, დანაშაულის შეგრძნება და საბოლოოდ კათარსისი ქმნის ტრაგიკული გმირის სულიერი ევოლუციის საფუძველს.

ფედრას ტრაგედია გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი კათარსისი მოითხოვს საკუთარი დანაშაულის სრულ გაცნობიერებას და პასუხისმგებლობის აღებას. მისი სულიერი განწმენდის პროცესი ხაზს უსვამს იმ რთულ გზას, რომელიც ადამიანს უნდა გაიაროს საკუთარი ვნებებისა და მორალური ვალდებულებების დასაძლევად. რასინის პიესა კლასიციტური სიზუსტით და ფსიქოლოგიური სიღრმით აერთიანებს ზნეობრივ და ფილოსოფიურ საკითხებს. იგი გახლავთ გაკვეთილი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაუოკებელი ვნება გახდეს როგორც მორალური კრაზისი, ისე სულიერი აღმასვლის საფუძველი.

ნაწარმოები რჩება კლასიციზმის ეპოქის შედეგად, რომელიც თანამედროვე მკითხველსაც კი აძლევს ღრმა ფსიქოლოგიური და მორალურ-ფილოსოფიური დაფიქრების საბაზს. ჟან რასინის "ფედრა" გვიჩვენებს, რომ ადამიანის სულიერი სამყარო, მისი შინაგანი ბრძოლები და მორალური დილემები რჩება მარადიულ თემად, რომელიც სცილდება კონკრეტული ეპოქისა თუ კულტურის საზღვრებს.

ლიტერატურა

1. Bury, Emmanuel, «Les Antiquités de Racine», Présences de Racine, Œuvres et critiques, XXIV, 1, Gunter Narr Verlag, 1999;
2. Maulnier, T. (1947). Racine. Paris: Gallimard.
3. Mauriac, F. (1962). La vie de Racine. Paris: Collection 10/18.
4. Moreau, P. (1956). Racine. Paris: Hatier.
5. Picard, R. (1961). La carrière de Jean Racine. Paris: N.R.F.
6. Pommier, J. (1954). Aspects de Racine. Paris: Nizet.
7. Tanqueray, F. J. (1937). Le Jansénisme dans les tragédies de Racine. Paris: Boivin.
8. Truc, G. (1926). Jean Racine, l'œuvre, l'artiste, l'homme et le temps. Paris: Garnier.
9. Forestier, G. (1999). Racine. Œuvres complètes, vol. 1. Paris, France: Gallimard, «Pléiade».

10. Forestier, Georges, «Le rêve littéraire du baroque au classicisme: réflexes typologiques et enjeux esthétiques», Revue des Sciences humaines, 211/3, 1988;
11. Adam, Antoine. Histoire de la littérature française au 17e Siècle. Paris: Domat, 1954.
12. Barrault, Jean-Louis. Phèdre, "Collection Mises en Scènes". Paris: Editions de Seuil, 1946.
13. Butler, P. Classicisme et baroque dans l'oeuvre de Racine.
14. Paris: Nizet, 1959.
15. France, Peter. (1992). Politeness and its Discontents: Problems in French Classical Culture. Cambridge: Cambridge University Press.
16. Orlando, Francesco Charmaine. (1978). Toward a Freudian Theory of Literature with an Analysis of Racine's Phèdre. Baltimore: Johns Hopkins University Press.
17. Roaten, Darnell. "7. Racine, Phèdre (1677)". Structural Forms in the French Theater, 1500-1700, Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1960
18. Racine, Jean. (1999) " Phèdre", Paris, «Gallimard»

**From Passion to Purification - Phedra's Inner Journey
(Based on Jean Racine's "Phèdre")**

Ia Khachapuridze

Abstract

This study examines the complex psychological and moral transformation of Phedra in Racine's masterpiece "Phedra", analyzing her path from destructive passion to ultimate catharsis. Through close textual analysis, the research explores the dialectical nature of Phedra's inner conflict, identifying three distinct stages of her moral consciousness: initial denial, critical self-reflection, and final ethical awakening. The paper argues that Jean Racine's portrayal of Phedra's spiritual journey transcends individual tragedy to become a universal paradigm of moral transformation. Particular attention is paid to the way Jean Racine constructs catharsis not merely as emotional purification but as a profound existential transformation. The study demonstrates how Phedra's personal moral crisis becomes a source of broader ethical understanding, contributing to our comprehension of human moral development and spiritual purification.

Keywords: French classicist dramaturgy, Racine, classicism, tragedy, Phaedra, Hippolytus, catharsis, moral transformation, tragic drama, spiritual purification.

0311 ეკონომიკა ECONOMICS

კვლევა და ანალიზი მსოფლიოსა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რჩევები და რეკომენდაციები

თამარ ჩაჩანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
E-mail: tamar_chachanidze@yahoo.com

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში გადმოცემულია მსოფლიოსა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების კვლევისა და ანალიზის შედეგები. მოცემულია კვლევის შედეგებზე დაფუძნებული, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი განვითარებისათვის საჭირო, შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები. აღწერილია ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზრის განვითარების მიმდინარეობა და მისი დღევანდელი მდგომარეობა.

დადგენილია, რომ ფასიანი ქაღალდების თანამედროვე მსოფლიო ბაზრის განვითარება, გარდა საერთო ეკონომიკური ტენდენციებისა, ხასიათდება აგრეთვე სპეციფიკური ტენდენციებითაც, რაც შესაძრწევს გავლენას ახდენს საფონდო ბირჟაზე და გლობალური ბაზრის საბაზრო კაპიტალიზაციაზე. მოცემულია ბირჟების მსოფლიო ფედერაციის 2019 წლის ანგარიშის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიცირება საფონდო ბაზრების კონცენტრაციის მიხედვით, რომელიც ლიდერობის მხრივ შემდგენიარად ლაგდება: ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია და კანადა, შვეიცარია და ავსტრალია და სხვა ქვეყნები.

სტატიაში მოყვანილია ნიუ-იორკის, ტოკიოს და ლონდონის საფონდო ბირჟების კაპიტალიზაციისა და ტრანზაქციების მონაცემები, მათი მიმდინარე ინდექსის მნიშვნელობები. კვლევისა და ანალიზის გარკვეული ნაწილი სტატიაში ეთმობა საქართველოს საფონდო ბირჟას, მის დაფუძნებას, ლიცენზირებას, საფონდო ბირჟის ინფრასტრუქტურას, ინდექსს, საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში მოქმედ კომპანიებს და საერთო საბაზრო კაპიტალიზაციას, საინვესტიციო გარემოს.

სტატიის დასასრულს მოცემულია დავასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები რაც გამოიწვევს ბაზრის აქტივებზე მოთხოვნების, ფასებისა და კაპიტალიზაციის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ფასიანი ქაღალდი, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარი, ნაციონალური ბაზარი, საფონდო ბირჟა, ინდექსი, აქცია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის კაპიტალიზაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ტრანსნაციონალური კაპიტალი, მარეგულირებელი ჰარმონიზაცია და ცენტრალიზაცია.

შესავალი

ფასიანი ქაღალდების მსოფლიო (საერთაშორისო) ბაზარი თავისი არსებობის დაახლოებით 150 წელს ითვლის და მისი განვითარების მზარდი პროცესი წარმოადგენს ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოში ტრანსნაციონალური კაპიტალის მოძრაობაზე.

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის განვითარების საწყისი ეტაპი იყო ფასიანი ქაღალდების ნაციონალური ბაზარი, რაც შემდგომში მოგვევლინა (გადაიზარდა) მსოფლიო ბაზრის დიფერენცირებად სეგმენტად. დადგენილი წესებისა და კანონების გათვალისწინებით, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ორგანიზებას და ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საფონდო ბირჟა, როგორც ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტი.

ფასიანი ქაღალდების გამოჩენის საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა მხოლოდ შიგა მოხმარების სერვისების არსებობას. ანუ, ყველა ქვეყანა ვაჭრობდა თავიანთ ტერიტორიაზე - ამერიკელები ვაჭრობდნენ ნიუ-იორკში, ბრიტანელები ვაჭრობდნენ ლონდონში და იაპონელები ვაჭრობდნენ ტოკიოში. ეს იყო მარტივი პროცესი და მარტივად სარეგულირებელი ამოცანა, რომელშიც ფასიანი ქაღალდების ტრანზაქცია და ფასიანი ქაღალდების ბაზრები თავისი შიგა ხასიათით ემორჩილებოდა ეგრეთწოდებულ პოლიტიკურ გეოგრაფიას [1].

ცხადია, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის განვითარებამ გამოიწვია მისი შიდა ბაზრების ლიკვიდირება. ეს პროცესი დაიწყო გასული საუკუნის 60 - 70-იან წლებში და მოკლე ხანში (1980-იან წლებში) შიდა ბაზრების ფუნქციონირება თითქმის ყველგან მთლიანად შეწყდა. დღეისათვის, შიდა ბაზრები ტრანსფორმირებული არის ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრებად, რის შემდეგობითაც გაჩნდა შესაძლებლობა, იაპონელმა ინვესტორებმა ივაჭრონ ლონდონსა და ნიუ-იორკში და პირიქით. ეს პროცესი მიმდინარეობს ისევე მარტივად, როგორც ადგილებზე – თავიანთ ქვეყანაში ვაჭრობის შემთხვევაში. ასევე, საყურადღებო ფაქტია, რომ ლონდონი წარმოადგენს საბროკერო სახლებისა და საინვესტიციო ბანკების მასპინძელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საკმაოდ მოკლე პერიოდში, ფასიანი ქაღალდების ბაზრების ინტერნაციონალიზაციამ ისეთ მაღალ დონეს და ხარისხს მიაღწია, რომ შიდა ბირჟები მორგებულია შიდა ინვესტორების მოთხოვნებზე და გათვლილია ფასიანი ქაღალდების უცხოური ბაზრის რისკებზე.

ძირითადი ნაწილი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის საერთაშორისო განვითარების მასშტაბურობამ დღის წესრიგში დააყენა ამ პროცესის რეგულირების გარდაუვალობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბაზრის გამართული, უსაფრთხო და ეფექტიანი მუშაობა. ბაზრის რეგულირება გულისხმობს გარკვეული წესების, აკრძალვებისა და კონტროლის მექანიზმების და პრინციპების არსებობას. იგი მკაცრად რეგულირდება საერთაშორისო, ეროვნულ და შიდა დონეზე. ამავე დროს, საერთაშორისო რეგულაცია ითვალისწინებს საერთაშორისო და ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობას. გლობალურ დონეზე ხდება გამოცდილების გაცვლა, საერთო სტანდარტების ჩამოყალიბება, იდება ხელშეკრულებები. ხოლო სახელმწიფო რეგულირება ამუშავებს ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს, ახდენს ლიცენზირებას და კონტროლს. საინტერესოა ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჩართულობა. მათი როლია ინდივიდუალური და პროფესიონალი ინვესტორების ინტერესების დაცვა, უფლება აქვთ შექმნან საკომპენსაციო ფონდები, გაერთიანდნენ სხვადასხვა კავშირებში, საჭიროების შემთხვევაში მიმართონ სასამართლოებს.

ბაზრის რეგულირების მიზნები და პრინციპები უნდა მოიცავდეს ძალაუფლების გადანაწილებას, სადაც მთავარი მარეგულირებელი რგოლი არის სახელმწიფო (გამოსცემს კანონებს, აყალიბებს სამოქმედო ჩარჩოებს და ახორციელებს საბაზრო პოლიტიკას). რა თქმა უნდა, სახელმწიფო იცავს თავის ქვეყნის ეკონომიკურ და მოქალაქეების ინტერესებს და გარკვეულ ფუნქციებს გადასცემს თვითრეგულირების ორგანიზაციებს. რეგულირება უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო, ტექნოლოგიური და პროცედურული წესების დაცვით. ყველა მონაწილე: ემიტენტები (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობის ორგანო, ბანკი, სხვადასხვა დაწესებულება და ა.შ.), ინვესტორები და სხვ. სარგებლობს თანაბარი უფლებებით.

ფასიანი ქაღალდების ინტერნაციონალიზაციის (საერთაშორისო) რეგულირების საუკეთესო მოდელი ეფუძნება მარეგულირებელ ჰარმონიზაციასა და ცენტრალიზაციის პრინციპებს.

ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებობს ხუთი განსხვავებული მიდგომა და მოიცავს [2]:

1. მარეგულირებელ კონკურენციას,
2. მარეგულირებელ კონვერგენციას,
3. მარეგულირებელ ურთიერთდახმარებას,
4. მარეგულირებელ ჰარმონიზაციას,
5. ცენტრალიზებულ გლობალურ რეგულირებას.

2. Eric. C. Chaffee, The Internationalization of Securities Regulation: The United States Government's Role in Regulating the Global Capital Markets, 5 J. Bus. & Tech. L. 187 (2010) Available at: <https://digitalcommons.law.umaryland.edu/jbtl/vol5/iss2/2>.
3. Dabyltaeva N.E., Galymzhan D.E. Current state of the world securities market. ECONOMIC Series of the Bulletin of the L.N. Gumilyov ENU, № 4/2020.
4. Гонов А.А., Луценко А.В., Медведева М.А. Инструменты рынка ценных бумаг: учебное пособие. - Екатеринбург: Изд-во Уральского университета, 2015. - 156 с.
5. Electronic Order Book Trading Journal 2019. [Electronic resource] - URL: <https://docs.londonstockexchange.com/sites/default/files/reports/LSEG%20market%20report%20December%202019.pdf> (Accessed: 15.09.2020)
6. Electronic resource - URL: https://www.jpx.co.jp/english/markets/statistics-equities/monthly/b5b4pj0000020ktt-att/16_allse1801.pdf (Accessed: 15.09.2020)
7. Electronic resource - URL: https://www.theice.com/publicdocs/data/NYSE_Global_Index_Group_Monthly_performance_report_201812.pdf#f27 (Accessed: 15.09.2020).
8. Ishida, Shigehiro and Kazuki Yokoyama. (2023). Meijiki Tokyo Kabushiki Torihikijo no Kabushiki Torihiki Seido (Stock Trading Institutions in the Tokyo Stock Exchange during the Meiji Period). JPX Working Paper No.41 (the Japanese version), Japan Exchange Group, Japan.
9. სამხარაძე მ. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, <https://geoeconomics.ge/?p=14743>. 21/06/2023.
10. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

Research and analysis on World and Georgian Stock Exchanges, advice and recommendations

Tamar Chachanidze

Abstract

The scientific article presents the results of research and analysis of the functioning of the world and Georgian securities markets. Based on the research results, relevant advice and recommendations necessary for the effective development of the securities market are provided. The development process of the global securities market and its current state are described. It has been established that the development of the modern world securities market, in addition to general economic trends, is also characterized by specific trends that have a noticeable impact on the stock exchange and global market capitalization. According to the World Federation of Exchanges 2019 report data, the classification of world countries by stock market concentration is arranged as follows in terms of leadership: United States, Japan, United Kingdom, China, France, Germany and Canada, Switzerland and Australia, and other countries. The article presents capitalization and transaction data for the New York, Tokyo, and London stock exchanges, along with their current index values.

A certain part of the research and analysis in the article is devoted to the Georgian Stock Exchange, its establishment, licensing, stock exchange infrastructure, index, companies operating in the stock exchange trading system, and total market capitalization, investment environment. The article concludes with conclusions, recommendations, and advice that will lead to increased market demand for shares, prices, and capitalization.

Keywords: Securities, International Securities Market, National Market, Stock Exchange, Index, Stock, Securities Market Capitalization, Foreign Direct Investment, Transnational Capital, Regulatory Harmonization and Centralization.

საოცრება კი, რომელმაც პარადიგმა შეცვალა, ემბრიონული განვითარების სწორედ ბლასტოციტას სტადიაში იწყება და შემდეგში მდგომარეობს: ნებისმიერ ამ არადიფერენცირებულ უჯრედს შეუძლია დიფერენცირება ნებისმიერი ტიპის სპეციალიზებულ უჯრედად. უჯრედს, რომელსაც ასეთი სასწაულის მოხდენა შეუძლია, ღეროვანი უჯრედი ჰქვია და მას ორი უნიკალური თვისება გააჩნია: თვითგანახლება და პოტენცია [4].

თვითგანახლება უჯრედის უნარია, გაიაროს დაყოფის მრავალი ციკლი ისე, რომ შეინარჩუნოს არადიფერენცირებული მდგომარეობა; პოტენცია კი გულისხმობს სწორედ ამ სპეციალიზებულ უჯრედებად დიფერენცირების (ჩამოყალიბების) უნარს. ყველა ღეროვანი უჯრედი ერთნაირად „პოტენტური“ სულაც არ არის. გააჩნია, ემბრიონის განვითარების რა სტადიაზე ვსაუბრობთ. მაგალითად, ზიგოტის პირველი რამდენიმე დაყოფის სტადიაში უჯრედები უნივერსალურია (ომნიპოტენტურია) და შეუძლიათ ემბრიონულ და ექსტრემბრიონულ ღეროვან უჯრედებად დიფერენცირება. ასეთ უჯრედებს შეუძლიათ მთლიანი, სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმის აგება. ომნიპოტენტურები დასაბამს აძლევენ პლურიპოტენტურ ღეროვან უჯრედებს. მათ შეუძლიათ დიფერენცირება თითქმის ყველა (მაგრამ არა ყველა) ტიპის უჯრედად. მულტიპოტენტური ღეროვანი უჯრედი უკვე მეტ-ნაკლებად დიფერენცირებულია და შემდგომი დიფერენცირება შეუძლია მხოლოდ მისი მონათესავე ქსოვილის უჯრედებად. ღეროვანი უჯრედი მხოლოდ ემბრიონში არ არის. ჩვენი ზრდასრული ორგანიზმის სხვადასხვა ქსოვილიც შეიცავს გარკვეული ტიპის ღეროვან უჯრედებს. ისინი ჩვენივე სხეულის „გაცვეთილი“ უჯრედების აღდგენით არიან დაკავებული. ამ ტიპის ღეროვანი უჯრედები, ძირითადად, ძვლის ტვინში, ცხიმოვან ქსოვილში ან სისხლშია. ეს ღეროვანი უჯრედები ხშირად გამოიყენება სამედიცინო თერაპიაში, მაგალითად, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დროს [5, 6].

დღეს პრაქტიკულად ყველა ორგანოსა და ქსოვილის გადანერგვა შესაძლებელი, გარდა ნერვული ქსოვილისა, რომლის შემადგენელი უჯრედები – ნეირონები – ჩვენს წარმოდგენილად ნატიფ სისტემას ქმნიან. სისტემას, რომელიც ყველა დანარჩენი ორგანოს მუშაობას აწესრიგებს და, ამასთან, ჩვენს ცნობიერებას განსაზღვრავს.

პარკინსონის დაავადება, ზურგისა და ქალატვინის ტრავმები, გულის ინფარქტი, სიმსივნეები, ინსულტი... ცხადია, მედიცინა ისე განვითარდა, რომ მათ ფონზე ადამიანები მრავალი წელი ცოცხლობენ, მაგრამ ისინი პოტენციურად მაინც სასიკვდილო დაავადებებად ითვლება. უამრავ ადამიანს ტანჯავს რევმატოიდული ართრიტები. გაიზარდა ოსტეოპოროზის შემთხვევები და მენჯ-ბარძაყის სახსრის გამოცვლის ძვირადღირებული ოპერაციის გარეშე, ადამიანი ეტლს მიეჯაჭვება. მაგრამ, სანამ რომელიმე აღმოგვაჩნდება, სხვა პრიორიტეტები გვაქვს – არ გვინდა გამელოტება, არ გვინდა კბილის პროთეზის ჩადგმა, გვინდა დაკლებული სმენისა თუ მხედველობის აღდგენა ყურის აპარატის ან სათვალის გარეშე. ბოლოს და ბოლოს, გვინდა „ერთ წამში“ შეგვიხორცდეს ჭრილობა.

დღესდღეობით, ყველაზე ფასეული მაინც ემბრიონული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედებია, რომლებსაც პრაქტიკულად ყველა უჯრედად შეუძლია დიფერენცირება. ყველაზე ფასეულია იმიტომ, რომ სწორედ პლურიპოტენცია გამოარჩევს ემბრიონულ ღეროვან უჯრედებს ზრდასრული ღეროვანი უჯრედებისგან, რომლებიც მულტიპოტენტურია და შეუძლიათ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის უჯრედთა ტიპების წარმოქმნა. ეს რევოლუციაა მკურნალობის იმ სფეროში, სადაც ასაკმა, დაავადებამ ან ტრავმამ უჯრედებისა და ქსოვილის შეუქცევადი დაზიანება, ან დისფუნქცია გამოიწვია. დღეს ფართოდ გამოყენებული მეთოდი გარდაუვლად იწვევს ბლასტოციტას რღვევას. აქ ჩნდება ფუნდამენტური კითხვა, მინიმუმ სამი განზომილებით: ეთიკური, რელიგიური და იურიდიული.

მასაც უპასუხეს – „ექიმისა მე არაფერი არა მწამს. მე ლოცვაზე ვდგევარ და გთხოვთ, ხელს ნუ მიშლით“. სავარაუდოდ, იგივე სცენარი გამეორდა ცოტა მოგვიანებით, როდესაც პასტერის აღმოჩენებმა მეორედ შეცვალეს სამყარო და ციმბირის წყლულითა თუ ცოფით დაავადებულთა კარებს მიადგა წამლით ხელში. ალექსანდრ ფლემინგის პენიცილინის წამლად გამოყოფასაც მოჰყვებოდა წინააღმდეგობა – „ექიმისა მე არაფერი არა მწამს. მე ლოცვაზე ვდგევარ და გთხოვთ, ხელს ნუ მიშლით“. მიუხედავად ამისა, დღეს, 21-ე საუკუნეში „სახადით“ აღარავინ კვდება. ოდესღაც ლეტალური ფილტვების ანთება კი ტრივიალური დაავადება გახდა. საბოლოოდ, სადი აზრი ყოველთვის იმარჯვებს. გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ გამარჯვების ამ გზაზე უზარმაზარი დრო იკარგება და ადამიანები იხოცებიან [10].

კვლევის შედეგები და დასკვნა:

მიუხედავად იმისა, რომ ღეროვანი უჯრედების კვლევა და გამოყენება რეგენერაციულ მედიცინაში და ქრონიკული დაავადებების მკურნალობა მსოფლიოში იზრდება, არსებობს ეთიკური და რელიგიური დებატები მათი გამოყენების შესახებ. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ რელიგიურობის დონეს ექნებოდა კავშირი დამოკიდებულებებთან და მოსაზრებები ღეროვანი უჯრედებისა და მათი გამოყენების შესახებ. რელიგია გავლენას ახდენს მრავალი ადამიანის ცხოვრებაზე, არჩევანზე და რწმენაზე და რელიგიური მიმართვები გამოყენებულია ღეროვანი უჯრედების შესახებ დებატებში (კვლევა ჩატარებულია ჩემს მიერ. თ. ტაბატაძე). სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 119 რესპონდენტმა. მონაწილეები იყვნენ 19 წლიდან 67 წლამდე ასაკის პირები. კვლევის მონაწილეთა 78.2% იყო ქალი და 21.8% იყო მამაკაცი. სხვა დემოგრაფიული სტატისტიკა: მონაწილეთა უმეტესობა იყო ქრისტიანი (73.9%), ხოლო კათოლიკე, ათეისტი და მუსლიმი იყო თანაბარი რაოდენობის და სულ (4.2%). მონაწილეთა ნახევარზე მეტს (65.7%) ჰქონდა ზოგადი ცოდნა ღეროვანი უჯრედების კვლევაზე. ზოგიერთი (7.5%) ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ უნდა შეაფერხოს ემბრიონის ღეროვანი უჯრედების კვლევა. მონაწილეთა უმრავლესობამ იცოდა ემბრიონის ღეროვანი უჯრედების შესახებ მაშინ, როცა ნაკლები ინფორმირებულობა დაფიქსირდა ნაყოფის ღეროვან უჯრედებსა და ინდუცირებულ პლურიპოტენტურ ღეროვან უჯრედებზე. 79.2%-მა ჰქონდა სწორი ინფორმაცია ღეროვანი უჯრედის დიფერენციაციის შესახებ, აქედან 59.5%-მა დააფიქსირა სწორი პასუხი ზრდასრული ადამიანის და ემბრიონის ღეროვანი უჯრედების შესახებ და რესპონდენტების კიდევ უფრო ნაკლებმა რესპოდენტმა (39.5%) წარმოდგენა ჰქონდა განადგურებული ემბრიონების ღეროვანი უჯრედების ექსტრაქციის გამოყენებაზე. რელიგიური თვალსაზრისით, გამოკითხულთა 51%-მა მიიჩნია, რომ არაეთიკური იყო ემბრიონის ღეროვანი უჯრედების კვლევის ჩატარება. ასევე, ამ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რელიგია დიდ როლს თამაშობს რესპონდენტებში ღეროვანი უჯრედების გამოყენების შესახებ. პროტესტანტი ქრისტიანები უფრო მეტად არ ეთანხმებოდნენ ემბრიონზე უჯრედების კვლევას. რელიგიური თვალსაზრისით, კვლევის შედეგები გვიჩვენებს უარყოფით დამოკიდებულებას ემბრიონის ღეროვანი უჯრედების კვლევის მიმართ: რესპონდენტთა პასუხი შეკითხვაზე, დათანხმდებოდნენ თუ არა კვერცხუჯრედის დონაციის იდეას ღეროვანი უჯრედების კვლევაში გამოყენებას. შედეგებმა აჩვენა, რომ მონაწილეთა ყველაზე დიდი ჯგუფი (64.5%) კვერცხუჯრედის დონაციის წინააღმდეგი იყო.

ღეროვანი უჯრედების მიმართ რესპონდენტთა აზრის შედეგები ზრდასრულთა ღეროვან უჯრედებზე, ESC-ებსა და ჰიპლარის ღეროვან უჯრედებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჰიპლარის სისხლის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევამ ყველაზე მეტი მხარდაჭერა (89.2%), ხოლო კვლევისთვის ემბრიონის გამოყენებისას ხმების ყველაზე ნაკლები რაოდენობა (38,9%) მიიღო.

გამოკითხულთა 80%-მა განაცხადა, რომ ემბრიონის ღეროვანი უჯრედების კვლევის შესახებ სმენია მედიის საშუალებით, 15% მიიღო ინფორმაცია მეგობრებისა და ოჯახისგან და მხოლოდ 5% შეიტყო სამედიცინო კურსის მეშვეობით.

მონაწილეთა უმეტესობამ (94.4%) განაცხადა, რომ საჭიროა მეტი საგანმანათლებლო პროგრამები ღეროვანი უჯრედების კვლევის შესახებ. ამ კვლევის მონაწილეებს შორის ქალებმა მეტი იცოდნენ ღეროვანი უჯრედების შესახებ და უფრო დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ ღეროვანი უჯრედების კვლევის მიმართ.

მონაწილეთა უმცირესობამ (10%) აღნიშნა შემფოთება რომ ღეროვანი უჯრედების კვლევამ შეიძლება კარი გაუღოს უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის განადგურებას.

კვლევის შედეგად სამივეს შორის დაფიქსირდა ზომიერი დადებითი ასოციაცია (ცოდნა, დამოკიდებულება და ეთიკა), უმაღლესი კორელაცია დამოკიდებულებასა და ეთიკას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რესპონდენტებს, რომლებმაც მეტი იციან ღეროვანი უჯრედების შესახებ, სავარაუდოდ დადებითი დამოკიდებულება აქვთ ღეროვანი უჯრედების მიმართ და აფასებენ ეთიკაზე დაფუძნებულ სამეცნიერო კვლევას.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ ბლასტოციტების გამოყენება კვლევებში სამკურნალო მიზნით სულაც არაა მიუღებელი. რელიგიური და კულტურული ტრადიციების მიმდევრები საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამენ და მიაჩნიათ, რომ ცოცხალი ორგანიზმის ხელყოფა ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია, რა კეთილშობილურ მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ის. ზოგის აზრით, ემბრიონი ადამიანის შესაბამის მორალურ სტატუსს იძენს განვითარებიდან რამდენიმე კვირის, ან თვის შემდეგ. ამერიკელი მოსახლეობის გამოკითხულთა უმეტესობა ემხრობა ღეროვანი უჯრედების გამოყენებას კვლევითი მიზნებისათვის.

მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშადან“ ის ეპიზოდი გამახსენდა, უწმინდურობის ჩამდენ ყაშა ლაზარეს გამწარებული მთავარი გმირი სახლში რომ მიადგება. „არ შემიძლიან, თავი მტკიცა“ – კნავის ყაშა ჩაკეტილი ოთახიდან და ირონიაზე – „ექიმიც მე ვარ, მოგარჩენთ“ – კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უძველეს პასუხს იძლევა – „ექიმისა მე არაფერი არა მწამს. მე ლოცვაზე ვდგევარ და გთხოვთ, ხელს ნუ მიშლით“.

"ძალიან მშვიდად ვგრძნობ თავს, ამით ნაწილობრივ მაინც უზრუნველყავი მომავალში ჩემი შვილის ჯანმრთელობა", - აღნიშნავს 36 წლის მხატვარი ლიკა შხვაცაბაია. წლინახევრის გიორგის ღეროვანი უჯრედები სისხლის ბანკში ინახება. ჭიპლარის სისხლის ბანკი "ჯეოქორდი" საქართველოში 2006 წლიდან მუშაობს. იმისათვის, რომ თქვენი ჭიპლარის სისხლიდან ღეროვანი უჯრედები მიიღონ, 780 ევრო უნდა გადაიხადოთ (თანხის დაფარვა განვადებითაც შეიძლება), უჯრედის ყოველწლიური შენახვა კი 100 ევროა.

მიღებული შედეგები შეიძლება დამუშავდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა კუთხით. ერთი ყველაზე წამყვანი ასპექტი, როგორც ჩანს, არის ადამიანების წარმოდგენა ღეროვან უჯრედებზე რელიგიურ კონტექსტში. ამიტომ, მიზანშეწონილია ამ სფეროში მორალური ფსიქოლოგიის გამოყენება. მორალური ფსიქოლოგია არის სფერო, რომელიც ცდილობს გაიგოს მორალის სპეციფიკა, როგორც თვისება, რომელიც ცვლის ადამიანის ქცევით-გონებრივ აქტივობას სხვა ადამიანის ყოფასთან მიმართებაში. კერძოდ, ის ცდილობს ახსნას, რატომ არის გარკვეული ქცევები აბსოლუტურად მისაღები ან აბსოლუტურად მიუღებელი და რატომ არაა გარკვეული მოტივები ან ამოცანები (მაგ. სიცოცხლის გადარჩენა, სხვადასხვა დაავადებების მკურნალობა). მორალური ფსიქოლოგიის დოქტრინა უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს. მორალის ფსიქოლოგიის მიზანია, გაანალიზოს და რაც შეიძლება ნათლად ახსნას მორალურ-ეთიკური დამოკიდებულება, და ასევე გაბატონებული სტერეოტიპები, რომელიც ჭარბობს მოცემულ გარემოში. მორალური ფსიქოლოგიის შესწავლის თეორიამ აჩვენა, რომ კვლევის მიმდინარე გამოწვევა მორალში არის რთული და მრავალმხრივი პროცესი, რაც განპირობებულია ფსიქოლოგიური დამოკიდებულების და მორალური ქცევის დამაკავშირებელი სხვადასხვა მექანიზმით.

რესპოდენტთა უმრავლესობას ჰქონდა ყველაზე მეტი ინფორმირებულობა ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების შესახებ (75.3%). ჩვენმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა დაინტერესებულია შეიტყოს მეტი ღეროვანი უჯრედების კვლევის შესახებ (85.5%).

რაც შეეხება ღირებულებითი მიდრეკილებების ძირითად ეფექტებს, რელიგიურად განწყობილ ადამიანებს ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ ემბრიონის ღეროვანი უჯრედების კვლევის მიმართ (61.8%). ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან ვასკვნით, რომ მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლების პროგრამების შემუშავება, რომელიც შეიძლება იყოს განხორციელებული უნივერსიტეტში სხვადასხვა დონეზე, როგორც აკადემიური პესონალისათვის ასევე სტუდენტებისთვის.

ლიტერატურა

1. Eagly AH Chaiken S., *The psychology of attitudes* 1993, Forth Worth, TX Harcourt Brace.
2. Fiske ST Taylor SE, *Social cognition*, 1991 2nd New York McGraw-Hill.
3. Singer P, ed. *A Companion to Ethics*. Oxford, UK: Blackwell Publishing; 2016.
4. Meith D. Going to the roots of the stem cell debate. The ethical problems of using embryos for research. *EMBO Rep*. 2000;1(1):4-6.
5. Ellemers N, Toorn van der J, Paunov Y, Leeuwen van T. The psychology of morality: A review and analysis of empirical studies published from 1940 through 2017. *Pers Soc Psychol Rev*. 2019;23(4):332-366. doi:10.1177/1088868318811759.
6. Wojciszke B, Bazińska R, Jaworski M. On dominance of moral categories in impression formation. *Pers and Soc Psychol Bull*. 1998;24(12):1251-1263.
7. J. Whitehill, "Patenting human embryonic stem cells: what is so immoral?" *Brooklyn Journal of International Law*, vol. 34, pp. 1045-1080, 2009.
8. Agnieszka Żok1,B-E, Jadwiga Wiertelwska-Bielar2,C-E, Ewa Baum1,2,A-F, Determinants of moral attitudes toward stem cells, 2020.
9. <https://bestavashvili2.wordpress.com/2012/12/26/> ლაშა ბესტავაშვილის ბლოგი, დეკემბერი 26, 2012
10. <http://liberali.ge/articles/view/19/salome.ge> ღეროვანი უჯრედები, ეკა ჭითანავა, 15 ივნისი, 2009.

Health Psychology Fear of Death or Life Insurance

Tamar Tabatadze

Abstract

How psychologically ready is society to accept the reality of artificially created organs? Unfortunately, today society is not psychologically ready and does not know how to save the lives of loved ones. The most vulnerable groups are mothers. Only mothers and pregnant women are psychologically ready to see the breakthrough that stem cells can bring in medicine. The state will have a great deal of support and more information about this, because human psychology is arranged like this, the more communication there is, the more everything affects their behavior.

Although the research and use of stem cells in regenerative medicine and the treatment of chronic diseases is growing in the world, there are ethical and religious debates about their use. We hypothesized that the level of religiosity would be related to attitudes and opinions about stem cells and their use. Religion influences the lives, choices, and beliefs of many people, and religious references have been used in the stem cell debate.

Keywords: health, death, life, stem cells, religion, debate.

0329 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია JOURNALISM AND INFORMATION

ინფორმაციული სუგესტია, როგორც საინფორმაციო ომის მთავარი მდგენელი

გიგლა გობერია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
E-mail: gigla_gigla@mail.ru
მაია თუნგია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
E-mail: maia.tungia@mail.ru

რეზიუმე

ციფრულ ერაში საინფორმაციო ომი გავლენის მოპოვების მთავარ ინსტრუმენტად იქცა. მისი მძიმე შედეგი სამიზნე ობიექტისთვის მით უფრო დამანგრეველია, რაც უფრო მეტია სუგესტიის მდგენელი. ეს თანაბრად ვრცელდება როგორც სახელმწიფოებზე, ისე ცალკე ადამიანზე ორგანიზაციებზე, რომლებიც ერთმანეთთან საინფორმაციო ომში არიან ჩართულები. სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება სწორედ საინფორმაციო ომის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაზე გადის. სწორი სტრატეგიით შერჩეული და შემდგომში ასეთივე ტაქტიკით წარმართული თუნდაც შორეულ წარსულში დაწყებული საინფორმაციო ომი საბოლოო ჯამში დასახულ მიზანს მაინც აღწევს სწორედ სუგესტიური მომენტის დიდი დოზის გამო.

წინამდებარე ნაშრომი ერთგვარად პირველი მცდელობაა საინფორმაციო ომის განსხვავებული რაკურსით წარმოდგენისა და გააზრებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო ომი, ინფორმაციული სუგესტია, მანიპულაცია, ნლპ, 25-ე კადრი.

თანამედროვე ადამიანი თავისი ბიოლოგიური, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ფაქტობრივად არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ იმ რაკურსით, რომ ძალიან დაუცველი გახდა ინფორმაციული ზემოქმედების კუთხით. ის არნახული ინფორმაციული წნეხის ქვეშ მოექცა.

ინფორმაციული ზემოქმედების სასტიკ შედეგებზე ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე-მესამე ასწლეულის ცნობილი ბერძენი სოფისტი და ორატორი გორგია ლეონტინელი (485-375 წ.წ.) წერდა: „ხალხის დარწმუნების ხელოვნება ბევრად აღემატება ყველა სხვა ხელოვნებას, რადგან ის საშუალებას გაძლევთ, გახადოთ ყველა თქვენი მონა საკუთარი ნებით და არა იძულებით.“ ცხადია, მაშინ ინფორმაციის ნაკადი უწვრილესი არხებით მიეწოდებოდა საზოგადოებას. დღეს რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. ვითარებას ართულებს გაუფილტრავი ინფორმაციის ძალიან დიდი მასივი. მით უფრო ისეთის, რომლითაც ხდება მის ცნობიერზე და არცთუ იშვიათად ქვეცნობიერზე ზემოქმედება მისი ნების საწინააღმდეგოდ.

საამისოდ არაერთი მეთოდი და ტექნოლოგიაა ცნობილი. ესენია: 25-ე კადრი, ნლპ და ფსიქოტრონული ტექნოლოგიები. თბილისში 2007 წლის 7 ნოემბერს საპროტესტო აქციის მონაწილეები პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმმა სწორედ ფსიქოტრონული იარაღის გამოყენებით დაშალეს, ცხადია, ძალისმიერი მეთოდების დამატებით.

საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ოპოზიციონერთა მიტინგი ამერიკული აკუსტიკური გენერატორის გამოყენებით დაშალა. ეს გენერატორი ადამიანებში პანიკასა და ფსიქიკურ აშლილობას იწვევს. გენერატორები დაყენებული იყო პოლიციის ჯიპებზე და იყო ექვსკუთხა ფარი მოძრავ სადგამზე. გენერატორები საშინლად მკვეთრ ხმას გამოსცემდა. ეს ხმები მიმართული იყო დემონსტრანტებისკენ, რომლებიც თავს გაქცევით შველოდნენ. როგორც გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერდა, აქციის ბევრი მონაწილე საავადმყოფოში მოხვდა, მთელი სამი დღის განმავლობაში ადამიანები სამედიცინო დაწესებულებებს

მოქცეული. რა გამოდის? ფაქტობრივად მთელი სამი თაობა შეგნებულად გაწირეს ინფორმაციული ვაკუუმისთვის.

ეს ვრცელი პასაჟი იმიტომაც მოვიშველიე, რომ ადამიანთა გონებაზე, მათ ცნობიერსა და ქვეცნობიერზე სერიოზული გავლენის მქონე ტექნოლოგიები და მეთოდები უმაღლვე ხდება სპეცსამსახურების დაკვირვებისა და ინტენსიური ყურადღების საგანი. ამიტომ ამგვარი მეთოდებისადმი ყურადღების მიჩუმათება სწორედ მათ ინტერესებშია.

სუბლიმინალური ტექნოლოგიების გამოყენების არეალის მიმართ ინტერესი ისევ გაჩნდა, ამჯერად სამხედრო კუთხით. გაირკვა, რომ ქვეცნობიერზე მსგავსი კადრების განმეორებით ჩვენების შემთხვევაში ეფექტი იზრდებოდა [5].

მსგავსმა ექსპერიმენტებმა მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება შოკში ჩააგდო. როგორც ცნობილი რუსი მკვლევარი ალექსანდრ სოროჩენკო წერს, ამჟამად მარტო ამერიკაში 140-მდე ნიერო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და ინსტიტუტი მუშაობს ამ პრობლემაზე. ფაქტობრივად მიმდინარეობს მსოფლიოს გლობალური ფსიქოტერორიზაცია. ბოლო 40-50 წლის მანძილზე ამ პრობლემის კვლევაში ყველაზე მეტად ამერიკისა და რუსეთის სამეცნიერო და სამხედრო წრეებია ჩართული. მათ შორის ყველაზე მძლავრად ითვლება რუსულ-ამერიკული კომპანია „PSYCOR“-ი, რომელსაც სათავეში პროფესორი იგორ სმირნოვი უდგას. ინტერნეტის ეპოქაში უკვე შეიცვალა მიდგომა და ადრინდელივით 25-ე კადრის მექანიკური ჩასმა სულაც არაა საჭირო. ეს მარტივი ტექნოლოგია შეიცვალა საკმაოდ რთული მათემატიკური ალგორითმებით და ფსიქოსემანტიკის მეთოდებით [6].

პროფესორმა იგორ სმირნოვმა შექმნა ფსიქოკორექციისა და ფსიქოზომბირების სპეციალური მეთოდიკა, მაგრამ 2004 წლიდან მეთოდის განვითარება შეწყდა პროფესორის ნაადრევი გარდაცვალების გამო 53 წლის ასაკში.

პროფესორ სმირნოვის გუნდი არა მხოლოდ ნეგატიური ფსიქოკორექციულ მეთოდებს იკვლევდა, არამედ პოზიტიური ზეგავლენის მქონე სარელექსაციო აუდიოკასეტებს და დისკებსაც უშვებდა.

როგორც მკვლევარი ალექსანდრ სოროჩენკო წერს, ზუსტად არავინ იცის, რა და როგორ მზადდებოდა სმირნოვის ლაბორატორიაში. ვარაუდობენ, რომ იქ მზადდებოდა გლობალური ფსიქო-ეკოლოგიური პროექტი, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა სოციალური დაძაბულობის მოხსნას, ისეთ სოციალურ პრობლემებთან, როგორცაა ნარკომანია და თამბაქოს მოწევა.

პროფესორმა სმირნოვმა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში შექმნა ფსიქოტექნოლოგიების კომპანია (Psychotechnologies Corp), რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეც თავადვე გახდა. ტექნოლოგიის საიდუმლოც მანვე იცოდა. შესაბამისად მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მიმართულება არ განვითარებულა. თუმცა, როგორც მკვლევარი ალექსანდრ სოროჩენკო წერს, 2000-იან წლებში სუბსენსორული და სუბლიმინაციური მიმართულებით კვლევები გაგრძელდა რუსეთის ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში პროფესორ სერგეი ესინის ხელმძღვანელობით. მათ შეიმუშავეს ახალი მეთოდიკა სახელწოდებით – „არავერბალური დაკითხვისა და ქვეცნობიერის კორექციის მეთოდი [7]. სოროჩენკოს თქმით, ეს მეთოდიც 25-ე კადრის პრინციპზეა აგებული. მალე ამ ორგანიზაციას მიბაძა რუსეთის მედიკო-ბიოლოგიური და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტიტუტმა პროფესორ ალექსანდრ კუჩინოვის ხელმძღვანელობით. კუჩინოვი ითვლება სმირნოვის შეგირდად და სულიერ თანამებრძოლად. ასე რომ, მუშაობა ამ მიმართულებით არ შეწყვეტილა, პირიქით, სრულიად ახალ ფაზაში გადავიდა. ესტაფეტა ხელში აიღეს სხვა მკვლევარებმა. მაგალითად, პეტერბურგელმა პროფესორებმა ვიაჩესლავ დიუკმა, მიხეილ კრავჩიკმა და იური სენკვიჩიმმა. მათი თქმით, „დასაბუთებულია, რომ სხვადასხვა ინდიკატორებს შორის სისტემური კავშირის გამოყენება დროისა და სიხშირის სფეროებში შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს

ფრაგმენტი N 1

„ჩვენ სექსუალურად გამოვიყენებთ თქვენს შვილებს, გავრყენით მათ სკოლებში, საერთო საცხოვრებლებში, გიმნაზიებში, გასახდელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კონოთეატრების ტუალეტებში, ჯარისკაცთა ყაზარმებში, სასტუმროებში, მამაკაცთა კლუბებში, პარლამენტის შენობებში, ყველგან, სადაც მამაკაცი შეიძლება მეორე მამაკაცს შეხვდეს.

ქალბო, იოცნებეთ თავისუფლებაზე, ჩვენ წაგართმევთ თქვენს მამაკაცებს, მივანიჭებთ მათ აქამდე არნახულ კმაყოფილებას, რადგან სინამდვილეში მხოლოდ მამაკაცმა იცის როგორ მოხიბლოს მეორე მამაკაცი. მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ჩაწვდნენ მამაკაცის გრძნობათა და განცდათა სიღრმეს, მის გონსა და მის სხეულს.”

თქვენს კანონებს, რომლებიც კრძალავენ ჰომოსექსუალიზმს, შეეცვლით. ახალი კანონმდებლობა წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის. ჰომოსექსუალები ერთმანეთს მხარში დაუდგებიან.

ჩვენ ერთიანი ვიქნებით პოლიტიკურად, სოციალურად, ფინანსურად, ვიქნებით მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და მხოლოდ მაშინ მივალწევთ ტრიუმფს, როდესაც ერთიან სახეს ვუჩვენებთ ჩვენს ბოროტ და დაუძინებელ მტრებს – ჰეტეროსექსუალებს (ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრებს). თუკი გაბედავთ და ჩვენ პედერასტებსა და ცისფერებს დაგვიძახებთ, ჩვენ გაგანადგურებთ და შეურაცხვეფოფთ თქვენს მკვდარ, არარაობა სხეულებს.

ჩვენ დავწერთ ლექსებს მამაკაცების სიყვარულზე, დავდგამთ სპექტაკლებს, გადავიღებთ ფილმებს, სადაც მამაკაცები ღიად და თავისუფლად კოცნიან ერთმანეთს და ყოველივე ამით ჩავანაცვლებთ თქვენს იაფფასიან, ხელოვნურ, სენტემენტალურ, ინფანტილურ, მოსაწყენ ჰეტეროსექსუალურ ვნებებს.

ჩვენ ყველგან ვართ, ჩვენ შემოვალწიეთ თქვენს რიგებში. ფრთხილად იყავით, რადგან ყოველთვის თქვენთან ვართ და თქვენს შორის ვართ. შესაძლებელია, რომ ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ, ან თქვენთან ერთად ერთ საწოლში ვწევართ. კომპრომისი არ იქნება. ჩვენ უსახურ საშუალო კლასს კი არ წარმოვადგენთ, ბუნებით ინტელექტუალები და არისტოკრატები ვართ.

ცისფერი სისხლი დათმობაზე არასოდეს მიდის. ვინც ჩვენ წინააღმდეგ აღსდგება, დამარცხდება. ჩვენ ფეხზე დავაყენებთ უზარმაზარ კერძო არმიას, რათა გაგანადგუროთ თქვენ. ჩვენ დავიპყრობთ მსოფლიოს, ვინაიდან ჯარისკაცები, გაერთიანებულნი და გასხივოსნებულნი ჰომოსექსუალური სიყვარულითა და პატივისცემით, მოუხელთებელნი არიან ვითარცა ძველი ბერძენი მეომრები.

ოჯახი – როგორც სიცრუის, პირფერობის, ღალატისა და სისასტიკის ბუდე, მოიშლება. ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც წამლავს წარმოსახვას და ფრთებს კვეთს თავისუფალ ნებას, დაინგრევა.

გენეტიკურ ლაბორატორიებში მოხდება ჩასახვა და აღმოცენება სრულყოფილი ბიჭუნებისა. ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ გვგმობს, დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთი ყმაწვილი იქნება. ჩვენ მიჯაჭვულნი ვართ სილამაზისა და ესთეტიკის კულტთან. ყველაფერ მახინჯს, ვულგარულს და ბანალურს მოვსპობთ. ჩვენთვის უკიდურესობაც კი ძალიან ცოტაა...”

ფრაგმენტი N 2

1. ქვეყანაში ქაოსის დანერგვა, ანუ, ჭეშმარიტი ფასეულობების ყალბი ანალოგებით შეცვლა. ეროვნული ღირებულებების დაკნინება-შეცვლა და ხელოვნურად შეთითხნილი ყალბი ღირებულებების პატივისცემის იძულება.

2. ქვეყნის მმართველობაში შეუმჩნეველად ქაოსის და დაბნეულობის შექმნა (ჩვენივე დახმარებით დანიშნული თანამდებობის პირების დახმარებით), რათა ვერავინ გაარკვიოს, სადაა თავი და სად ბოლო.
3. პატიოსნება და წესრიგი დასაცინი და ზედმეტი უნდა გახდეს. უტიფრობა, თავხედობა, სიცრუე და ფლიდობა, ლოთობა და ნარკომანია, ხალხთა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდების ჩვეულებად გადაიქცეს.
4. მომრავლდება მკვლელობები, პროსტიტუცია. გადაშენების გზაზე დადგებიან ერები.
5. პერიოდულად გათამაშდება გრანდიოზული ტრაგედიები.
6. შეიქმნას სამუშაო ადგილების დეფიციტი, ე.ი. გაუქმდეს და განადგურდეს ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა, ქვეყანაში დამკვიდრდეს ეგრეთწოდებული საბაზრო ეკონომიკა, რაც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ დაკნინებას, ხალხის მასების დამშვევა-გამათხოვრებას.
7. ქვეყნის ხელისუფლება გაყიდის ყველაფერ ფასეულს, ქარხნებს, ფაბრიკებს, შენობებს, მიწის პრივატიზაციის საშუალებით. მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ დარჩება საცხოვრებელი მინიმუმი, რაც გამოიწვევს ერისა და ქვეყნის სრულ დამოკიდებულებას ჩვენს მმართველობაზე, ამგვარად ათვისებული ქვეყნის ტერიტორიას ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენივე მიზნების განსახორციელებლად“.

ფორესტოლის დოკუმენტისა და თუნდაც დალესის ფსევდო დოქტრინის გამოქვეყნებიდან სწორედ 3-4 ათეული წლის შემდეგ გავრცელდა ამერიკელი ცსს-ს სამმართველოს საიდუმლო განყოფილების აგენტის ჯონ პერკინსის წიგნი - „ეკონომიკური მკვლელის აღსარება.“ ეს წიგნი ამავე საკითხებს ეძღვნება, ოღონდ ეკონომიკური კუთხით, რისკენაც მოწოდებულია დალესის დოქტრინა.

ჯონ პერკინსი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო განყოფილებაში მსახურობდა და სწორედ ამ საკითხებზე მუშაობდა. პენსიაზე გასვლის შემდეგ მან დაწერა წიგნი სახელწოდებით „ეკონომიკური მკვლელის აღსარება.“ ეს არის ავტობიოგრაფიული წიგნი, სადაც აღწერილია ე.წ. გასაიდუმლოებული ჯგუფის - „ეკონომიკური მკვლელების“ ცხოვრება და საქმიანობა, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ამერიკისთვის ეკონომიკურად საინტერესო ქვეყნების უმაღლეს პოლიტიკურ ლიდერებთან ემუშავათ.

თავის დროზე, ევროპაში, ეს წიგნი ბესტსელერად იქცა. პერკინსის აზრით, მთელს მსოფლიოში, ამერიკის ინტერესების და გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნები, ისეთ მართვად ლიდერებს ირჩევენ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ აშშ-ის „დაკრულზე იცეკვებენ“ და საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ არაფერს გააკეთებენ, საკუთარი ქვეყნის ინტერესებს შეწირავენ ამერიკის ინტერესების გატარებას, როგორც ეს ხდებოდა და ამჟამადაც ხდება საქართველოსა და უკრაინაში. ხოლო მათ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს და საკუთარ ხალხზე იზრუნებს, უბრალოდ, ფიზიკურად მოიშორებენ ან ხელოვნურად მოგონილი კომპრომატებით მიწასთან გაასწორებენ“ [11].

დასკვნა

როგორც იკვეთება, თანამედროვე გლობალური საინფორმაციო სივრცე გახდა ინტერნეტის წინა პერიოდის ცალკეული ინფორმაციული ნაკადების ერთგვარი შემკრები აუზი. ეს ნაკადები კი წყვეტილი მიწოდების ფორმატიდან გლობალური აუდიტორიის თვალწინ ინფორმაციის უწყვეტ მასივად გადაიქცა. ამან ინფორმაციული სივრცის სიმყარე ერთდროულად ჩამოანგრია. ინფორმაციულ ნაკადებს შორის არსებული ქრონომეტრაჟი პრაქტიკულად განუღდა. ყველაფერი ეს კი იმ დროს ხდება, როცა ადამიანთა მასაზე სუბლიმინაციური ზემოქმედების მექანიზმის სიმძლავრე ლამის გაასმაგდა. ყოველივე ამან

დღის წესრიგში დააყენა ნებისმიერი ქვეყნის ინფორმაციული სისტემის დაცვის აუცილებლობა გარედან მომდინარე სახიფათო ინფორმაციისაგან. დადგენილია, რომ ნებისმიერი არასასურველი ინფორმაცია, რომელიც შედის ამა თუ იმ ქვეყნისა თუ ინდივიდის ინფორმაციულ სისტემაში აუცილებლად იწვევს თავად ამ სისტემის ცვლილებას. საბოლოო ჯამში ეს სრულიად შეუქცევად ცვლილებებს განაპირობებს, მეტიც, ნებისმიერ თვითმყოფად ერში თვითგანადურების დილაკის უნებლიედ ჩართვასაც კი უზრუნველყოფს. თანაც ისე, რომ საღათას ძილს მიცემულ ერს გამოფხიზლებისას შესაძლოა თვალწინ საშინელი რეალობა გადაეშალოს.

ამდენად, სუბლიმინაციური, ანუ ფარული ზემოქმედების კონტენტით ხდება ნებისმიერი მოწინააღმდეგე, საინფორმაციო ომის სამიზნე ქვეყნის თუ ცალკეული ჯგუფების ან ინდივიდის სერიოზული დაზიანება. ამიტომ თავდაცვის მექანიზმების დაუფლება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ისე ცალკეული ინდივიდისთვის.

ლიტერატურა

1. <https://cyberleninka.ru/article/n/psihotronnoe-oruzhie-vozdeystvie-skrytyh-komand-na-podsoznanie-cheloveka>
2. Кара-Мурза С.Г. Манипуляция сознанием. - М.: Алгоритм, 2000. - 688 გვ.
3. https://science.fandom.com/ru/wiki/25-й_кадр
4. <http://www.repiev.ru/articles/25frame.htm>
5. Monahan, L.J., Murphy, T.S., Zajonc, R.B. Subliminal Mere Exposure: Specific, General, and Diffuse Effects. *Psychological Science*, VOL. 11, NO. 6, 2000
6. <https://psyfactor.org/k25.htm>
7. Есин С.В., Афанасьев В.Г., Федоренко А.В. и др. Исследование подсознательного определения маркеров зависимого поведения. // «Материалы научно-практической конференции, приуроченной к 20-летию клинического госпиталя МСЧ ГУВД по г.Москве», под ред. В.Я.Клыги, Москва, 2009, - გვ. 68-69.
8. https://www.mathnet.ru/php/archive.phtml?wshow=paper&jrnid=vspui&paperid=231&option_lang=rus
9. <https://politcano.blog/category/ჯემს-ფორესტოლი/>
10. <https://www.sb.by/articles/sindrom-forrestola.htm>
11. <https://geworld.ge/ge/9571/>

Informational suggestion, as a key component of information warfare

Gigla Gobechia, Maia Tungia

Abstract

In the digital age, information warfare has become the main tool for gaining influence. Its serious consequences for the object are the more destructive, the stronger the moment of suggestion. This applies equally to both states and individual organizations waging information warfare against each other. Gaining a strategic advantage depends on the correct planning and conduct of information warfare. Even an information warfare started in the distant past, chosen with the right strategy and subsequently waged with the same tactics, ultimately achieves its goal precisely due to a large dose of suggestive moments.

This work is a kind of first attempt to present and understand information warfare from a different point of view.

Keywords: Information warfare, informational suggestion, manipulation, NLP, 25th frame.

0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება MANAGEMENT AND ADMINISTRATION

შიდა აუდიტი - კონტროლის ეფექტური მექანიზმი

თინათინ დოლიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

E-mail: tinatin.doliashvili@ciu.edu.ge

ვახტანგ ნადირაძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

E-mail: v.nadiradze@yahoo.com

რეზიუმე

შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა.

შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება. შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს დაწესებულების მთელი რიგი აქტივობებისა და პროცესების შეფასებას, რათა უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესაბამისობა მიზნებთან, წესებთან, სტანდარტებთან და გონივრულ ფინანსური მართვის პრინციპებთან.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, უწყვეტ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები აამაღლებს ბუღალტრების და აუდიტორების კვალიფიკაციას საქართველოში და რაც მნიშვნელოვანია, გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების ნდობას პროფესიის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, მიზნები, კონტროლი, დამოუკიდებელი.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და გაუმჯობესებს რისკის მართვას, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას, გასცემს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესების მიზნით. [1, გვ., 5].

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკისა და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკების ეფექტურ მართვას და ამისათვის კონტროლის სისტემების შესაბამის დახვეწას, რათა მოხდეს მისი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა [2, გვ., 8].

შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ ორგანიზაციის შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება. შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს დაწესებულების მთელი რიგი აქტივობებისა და პროცესების შეფასებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსური მართვისა

მიმართულებების აუდიტთან, რომლის საფუძველზეც დგინდება აუდიტის პრიორიტეტულობა და მისი ჩატარების გრაფიკი. ეს მიდგომა განსხვავდება ადრე ჩამოყალიბებული პრაქტიკისაგან, როცა უმეტეს შემთხვევაში არსებული რისკების შესახებ სუბიექტური დასკვნები და წინამორბედი შემოწმების თარიღი განსაზღვრავდა მის თანმიმდევრობას და აუდიტის პერიოდულობას [3, გვ., 37].

შიდა აუდიტის რეგლამენტაცია არის მეთოდების და შიდა აუდიტის ტექნოლოგიის, აგრეთვე დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებიც ახდენენ შიდა აუდიტის რიგითობის რეგლამენტაციას და ინფორმაციის წარმოდგენას. რეგლამენტაცია მოიცავს ნორმატიული დოკუმენტების სისტემას, აუდიტორული საქმიანობის სტანდარტებსა და ნორმატივებს, მათი კონტროლის საგნისა და ობიექტის მაჩვენებლების კრიტერიუმებს, რომლებიც არეგულირებენ კომპანიის საქმიანობას.

შიდა აუდიტის წესდებაში აუცილებელია შევიდეს ჩანაწერი შიდა აუდიტის სამსახურის სტატუსისა და უფლებამოსილებების შესახებ: აუდიტის დამოუკიდებლობის დონე, კონტროლის ფუნქციების სეგრეგაცია და სუბიექტების უფლებამოსილებების სანქციონირება, მათ შორის მაკონტროლებლებისა და აუდიტორების. კონტროლის ორგანოების საქმიანობის რეგლამენტაცია უმჯობესია გაიხსნას აუდიტორის სამუშაო დოკუმენტაციის ცალკე შიდა სტანდარტებში და მათ დანართებში.

ფინანსური აღრიცხვისა და შიდა კონტროლის გაუმჯობესების მიზნით სასურველია შემდეგი ცვლილებები:

1. დაცული იქნეს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები, რათა მათ მიეცეთ წვდომა გაუმჟღავნებელ ინფორმაციასთან;
2. ამაღლდეს კრედიტორებისთვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის ხარისხი;
3. გაუმჯობესდეს კომპანიების ანგარიშვალდებულება ძირითადი დაინტერესებული მხარეების მიმართ.

დასაზუსტებელია შიდა აუდიტის ადგილი კორპორაციული მართვის სისტემაში. კონტროლი განსაზღვრულია, როგორც ეკონომიკური სუბიექტის მართვის განუყოფელი ფუნქცია. შიდა კორპორაციული კონტროლი პირდაპირ არის დამოკიდებული კორპორაციული მართვის სისტემის სუბიექტების ძირითად ჯგუფებზე. ამ სისტემაში შიდა აუდიტის ინტეგრირება აძლევს ეკონომიკურ სუბიექტს დასახული მიზნების მიღწევის საშუალებას. შიდა აუდიტი იძლევა იმის საშუალებასაც, რომ ხელმძღვანელები და აქციონერები მომარაგდნენ სრული და ჭეშმარიტი ინფორმაციით. შედეგად მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის როლი საინვესტიციო რესურსების მოზიდვისათვისა და კორპორაციის სტაბილურობისთვის.

შიდა აუდიტის არსის, მიზნებისა და ამოცანების აღსაქმელად აუცილებელია მისი არა როგორც ერთჯერადად მომხდარი ფაქტის, არამედ როგორც კორპორაციული მართვის სისტემის განვითარებისა და კონტროლის ფუნქციის თანდათანობით გართულების შედეგის აღქმა. რადგან დიდია ურთიერთკავშირი კომპანიის განვითარებასა და მართვის ფუნქციის, კერძოდ კონტროლის, სრულყოფას შორის. ორგანიზაციის ზრდასთან და მართვის პროცესების გართულებასთან ერთად კომპანიის უმაღლეს მმართველობას ფიზიკურად უჭირს ყველა პროცესის გაკონტროლება. ამას თან სდევს კონტროლის კრიზისი, რაც, თავის მხრივ, იწვევს მმართველთა მხრიდან ინიცირებას შიდა აუდიტის დამოუკიდებელი ორგანოს შექმნისა და მისი შიდა აუდიტის სისტემიდან გამოყოფისათვის.

მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაძლიერება სამთავრობო სტრუქტურებსა და ფინანსური აღრიცხვის პროფესიულ ასოციაციებს შორის. ამ თანამშრომლობის საბოლოო მიზანია: ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდა.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, უწყვეტ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ამაღლებს ბუღალტრებისა და აუდიტორების კვალიფიკაციას საქართველოში და რაც მნიშვნელოვანია, გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების ნდობას პროფესიის მიმართ. ეს ღონისძიებებია:

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ყველა საფეხურის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-გაუმჯობესება;
2. აკადემიური პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების პროფესიულ საგამოცდო მოთხოვნებთან.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.
2. „აუდიტის სახელმძღვანელო“, ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, 2018.
3. რუსიაშვილი გ. გეგეშიძე ე. გაგნიძე ლ. „აუდიტის ხარისხი“, თბ., 2019.
4. COSO (The Committee of Sponsoring Organization of the Treadway Commission). <http://www.coso.org>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 01. 2025.

Internal Audit - Effective Control Mechanism

Tinatin Doliashvili, Vakhtang Nadiradze

Abstract

Internal audit is an independent, objective, assurance and consulting activity aimed at improving the activities of an institution and the full implementation of its tasks.

Internal audit is a means that provides the head of the institution with independent assurance that the control mechanisms within the institution achieve the set goals and risk management is implemented effectively. Internal audit activities include the assessment of a number of activities and processes of the institution in order to ensure the compliance of the financial management and control system with the goals, rules, standards and principles of sound financial management.

As world practice shows, measures related to continuous professional education will improve the qualifications of accountants and auditors in Georgia and, importantly, increase the trust of civil society in the profession.

Keywords: Internal audit, objectives, control, independent.

0421 სამართალი LOW

**უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ზოგიერთი აკადემიური და
სამართლებრივი უზრუნველყოფის მეცნიერული რეკომენდაციები**

ნანა ჩაჩანიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

E-mail: nana.chachanidze@ibsu.edu.ge

რეზიუმე

ნაშრომში განალიზებულია უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის აკადემიური და სამართლებრივი უზრუნველყოფის ზოგიერთი პრობლემა და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის ავტორისეული რეკომენდაციები. კერძოდ, განხილულია ვონგის, დე ვიტის და ჩიუს (Wong, DeWitt and Chiu,) მიერ ჩატარებული კვლევებით დადგენილი იდეალური სტუდენტის რვა განზომილების ჩარჩო და შესაბამისი მახასიათებლები. ჩარჩოს ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა მისი შემდგომი სრულყოფილების მიზნით. ავტორის აზრით, მოცემული ჩარჩო არ არის სრულყოფილი. ჩარჩოში არ არის მითითებული იდეალური სტუდენტის აღზრდის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორცაა პატრიოტული აღზრა (პატრიოტიზმი) და პროფესიული კარიერის განვითარების უნარი ანუ კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირება. ნაშრომში განმარტებულია, თუ რა როლი შეიძლება ითამაშოს განათლების ხარისხის მართვაში აღნიშნულმა ორმა მახასიათებელმა. მტკიცებულებისათვის მოყვანილია მაგალითები ევროპისა და ამერიკის მაგალითებზე. მოყვანილია ამ მახასიათებლების დეტალური აღწერა, მისი აკადემიური და სამართლებრივი უზრუნველყოფის მეცნიერული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა, ხარისხის მართვის აკადემიური და სამართლებრივი უზრუნველყოფა, პატრიოტული აღზრა, პროფესიული კარიერის განვითარება, კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირება, თეორიულ-მეთოდოლოგიურ შეხედულებათა სისტემა.

შესავალი

განათლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა გამოწვეულია საზოგადოების მოთხოვნითა და დაკვეთით. ნებისმიერ ოჯახს, ეროვნების, წარმომავლობის, რელიგიის, თუ სხვ. განსხვავებით, აქვს სურვილი და მოთხოვნა მიაღებოს თავის შვილებს ხარისხიანი (მაღალი დონის) განათლება და ამაზე მშობლები ზრუნავენ ბავშვის საგანმანათლებლო ასაკის მიღწევის პირველი დღიდან.

დარგის მკვლევარები მუდმივად მუშაობენ განათლების ხარისხის გაუმჯობესების მეთოდების ძიებაში, მისი, როგორც აკადემიური პოზიციის გაუმჯობესების, ასევე იურიდიული უზრუნველყოფის დამუშავებაზე.

უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის განვითარებისა და შეფასების სისტემის პოლიტიკის შემუშავების მიზნით, წინა პლანზე წამოიწია ამოცანამ – „ვიპოვოთ პასუხი შემდეგ კითხვაზე – როგორი უნდა იყოს იდეალური სტუდენტი?“

ამ კითხვის შინაარსი უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემას უყენებს ახალ მოთხოვნებს და ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა ახალი ამოცანები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა მოითხოვს უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების ახალი, თანამედროვე სტრატეგიის ფორმირების, ახალი ნორმატიული საფუძვლების შემუშავებას.

ძირითადი ნაწილი

ვონგის, დე ვიტის და ჩიუს (Wong, DeWitt and Chiu,) მიერ ჩატარებული კვლევების, სახელწოდებით - „იდეალური სტუდენტის რვა განზომილების რუკა“, მასალების გამოქვეყნებამ, დაინტერესებული მხარეებს მისცა საშუალება ეპოვათ პასუხი კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური სტუდენტი?

შესაბამისად, ჩამოყალიბდა იდეალური სტუდენტის რვა განზომილებიანი ჩარჩო შემდეგი მახასიათებლებით [1,2]:

1. შრომისმოყვარეობა და ჩართულობა,
2. ორგანიზებულობა და დისციპლინა,
3. რეფლექსია (გაცნობიერება) და ინოვაციები,

ამისათვის საჭიროა, ხარისხის მართვის პროგრამაში და მის იდეოლოგიაში მოვახდინოთ პატრიოტული განათლების ცნებების ახლებური ჩამოყალიბება, ახალ თვისებრივ საფეხურზე აყვანა. ცხადია, ამის უპირველესი საფუძველი უნდა იყოს ტოლერანტობის იდეოლოგიის, ეთნიკური ურთიერთობების, კულტურის, უფროსების პატივისცემის, სამშობლოს სიყვარულის და მის ბედზე პირადი პასუხისმგებლობის აღების სამართლებრივი საფუძველი.

შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ სტუდენტთა პატრიოტული აღზრდა სახელმწიფო პოლიტიკის წამყვანი მიმართულება უნდა იყოს და პატრიოტული აღზრდის ამოცანა უმაღლესი განათლების სისტემაში ცხოვრებისეული ფასეულობის სათავეში დავაყენოთ. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობას და დემოკრატიული პროცესების განვითარებას, რადგან ეს უკანასკნელი მეტწილადაა დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ მდგომარეობასა და სოციუმის შეხედულებებზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში პატრიოტული აღზრდის თემების ჩართვის მნიშვნელობას განამტკიცებს ის ფაქტიც, თუ როგორ აზრს გამოთქვამს საქართველოს პრემიერ მინისტრი აღნიშნულის შესახებ: "... სერიოზული პრობლემა იყო წლების განმავლობაში, როდესაც მაქსიმალურად იყო დაკნინებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში პატრიოტული აღზრდის მნიშვნელობა, საკუთარი ეროვნული იდენტობის გაცნობიერების მნიშვნელობა და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ამან თავისი შედეგები გამოიღო, თუმცა, არაფერია დაგვიანებული და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ სათანადო ყურადღება დაეთმოს ჩვენი ბავშვების, მოსწავლეების სათანადო აღზრდას და მსათვის სათანადო განათლების მიწოდებას" – ირაკლი კობახიძე [4].

პატრიოტული აღზრდის თემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში. ამ ქვეყნებში ახალგაზრდების პატრიოტულ აღზრდას ერთ-ერთ წამყვანი ადგილი აქვს დათმობილი. პატრიოტიზმის აღზრდა წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ელემენტს სასწავლო პროცესში. მრავალი ევროპელის აზრით სამშობლოს, ენის, ტრადიციებისა და კულტურის მიმართ სიყვარული და პატივისცემა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა. ერთ-ერთი გერმანელი პოლიტიკოსი საჯაროდ აღნიშნავს, რომ „პატრიოტიზმი არის ვნებიანად გიყვარდეს შენი ხალხი და არა სხვების სიძულვილი“. პატრიოტული აღზრდის მეთოდებითა და მისი პრაქტიკული რეალიზებით ევროპაში ლიდერობს გერმანია, სერბეთი და დიდი ბრიტანეთი. ამ ქვეყნებში რეალიზდება სახელმწიფო პროგრამები სახელმწიფო ენის, ისტორიის და კულტურის დასაცავად. ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობს კვლევები პატრიოტიზმის გამოვლინების ახალი ფორმებს განსაზღვრისათვის, რაც მდგომარეობს „შეუმჩნეველი პატრიოტული აღზრდის მეთოდების“ დამუშავებაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუდენტთა პატრიოტული აღზრდის პროცესით და მისი რეალიზებით დიდ სამუშაოს ატარებს ამერიკის მასიური კულტურა, როგორცაა მაგალითად კინო. ამერიკის მთავრობა ავალდებულებს კინოს შემქმნელებს, რომ სახელმწიფოს დონეზე მოახდინონ პატრიოტულ თემებზე მიძღვნილი კინოგადაღებები.

ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, ჯერ კიდევ პირველად არჩევის დროს თავის ინაუგურაციაზე (2017 წლის 22 იანვარს) ხაზი გაუსვა ამერიკის მოსახლეობაში პატრიოტული აღზრდის იდეის პროპაგანდის აუცილებლობას.

კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირება.

დღეს საქართველომ, დიდი ხნის მცდელობის შემდეგ (საბჭოური სისტემის რღვევის შემდგომ), მეტნაკლებად აუწყო ფეხი საბაზრო ეკონომიკას, რისთვისაც საჭირო შეიქმნა არსებული სტერეოტიპების ნგრევა და ეკონომიკის ტრანსფორმაცია. კარგი შესაძლებლობა შეიქმნა პროფესიული მოღვაწეობის სფეროში ინდივიდის (სპეციალისტის) შესაძლებლობების (ნიჭის, მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის და სხვ.) გამოსავლენად, პიროვნების წარმოჩენისა და თვითრეალიზებისათვის.

ყოველივე ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული პროფესიული კარიერის ფორმირებასთან, რომლის გზა პირდაპირ მიდის ლიდერობისკენ. ლიდერობა კი, თავის მხრივ წარმოადგენს ისეთ სოციალურ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება მაღალი მატერიალური მაჩვენებლებით, შექმნილი იმიჯით, კონკურენტუნარიანობით, სოციუმში წარმოჩინებით და აღიარებით, ხელმძღვანელ თანამდებობამდე მისვლით.

ეს ყველაფერი უმაღლესი განათლების სისტემას აყენებს ახალი გამოწვევების წინაშე. კერძოდ, მოითხოვება პროფესიულ სწავლებაში/აღზრდაში ახალი სტრატეგიის ფორმირება, სწავლების ახალი ნორმატიული სისტემის შემუშავება, რომელიც აღიარებს და ცნობს პროფესიულ საქმიანობაში სპეციალისტის ინდივიდუალურ ქმედებებს, მისი მოღვაწეობის თავისუფლებას. ამის გათვალისწინებით, უმაღლესი განათლების პროცესში კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირების დაგეგმვის სტრატეგიის შემუშავება ისეთივე აქტუალური პოზიციაა, როგორც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

უნდა ვაღიაროთ, რომ სტუდენტთა პროფესიული კარიერისა და ლიდერობის აღზრდის საკითხი საქართველოში სიღრმისეულად არ არის დაყენებული, რაც ნეგატიურად მოქმედებს განათლების ხარისხზე და სპეციალისტის პროფესიული კარიერის სოციალურ-ეკონომიკურ ფასეულობაზე. ასევე, არ არის შემუშავებული კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირების მართვის სამართლებრივი ასპექტები.

ამ პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა, ცვლილებების შეტანა უმაღლესი განათლების აკადემიური პროგრამების შინაარსში, უნდა შემუშავდეს კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, კრიტერიუმები, ფაქტორები; განისაზღვროს პროფესიული კარიერის განხორციელების ოპტიმალური გზები; შემუშავდეს მისი დაგეგმვის სტრატეგიისა და მართვის ეფექტიანი პრაქტიკული რეკომენდაციები; მართვის ხარისხობრივი და სამართლებრივი ასპექტები.

ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა გაერთიანდეს უმაღლესი განათლების კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირების სასწავლო პროგრამის დიდაქტიკურ შინაარსში. საჭიროა, ამ მიმართულებით განისაზღვროს სწავლების სტრატეგიის პედაგოგიური პროცესების ხარისხის თანამედროვე დიდაქტიკა. გაანალიზდეს არსებული ტენდენციები აკადემიური ჯგუფების მიხედვით, გამოკვლევულ იქნეს სტუდენტ ახალგაზრდობაზე ორიენტირებული ფასეულებათა ახალი მახასიათებლები, მოხდეს სწავლების დიფერენცირება, აღქმისა და აზროვნების წესების ცვლილება არსებული სოციალისტურიდან პიროვნულზე გადაწყობით.

კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირების სასწავლო აკადემიური პროგრამის შინაარსში უნდა იყოს გადმოცემული კარიერის პროცესული არსი, მისი ბუნება, როგორც გზა პროფესიონალის სტატუსის, ფუნქციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და სხვა მახასიათებლების ცვლილებებისა, კარიერის კლასიფიკაცია და ნიშნები, კრიტერიუმები და კარიერის განვითარების სტადიები, მისი მახასიათებელი ნიშნები; შიგაორგანიზაციული კარიერის განვითარების ასპექტები; კარიერის წრფივი და არაწრფივი ტიპები, მისი მდგრადობისა და უწყვეტობის ხარისხი; პერსონალის მართვის მენეჯმენტის სტილი (მაგალითად კლასიკური, დაკავშირებული გერმანელ ფსიქოლოგ კ. ლევინთან), კონფლიქტები, შრომისადმი ინტერესის გამოვლენა; ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილის კავშირი შრომითი მოტივაციასა და მუშაობის ხარისხთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს ადამიანური რესურსების მართვის სწავლებას, მის შინაარსს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებსა და მეთოდებს; თეორიულ-მეთოდოლოგიურ შეხედულებათა სისტემას; ადამიანური რესურსების მართვის მთავარ წესებს, დებულებებს და სამართლებრივ ნორმებს.

საინტერესო და სასარგებლო იქნება სასწავლო პროგრამაში აიზენკის თეორიის [5] ზოგიერთი რეკომენდაციის ჩართვა, სადაც მოცემულია პიროვნების მახასიათებლების

დალაგება იერარქიულად. მის მიერ შექმნილი ოთხგანზომილებიანი სისტემის, პროვინების ტიპებად დაყოფის და ტიპური მახასიათებლების (ავტორიტეტი და სხვ.) ცნებების სწავლება.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს აკადემიურ ჯგუფებში სადღეისო სოციალურ-ეკონომიკური პრობლების თანხედენილ, კარიერის აღზრდისა და ლიდერობის ჩვევების ფორმირებას, განათლების ხარისხის განვითარებას.

ახლა განვიხილოთ უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი.

განათლების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ აქტივობებზე „სამართლებრივი უზრუნველყოფა“, შეიძლება გულისხმობდეს მის ვიწრო, ან ფართო გაგებას. ეს ცნება ფართო გაგებით მოიცავს განათლების ხარისხისა და მისი მართვისათვის საჭირო საქმიანობების დამცავ მექანიზმებს, მათ შორის: სხვადასხვა სახის სამართლებრივ იძულებას, პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას, განათლების ხარისხის სამართლებრივ გარანტიებს და სხვ.

ჩვენ ნაშრომში ვიხილავთ განათლების ხარისხის მართვის ვიწრო სამართლებრივ უზრუნველყოფას ანუ სამართლებრივი ნორმების იმ ერთობლიობას, რომელიც საჭირო იქნება ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების: პატრიოტული და კარიერის აღზრდის (ლიდერობის ჩვევების ფორმირების) სასწავლო პროგრამის დიდაქტიკურ შინაარსს.

ამ შემთხვევაში საჭიროა დამუშავდეს სამართლებრივი ნორმების ამოცანები, პრინციპები, ამ მექანიზმის განხორციელების ძირითადი საშუალებები და მეთოდები რაც თანახვედრაში იქნება არსებულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და ნორმებთან, რომლებიც ადგენენ განათლების ხარისხის კონტროლის წამყვან საშუალებებს. ცხადია, ეს ნორმები კერძო სამართლის ხასიათს ატარებს, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ კანონით შემოღებული მოთხოვნების გარდა, შეიძლება შეიქმნას დამატებითი პრობები საგანმანათლებლო მომსახურების გაწვევისთვის, მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველსაყოფად. ვიწრო სამართლებრივი რეგულაციები შეიძლება შემოღებულ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა წესდებით და აქტებით.

ლიტერატურა

1. Cristina Teodora Roman. Cristina Ionela Bulat. Quality in Higher Education: A Comparison Between Legal and Academic Approaches "Alexandru Ioan Cuza" University of Iași, Romania throman@uaic.ro bulat_cristina@yahoo.com.
2. Wong, B., DeWitt, J. & Chiu, Y.-L. T., 2023. Mapping the eight dimensions of the ideal student in higher education. *Educational Review*, 75(2), pp. 153-171. <https://doi.org/10.1080/00131911.2021.1909538>.
3. Børte, K., Nesje, K. & Lillejord, S., 2020. Barriers to student active learning in higher education. *Teaching in Higher Education*, pp. 1-19. <https://doi.org/10.1080/13562517.2020.1839746>.
4. <https://www.ambebi.ge/article/318995-mnishvnelovania-skolebis-depolitizeba-clebis-gan/>.
5. <https://bigenc.ru/c/teoriia-lichnosti-aizenka-ee856f>.

Some Scientific Recommendations for Academic and Legal Support of Higher Education Quality Management

Nana Chachanidze

Abstract

The study analyzes some problems of academic and legal support of higher education quality management and offers recommendations for its solution. Important factors in educating an ideal student are identified, such as patriotic upbringing (patriotism) and the ability to develop a professional career, i.e. formation of career education and leadership skills. These characteristics are detailed, along with scientific recommendations for its academic and legal support.

Key words: quality management in higher education, scientific and legal support for quality management, patriotic education, professional and career development, formation of professional and educational and leadership qualities, system of theoretical and methodological views.

0511 ბიოლოგია BIOLOGY**ცელულაზებისა და ქსილანაზების ბიოტექნოლოგიური გამოყენება**

მზია გურული

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mzia.guruli@atsu.edu.ge

რეზიუმე

1970-იან წლებში ნედლი ნავთობის გლობალური პრობლემა დაფიქსირდა, რამაც აიძულა მრავალი ინდუსტრია, ფოკუსირება მოეხდინათ ცელულაზებისა და ქსილანაზების გამოყენებაზე ბიოსაწვავის წარმოებაში. ბიოეთანოლი, ბიო-ბუტანოლი, აცეტონი და 2,3-ბუტანედიოლი წარმოიქმნება ცელულოზის და ჰემიციელულოზის დაშლის შედეგად ცელულაზასა და ქსილანაზას მიერ. დღეის მდგომარეობით, ეთანოლის წარმოება არა მხოლოდ საჭიროა ნავთობის კრიზისის გამო, არამედ ის ასევე მკვეთრად ამცირებს სათბურის გაზების გამოყოფას. ეს აქცევს ბიოეთანოლს დღეს ყველაზე გავრცელებულ და ფართოდ გამოყენებად განახლებად საწვავად. ლიგნოციელულოზასგან მიღებული ბიოეთანოლი ეკოლოგიურად სუფთაა და ეს პროცესი მოიცავს წინასწარ დამუშავებას, პოლისაქარიდების ფერმენტულ დეგრადაციას ფერმენტირებად მონოსაქარიდებად და შემდეგ ამ შაქრების დუდილს ბიოეთანოლამდე. ბიომასის ფერმენტული საქარიფიკაცია განიხილება სასიცოცხლო მნიშვნელობის საფეხურად, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს წარმოების მთლიან ღირებულებაში და ეს პროცესი შეიძლება გაუმჯობესდეს თერმოფილური მიკროორგანიზმებისგან წარმოებული თერმოსტაბილური ფერმენტების გამოყენებით.

ამჟამად მეტაბოლურ და გენეტიკურ ინჟინერიაში, მოლეკულურ მიკრობიოლოგიასა და სტრუქტურულ ბიოქიმიაში მიღწეულმა პროგრესმა ხელი შეუწყო თერმოსტაბილური ცელულაზებისა და ქსილანაზას სინთეზს. თერმოსტაბილური ცელულაზებისა და ქსილანაზას გამოყენება ლიგნოციელულოზური ბიომასის დამატებული ღირებულების მწვანე პროდუქტად გარდაქმნისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ბევრ სექტორში, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მრავალი მიდგომა, რომელიც შესასწავლი და შემუშავებულია.

საკვანძო სიტყვები: ბიოტექნოლოგია, ბიოსაწვავი, ბუტანედიოლი, ეთანოლის წარმოება, მეტაბოლური და გენეტიკური ინჟინერია, ნედლი ნავთობი.

ფერმენტები არის ბუნებრივი კატალიზატორები, რომლებსაც შეუძლიათ დააჩქარონ მაღალეფექტური ქიმიური რეაქციები. თუმცა, ამ კატალიზატორების უუნარობაა გაუძლოს მძიმე ინდუსტრიულ პირობებს, შეზღუდა მათი გამოყენება სხვადასხვა ინდუსტრიაში. 2004-2008 წლებში ბიოსაწვავთან დაკავშირებული კვლევითი კვლევების მკვეთრი ზრდის შემდეგ, ლიგნოციელულოზის, ცელულოზისა და ჰემიციელულოზის შემცველობის ფერმენტული ჰიდროლიზი გამოვლინდა, როგორც ლიგნოციელულოზის ბიოკონვერსიის ერთ-ერთი მთავარი რთული ეტაპი, წრიული ბიოეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. მეზოფილურიდან თერმოფილურ ფერმენტებზე გადასვლა სასიცოცხლო მიდგომაა ტიპური ფერმენტული ჰიდროლიზის ტექნიკური და ძვირადღირებული ნაკლოვანებების მოსაგვარებლად, რომლებიც ყურადღებას იპყრობს ბოლო წლებში.

ბიოინერჯის პლატფორმების მეშვეობით ლიგნოციელულოზური ბიომასა, როგორც იაფი და უხვი სუბსტრატები, შეიძლება გამოყენებულ იქნას მეორე თაობის ბიოსაწვავის, ასევე სხვადასხვა ძვირფასი ქიმიკატების დასამზადებლად. ლიგნოციელულოზური ბიომასისგან წარმოებული ბიოეთანოლი არის განახლებადი სატრანსპორტო საწვავის მნიშვნელოვანი წყარო, რადგან მას შეუძლია შეამციროს სათბურის გაზების ემისიები, შეამციროს წიაღისეული საწვავის დამოკიდებულება, გააუმჯობესოს ენერგოუსაფრთხოება და შეამციროს საკვების ფასები საკვების წარმოების კომპრომისის გარეშე. თუმცა, ლიგნოციელულოზური ბიომასის გამოყენებამდე საჭიროა დეგრადაცია, მიკროორგანიზმების უმეტესობას არ შეუძლია მისი პირდაპირი გამოყენება. არსებობს უამრავი ქიმიური, ფიზიკური და ფერმენტული პროცესი ლიგნოციელულოზური ბიომასის დეგრადაციისთვის. ფერმენტული მეთოდები მრავალ

უპირატესობას გვთავაზობს ქიმიურ და ფიზიკურ წინასწარ დამუშავებასთან შედარებით, რადგან ისინი ეკოლოგიურად სუფთაა და არ საჭიროებს მავნე ქიმიკატებს, როგორცაა მჟავები ან ფუძეები, როგორც ყველა ცნობილ პროცესს შორის, ლიგნოცელულოზის საკვების ფერმენტზე დაფუძნებული ჰიდროლიზი ცელულაზასა და ქსილანაზას გამოყენებით საუკეთესოა. ცელულაზა და ქსილანაზა არის ძირითადი ფერმენტები, რომლებიც საჭიროა ლიგნოცელულოზური ბიომასის ჰიდროლიზისთვის. თუმცა, ფერმენტული პროცესი შეაფერხა ფერმენტების ღირებულებამ. ფერმენტული ჰიდროლიზის ღირებულების შემცირების ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევის მიუხედავად, მისი წვლილი ბიოეთანოლის წარმოების პროცესის ეკონომიკაში, ანუ 0,68–1,47 აშშ დოლარი წარმოებული ეთანოლის გაღონზე, ჯერ კიდევ ძალიან მაღალია იმისთვის, რომ იყოს შესაძლებელი.

ამ კვლევის სფეროში დაფიქსირებული უზარმაზარი კვლევის პროგრესის მიუხედავად, უფრო უახლესი კვლევა აჩვენებს, რომ ბიოეთანოლის წარმოების საშუალო ღირებულება ლიგნოცელულოზური ბიომასისგან მერყეობს \$1.91-დან \$3.48-მდე გაღონზე ეთანოლზე. ხაზგასმით აღინიშნა სხვადასხვა მკვლევარის მიერ, როგორცაა სტეფანოპულოსი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ფერმენტის ღირებულების შემცირება 3-4 ცენტამდე ერთ გაღონ ეთანოლზე ლიგნოცელულოზური ბიოეთანოლის კომერციალიზაციამდე. ფერმენტის გაზრდილი აქტივობა მაღალ ტემპერატურაზე, აქტივობასა და სტაბილურობას შორის ურთიერთგაცვლისას, ვარაუდობენ, როგორც ფერმენტის დოზის შესამცირებლად და, შესაბამისად, ფერმენტების ღირებულების შემცირების შესაძლო მიდგომას. ვარაუდობენ, რომ ეს შეზღუდვები შეიძლება დაიძლიოს თერმოფილური და ჰიპერთერმოფილური მიკრობების მაღალთერმოსტაბილური ფერმენტების გამოყენებით. რაც შეეხება მაღალი სპეციფიკის მქონე პროცესების კონფიგურაციას, თერმოსტაბილურ ფერმენტებს აქვთ მეტი სტაბილურობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ჰიდროლიზისთვის საჭირო ფერმენტების რაოდენობას და ამცირებს რეაქციის დროს. ამაღლებულ ტემპერატურაზე, სიბლანტის დაქვეითება აძლიერებს სუბსტრატის დიფუზიის სიჩქარეს ეფექტური ფერმენტული დეგრადაციისთვის. თერმოსტაბილური ფერმენტები ზრდის რეაქციის სიჩქარეს, ფერმენტებს აქვთ უფრო გრძელი ნახევარგამოყოფის პერიოდი, ამცირებს დაბინძურების რისკს მეზოფილების ფერმენტებთან შედარებით. გარდა ამისა, ისინი აძლიერებენ საკვების ხსნადობას, აქროლადი ნაერთების აღდგენას, ასევე ფერმენტული ეფექტურობა გაუმჯობესებულია სამრეწველო პროცესებში.

თითქმის ყველა ცნობილი ფერმენტი, მაგ.: პროტეაზები, ლიპაზები, ამილაზები, ცელულაზები, ქსილანაზები და უჯრედთან დაკავშირებული ფერმენტები (ტრეჰალაზა, ინვერტაზა და გლიკოზიდაზა), მიიღება თერმოფილური და თერმოტოლერანტული მიკროორგანიზმებისგან. მეზოფილური ფერმენტებისგან განსხვავებით, თერმოფილური მიკროორგანიზმებისგან გამოყოფილი ფერმენტები ძალიან აქტიური და უკიდურესად სტაბილურია ალკოჰოლური ნივთიერებების, სარეცხი საშუალებებისა და ორგანული გამხსნელების არსებობისას, რითაც უარყოფს ძვირადღირებული სამრეწველო კატალიზური აგენტების გამოყენებას, რომლებიც სასარგებლოა სხვადასხვა ინდუსტრიაში. ლიტერატურაში შეზღუდულია ინფორმაციის ნაკლებობა თერმოსტაბილიზებულ ფერმენტებზე მაღალი სპეციფიკური აქტივობით, ხოლო შეზღუდული ინფორმაციაა, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მათი წარმოება და თერმოფილური ორგანიზმებისგან თერმოსტაბილურობა. ამგვარად, წინამდებარე მიმოხილვა მიზნად ისახავს მიმოხილვას თერმოფილური და ჰიპერთერმოფილური მიკრობებისგან და მეტაგენომებისგან იზოლირებული უახლესი თერმოსტაბილური ცელულაზებისა და ქსილანაზების შესახებ, აქცენტი გაკეთებულია ტენდენციებზე, რომლებიც ახლახან გამოიყენეს ამ ფერმენტების წარმოებაში მეზოფილურ მასპინძელში დიდი რაოდენობით და აძლიერებენ სპეციფიკურ აქტივობას. ასევე

თერმოფილური ცელულაზებისა და ქსილანაზების თერმოსტაბილურობა, ამასთან, ხაზს უსვამს მათ ბიოტექნოლოგიურ გამოყენებას.

იმისთვის, რომ დავძლიოთ თერმოსტაბილური ლიგნოცელულოზური ფერმენტების სინთეზის ამჟამინდელი ბარიერი დიდი რაოდენობით, ჯერ უნდა გავარკვიოთ, როგორ მივიღოთ ისინი ეკონომიურ ფასად. საპროფიტული მიკროორგანიზმები, როგორც წესი, პასუხისმგებელნი არიან ცელულაზებისა და ქსილანაზების გამოყოფაზე მკვდარი დაშლის ორგანული ნივთიერებებისგან. მცენარეთა რამდენიმე პათოგენი ასევე გამოყოფს ცელულაზებს და ქსილანაზას.

მიკრობები, რომლებიც აწარმოებენ ქსილანაზას და ცელულაზას, ჩვეულებრივ იზოლირებულნი არიან ტყისა და ბუნების ნაკრძალებიდან, ცხელი წყაროებიდან, კომპოსტიდან, კანალიზაციის, ცხოველური ნაკელიდან და მსხვილფეხა რქოსანი ბუჩქებიდან მიღებული ნიადაგის ნიმუშებიდან. ეს ფერმენტები გამოიყოფა უჯრედის გარეთ და აქვთ მაღალი ხარისხი, აქცევს ცელულაზებსა და ქსილანაზებს სოკოებიდან სასარგებლო ინდუსტრიისთვის.

1970-იან წლებში ნედლი ნავთობის გლობალური პრობლემა დაფიქსირდა, რამაც აიძულა მრავალი ინდუსტრია, ფოკუსირება მოეხდინათ ცელულაზებისა და ქსილანაზების გამოყენებაზე ბიოსაწვავის წარმოებაში. ბიოეთანოლი, ბიო-ბუტანოლი, აცეტონი და 2,3-ბუტანედიოლი წარმოიქმნება ცელულოზის და ჰემიციელულოზის დაშლის შედეგად ცელულაზასა და ქსილანაზას მიერ. დღეის მდგომარეობით, ეთანოლის წარმოება არა მხოლოდ საჭიროა ნავთობის კრიზისის გამო, არამედ ის ასევე მკვეთრად ამცირებს სათბურის გაზების გამოყოფას. ეს აქცევს ბიოეთანოლს დღეს ყველაზე გავრცელებულ და ფართოდ გამოყენებად განახლებად საწვავად. ლიგნოცელულოზასგან მიღებული ბიოეთანოლი ეკოლოგიურად სუფთაა და ეს პროცესი მოიცავს წინასწარ დამუშავებას, პოლისაქარიდების ფერმენტულ დეგრადაციას ფერმენტირებად მონოსაქარიდებად და შემდეგ ამ შაქრების დუღილს ბიოეთანოლამდე. ბიომასის ფერმენტული საქარიფიკაცია განიხილება სასიცოცხლო მნიშვნელობის საფეხურად, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს წარმოების მთლიან ღირებულებაში და ეს პროცესი შეიძლება გაუმჯობესდეს თერმოფილური მიკროორგანიზმებისგან წარმოებული თერმოსტაბილური ფერმენტების გამოყენებით.

ამჟამად მეტაბოლურ და გენეტიკურ ინჟინერიაში, მოლეკულურ მიკრობიოლოგიასა და სტრუქტურულ ბიოქიმიაში მიღწეულმა პროგრესმა ხელი შეუწყო თერმოსტაბილური ცელულაზებისა და ქსილანაზის სინთეზს. თერმოსტაბილური ცელულაზებისა და ქსილანაზის გამოყენება ლიგნოცელულოზური ბიომასის დამატებული ღირებულების მწვანე პროდუქტად გარდაქმნისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ბევრ სექტორში, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მრავალი მიდგომა, რომელიც შესასწავლი და შემუშავებულია.

ლიტერატურა

1. კვესიტაძე გ., კვესიტაძე ე. ბიოტექნოლოგია. თბილისი; 1999.
2. Akram F., Haq I. u., Imran W., Mukhtar H. Insight Perspectives of Thermostable Endoglucanases for Bioethanol Production: A Review. *Renew. Energy* 122, 225–238. 10.1016/j.renene.2018.01.095; 2018.
3. Amiri H., Karimi K., Zilouei H. Organosolv Pretreatment of rice Straw for Efficient Acetone, Butanol, and Ethanol Production. *Bioresour. Technol.* 152, 450–456. 10.1016/j.biortech.2013.11.038; 2014.
4. Arora R., Behera S., Kumar S. Bioprospecting Thermophilic/thermotolerant Microbes for Production of Lignocellulosic Ethanol: A Future Perspective. *Renew. Sustain. Energy Rev.* 51, 699–717. 10.1016/j.rser.2015.06.050; 2015.
5. Bai Y., Wang J., Zhang Z., Yang P., Shi P., Luo H., et al. A New Xylanase from Thermoacidophilic Alicyclobacillus Sp. A4 with Broad-Range pH Activity and pH Stability. *J. Ind. Microbiol. Biotechnol.* 37, 187–194. 10.1007/s10295-009-0662-4; 2010.

6. Bala A., Singh B. Cellulolytic and Xylanolytic Enzymes of Thermophiles for the Production of Renewable Biofuels. *Renew. Energ.* 136, 1231–1244. 10.1016/j.renene. 2018.09.100; 2019
7. Banjanac K., Carević M., Čorović M., Milivojević A., Prlainović N., Marinković A., et al. Novel β -galactosidase Nanobiocatalyst Systems for Application in the Synthesis of Bioactive Galactosides. *RSC Adv.* 6, 97216–97225. 10.1039/C6RA20409K; 2016.

Biotechnological applications of cellulases and xylanases

Mzia Guruli

Abstract

In the 1970s, the global oil shortage caused many industries to focus on the use of cellulases and xylanases in the production of biofuels. Bioethanol, bio-butanol, acetoin, and 2,3-butanediol are produced by the breakdown of cellulose and hemicellulose by cellulase and xylanase. Today, ethanol production is not only necessary due to the oil crisis, but it also drastically reduces greenhouse gas emissions. This makes bioethanol the most common and widely used renewable fuel today. Bioethanol derived from lignocellulose is environmentally friendly and the process involves pretreatment, enzymatic degradation of polysaccharides into fermentable monosaccharides, and then fermentation of these sugars to bioethanol. Enzymatic saccharification of biomass is considered a vital step that contributes greatly to the overall production cost, and this process can be improved by using thermostable enzymes produced from thermophilic microorganisms.

Currently, advances in metabolic and genetic engineering, molecular microbiology, and structural biochemistry have facilitated the synthesis of thermostable cellulases and xylanases. The use of thermostable cellulases and xylanases for the conversion of lignocellulosic biomass into value-added green products can be applied in many sectors, but there are still many approaches that need to be explored and developed.

Key words: biotechnology, biofuels, butanediol, ethanol production, metabolic and genetic engineering, crude oil.

0541 ქიმია CHEMISTRY

მყარი სხეულების და პოლიმერების დაშლის მოლეკულურ-კინეტიკური თეორიები
(მეორე ნაწილი)ავთანდილ ფორჩხიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: avtandil.porchkhidze@atsu.edu.ge

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პოლიმერების დაშლის მოლეკულურ-კინეტიკური თეორიები. ნაჩვენებია, რომ პოლიმერების სიმტკიცის კვლევაზე ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების მიუხედავად, არ იყო მიღებული სათანადო შედეგები, ამიტომ მითითებულია სიმტკიცეზე სტატიკური კონცეფციიდან ახალ, კინეტიკურზე გადასვლის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: პოლიმერი, სიმტკიცე, კინეტიკური, ხანმედეგობა, დამაბულობა, ფლუქტუაცია, კონცეფცია.

ჟურკოვი ს.ნ. და მისი თანამშრომლების სისტემატური კვლევების გამოჩენამდე მიღებულ მრავალრიცხოვან დაკვირვებას სიმტკიცის ტემპერატურასა და დროზე დამოკიდებულების შესახებ არ ემლეოდა სათანადო მნიშვნელობა. 1952 წელს სწორედ ჟურკოვმა თავის პირველ პუბლიკაციაში [1] ამ თემაზე მკაფიოდ აღნიშნა შეუთანხმებლობა სიმტკიცის პრობლემისადმი სტატიკურ მიდგომასა და სიმტკიცის ფაქტის ტემპერატურასა და დროზე დამოკიდებულებას შორის. და ასევე მიუთითა, საყოველთაოდ მიღებული, სიმტკიცეზე სტატიკური კონცეფციიდან, ახალ კინეტიკურზე გადასვლის აუცილებლობაზე.

პირველი კვლევები ეხებოდა პოლიმერული მასალების ხანმედეგობას სტატიკური დამაბულობის პირობებში. ასეთი დამოკიდებულება გამოსახება ფორმულით:

$$\tau = Ae - \alpha \delta \quad (1)$$

სადაც α და A – მოცემული პოლიმერის კონსტანტებია, დამოკიდებული მასალის ბუნებაზე.


როცა $\delta \rightarrow 0$, ანუ მცირე დატვირთების დროს, წრფე მკვეთრად იღუნება ზედა ნაწილში, გადადის მრუდში და ორდინატა ღერძის მიმართ იღებს ასიმპტოტის სახეს. ეს გასაგებია, რადგან სხვაგვარად შეიძლებოდა ჩავვეთვალა, რომ მასალას შეუძლია „იცოცხლოს“ უსასრულოდ დიდხანს დატვირთვის არ არსებობისას. თუმცა, დამაბულობის ძალზე დიდი დიაპაზონის დროს, დამოკიდებულება $\lg \tau - \delta$ რჩება წრფივი.

მრავალი მასალისათვის მიღებული ექსპერიმენტალური მონაცემების საფუძველზე ჟურკოვმა გამოიყვანა განტოლება, რომელიც აკავშირებს დამარღვეველ დამაბულობას δ , დატვირთვის ქვეშ მყოფი მასალების ხანმედეგობას τ და აბსოლუტურ ტემპერატურას [1].

$$\tau = \tau_0 e^{\frac{U_0 - \gamma \delta}{RT}} \quad (2)$$

მყარი სხეულების უმრავლესობისათვის, მათ შორის მრავალი პოლიმერისთვის (სურ.1), ყველა პირდაპირი დამოკიდებულება $\lg \tau - \frac{1}{T}$ ემთხვევა წერტილში, რომლის მნიშვნელობაა $\lg \tau \approx -13$ პოლუსის წერტილში ხანმედეგობა აღინიშნება τ_0 და იგი უდრის 10–13.

ჟურკოვის განტოლების კონსტანტების U_0, τ_0 და ანალიზი აჩვენებს, რომ რღვევის პროცესის მეტად სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს, რომელიც რეაგირებს სტრუქტურის ყველა ცვლილებებზე ერთი და იგივე პოლიმერში, მაშინ როცა U_0 და τ_0 რჩებიან პრაქტიკულად უცვლელი.



სურ.1. ხანმედეგობის დამოკიდებულება დამაბულობისგან პოლიკაპროამიდისთვის (ორიენტირებული ბოჭკო) სხვადასხვა ტემპერატურებზე

1) -180 ; 2) -120 ; 3) -75; 4) -20; 5) 80°C [2]

თერმოფლუქტუაციური კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი არის წყვეტილი კავშირების საკითხი. პოლიმერები შეიცავენ ორი ტიპის კავშირებს – ქიმიურს და მოლეკულათშორისს, რომლებიც განსხვავდებიან სიგრძით და ენერგიით. ერთი ღერძის მიმართულებით ორიენტირებული პოლიმერებისათვის, რომლებშიც ქიმიური კავშირები განლაგებული არიან ერთი მიმართულებით, დადგენილი იქნა, რომ პოლიმერის დატვირთვისას ადგილი აქვს ქიმიური კავშირების წყვეტას, რომლებიც იჭიმებიან მოდებული დატვირთვით და დაჭიმული კავშირები იხლიჩებიან სითბური ფლუქტუაციების ზემოქმედებით.

არაორიენტირებული და მაღალელასტიური პოლიმერების დეფორმირებისას შეიძლება ერთდროულად ადგილი ექნეს დეფორმირების და რღვევის პროცესებს. ამ დროს იხლიჩებიან არა მარტო ქიმიური, არამედ მოლეკულათშორისი კავშირები.

ლიტერატურა

1. Журков С.И., Нарзулаев Б.Н. Временная зависимость прочности твердых тел. ж. тех. физ., 1953, т. XXIII. вып. 10. с. 1677-1689.
2. Becher F. Tensile strength of plastics below the glass temperature, I Appl. Phys. 1957. v. 28. p. 508-514.

Molecular-kinetic theories of decomposition of solids polymers (Second part)

Avtandil Porchkhidze

Abstract

There are discussed molecular-kinetic theories of polymer decomposition. It's show that despite the numerous deductions made on the study of the strength of polymers, proper results were not obtained. Therefore, the need to move from a statistical concept to a new kinetic one is indicated.

Keywords: polymer, strength, kinetic, durability, tension, fluctuation, concept.

0541 მათემატიკა MATHEMATICS

განსაზღვრული ინტეგრალის დახმარებით რიცხვითი მწკრივის ჯამის გამოთვლა

მაკა ლომთაძე

ქუთაისის უნივერსიტეტი,

ბიზნესის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი.

E-mail: maka.lomtadze@btu.edu.ge

E-mail: maka.lomtadze@unik.edu.ge

რეზიუმე

მწკრივთა თეორია ფართოდ გამოიყენება ინტეგრალების, დიფერენციალური განტოლებების და ფუნქციების ამოსახსნელად. ზოგ შემთხვევაში რიცხვითი მწკრივის ჯამის გამოთვლა შესაძლებელია და ზოგჯერ უმჯობესიც მოხდეს არასტანდარტული ხერხებით, როცა ასეთი მიდგომით საკმაოდ ნაკლები დრო დასჭირდება მათ ამოხსნას. სტატიის მიზანია სწორედ ეს არის, ზოგიერთი კერძო სახის მწკრივის ჯამის გამოსათვლელად დავადგინოთ ინტეგრალური ტოლობები, რომელთა გამოყენებით შემდგომში მარტივად შევძლოთ გამოვთვალოთ გარკვეული სახის რიცხვით მწკრივთა ჯამი. სტატიაში ინტეგრალური ტოლობების დადგენის შემდეგ ამოხსნილია რამოდენიმე მაგალითი მიღებული ტოლობების გამოყენებით.

აქ შემოთავაზებული ხერხები ამყარებს შიგა დისციპლინარულ კავშირს მწკრივთა თეორიასა და ინტეგრალურ აღრიცხვას შორის.

ასეთი სახის რიცხვითი მწკრივების გამოთვლის ცოდნა ესაჭიროება თეორიული ფიზიკისა და ტექნიკური სპეციალობების სტუდენტებს. ამიტომ სასურველია ასეთი საკითხების შესწავლა მათთვის და შესაძლებლობების განსავითარებლად ამ სახის მაგალითების მიწოდება ამოსახსნელად.

საკვანძო სიტყვები: რიცხვითი მწკრივი, რიცხვითი მწკრივის ჯამი, ინტეგრალური აღრიცხვა, განსაზღვრული ინტეგრალი.

მწკრივთა თეორია წარმოადგენს მათემატიკური ანალიზის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს. ის მოიცავს რიცხვით და ფუნქციონალურ მწკრივებს. სტატიაში განხილულია გამოთვლები ზოგიერთი სახის რიცხვითი მწკრივებისა არასტანდარტული ხერხებით. აქ წარმოდგენილი არასტანდარტული ხერხები შეიძლება გამოვიყენოთ მწკრივების ჯამის გამოსათვლელად იმ დროს, როცა ტრადიციული მიდგომით ამოხსნას ვერ ვახერხებთ ან ბევრად მარტივია ამ ხერხით ამოხსნა.

სტატიაში გამოყენებული ამოცანების ამოხსნის ხერხები ამყარებს შიგა დისციპლინარულ კავშირს მწკრივთა თეორიასა და ინტეგრალურ აღრიცხვას შორის. რიცხვთა მწკრივის ჯამის საშუალებით მივდივართ ინტეგრალის ცნებამდე, ვთვლით მრუდწირული ტრაპეციის ფართობს. ძირითადად მწკრივების გამოყენებით ხდება ინტეგრალის გამოთვლა. აქ კი განხილულია შებრუნებული ამოცანა, კერძოდ, მწკრივთა ჯამის გამოსათვლელად ვიყენებთ განსაზღვრულ ინტეგრალს.

განვიხილოთ შემდეგი სახის მწკრივები:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{(\pm 1)^k}{(k+1)(kn+m)}$$

და გამოვიყვანოთ მათი მწკრივთა ჯამის გამოსათვლელი ტოლობა.

ჯერ განვიხილოთ

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{1}{(k+l)(kn+m)}$$

სახის მწკრივი, რომლის ზოგადი წევრია:

$$a_k = \frac{1}{(k+l)(kn+m)}$$

მოვახდინოთ ამ წევრის გარდაქმნა:

$$a_k = \sum_{k=0}^{\infty} \frac{1^k}{(k+l)(kn+m)} = \frac{1}{n} \frac{1}{(k+l) \left(k + \frac{m}{n}\right)} = \frac{1}{n} \frac{n}{m-nl} \frac{\left(k + \frac{m}{n}\right) - (k+l)}{\left(k+l\right) \left(k + \frac{m}{n}\right)}$$

თუ წილადს გავწვეტთ და მოვახდენთ გამარტივებას, ამასთანავე გავითვალისწინებთ, რომ

$$\frac{1}{k + \frac{m}{n}} = \int_0^1 x^{k + \frac{m}{n} - 1} dx \quad \frac{1}{k+l} = \int_0^1 x^{k+l-1} dx \quad \sum_{k=0}^{\infty} x^k = \frac{1}{1-x}$$

მივიღებთ შემდეგს:

$$a_n = \frac{1}{m-nl} \left[\int_0^1 x^{k+l-1} dx - \int_0^1 x^{k + \frac{m}{n} - 1} dx \right] = \frac{1}{m-nl} \int_0^1 x^k \left(x^{l-1} - x^{\frac{m}{n}-1} \right) dx$$

მაშასადამე,

$$\begin{aligned} \sum_{k=0}^{\infty} \frac{1}{(k+l)(kn+m)} &= \frac{1}{m-nl} \int_0^1 x^k \left(x^{l-1} - x^{\frac{m}{n}-1} \right) dx = \\ &= \frac{1}{m-nl} \int_0^1 \left[\sum_{k=0}^{\infty} x^k \right] \left(x^{l-1} - x^{\frac{m}{n}-1} \right) dx = \frac{1}{m-nl} \int_0^1 \frac{\left(x^{l-1} - x^{\frac{m}{n}-1} \right)}{1-x} dx \end{aligned}$$

მივიღეთ მოცემული სახის მწკრივთა ჯამის გამოსათვლელი ფორმულა განსაზღვრული ინტეგრალის გამოყენებით:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{1}{(k+l)(kn+m)} = \frac{1}{m-nl} \int_0^1 \frac{\left(x^{l-1} - x^{\frac{m-1}{n}} \right)}{1-x} dx \quad (1)$$

ახლა განვიხილოთ მეორე შემთხვევა:

$$a_k = \frac{(-1)^k}{(k+l)(kn+m)}$$

აქ

$$\sum_{k=0}^{\infty} x^k = \frac{1}{1+x}$$

და ანალოგიური ამოხსნით მივიღებთ:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{(-1)^k}{(k+l)(kn+m)} = \frac{1}{m-nl} \int_0^1 \frac{\left(x^{l-1} - x^{\frac{m-1}{n}} \right)}{1+x} dx \quad (2)$$

(1) და (2) ფორმულების გამოყენებით მარტივად შეგვიძლია ასეთი ტიპის ამოცანების ამოხსნა.

ამ ხერხის გამოყენებით განვიხილოთ და ამოვხსნათ მაგალითი 1. :

გამოვთვალოთ შემდეგი მწკრივის ჯამი:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{12}{(k+4)(2k+4)}$$

სადაც: **$l=m=4$ და $n=2$.**

(1) ფორმულის გამოყენებით მივიღებთ:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{12}{(k+4)(2k+4)} = \frac{12}{4 \cdot 2} \int_0^1 \frac{x^{4-1} - x^{\frac{4}{2}-1}}{1-x} dx = 6 \int_0^1 \frac{x^3 - x}{1-x} dx = 6 \int_0^1 \frac{x(x-1)(x+1)}{1-x} dx = -6 \int_0^1 (x^2 + x) dx = -6 \left(\frac{x^3}{3} + \frac{x^2}{2} \right) \Big|_0^1 = -5$$

ახლა განვიხილოთ კიდევ უფრო ზოგადი შემთხვევა, გამოვთვალოთ შემდეგი სახის მწკრივის ჯამი:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{(\pm 1)^k}{(pk+l)(kn+m)}$$

ჯერ განვიხილოთ მწკრივი:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{1}{(pk+l)(nk+m)}$$

მოვახდინოთ განსახილველი მწკრივის ზოგადი წევრის გარდაქმნა:

$$a_k = \sum_{k=0}^{\infty} \frac{1}{(kp+l)(nk+m)} = \frac{1}{pn} \frac{1}{\left(k+\frac{l}{p}\right)\left(k+\frac{m}{n}\right)} = \frac{1}{pn} \frac{pn}{pn - nl} \frac{\left(k+\frac{m}{n}\right) - \left(k+\frac{l}{p}\right)}{\left(k+\frac{l}{p}\right)\left(k+\frac{m}{n}\right)}$$

წილადის გაწყვეტით:

$$\frac{1}{k+\frac{m}{n}} = \int_0^1 x^{k+\frac{m}{n}-1} dx \quad \frac{1}{k+\frac{l}{p}} = \int_0^1 x^{k+\frac{l}{p}-1} dx \quad \text{და} \quad \sum_{k=0}^{\infty} x^k = \frac{1}{1-x}$$

და ამ ტოლობების გათვალისწინებით მივიღებთ შემდეგს:

$$a_n = \frac{1}{pn - nl} \left[\int_0^1 x^{k+\frac{l}{p}-1} dx - \int_0^1 x^{k+\frac{m}{n}-1} dx \right] = \frac{1}{pn - nl} \int_0^1 x^k \left(x^{\frac{l}{p}-1} - x^{\frac{m}{n}-1} \right) dx$$

მამასადამე,

$$\begin{aligned} \sum_{k=0}^{\infty} \frac{1}{(pk+l)(nk+m)} &= \frac{1}{pm-nl} \int_0^1 x^k \left(x^{\frac{l-1}{p}} - x^{\frac{m-1}{n}} \right) dx = \\ &= \frac{1}{pm-nl} \int_0^1 \left[\sum_{k=0}^{\infty} x^k \right] \left(x^{\frac{l-1}{p}} - x^{\frac{m-1}{n}} \right) dx = \frac{1}{pm-nl} \int_0^1 \frac{\left(x^{\frac{l-1}{p}} - x^{\frac{m-1}{n}} \right)}{1-x} dx \end{aligned}$$

მივიღეთ განსაზღვრული ინტეგრალის გამოყენებით მოცემული სახის მწკრივთა ჯამის გამოსათვლელი ფორმულა:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{1}{(pk+l)(nk+m)} = \frac{1}{pm-nl} \int_0^1 \frac{\left(x^{\frac{l-1}{p}} - x^{\frac{m-1}{n}} \right)}{1-x} dx \tag{3}$$

ახლა განვიხილოთ მეორე შემთხვევა:

$$a_k = \frac{(-1)^k}{(pk+l)(nk+m)}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ:

$$\sum_{k=0}^{\infty} x^k = \frac{1}{1+x}$$

და ანალოგიურად ამოვხსნით, მივიღებთ:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{(-1)^k}{(pk+l)(nk+m)} = \frac{1}{pm-nl} \int_0^1 \frac{\left(x^{\frac{l-1}{p}} - x^{\frac{m-1}{n}} \right)}{1+x} dx \tag{4}$$

(3) და (4) ტოლობების გამოყენებით მარტივად შეგვიძლია ასეთი ტიპის ამოცანების ამოხსნა.

განვიხილოთ მაგალითი 2:

გამოთვალეთ მოცემული მწკრივის ჯამი:

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{8}{(4k+1)(4k+3)}$$

მოცემული მაგალითის ამოსახსნელად გამოვიყენოთ (3) ფორმულა. ამ შემთხვევაში: $p=4$, $l=1$, $m=3$ და $n=4$. ვისარგებლოთ (3) ტოლობით:

$$\begin{aligned} \sum_{k=0}^{\infty} \frac{8}{(4k+1)(4k+3)} &= \frac{8}{4 \cdot 3 - 4 \cdot 1} \int_0^1 \frac{x^{\frac{1}{4}-1} - x^{\frac{3}{4}-1}}{1-x} dx = \int_0^1 \frac{x^{-\frac{3}{4}} - x^{-\frac{1}{4}}}{1-x} dx = \\ &= \int_0^1 \frac{\frac{1}{\sqrt[4]{x^3}} - \frac{1}{\sqrt[4]{x}}}{1-x} dx = \int_0^1 \frac{1 - \sqrt{x}}{\sqrt[4]{x^3}(1-x)} dx = \int_0^1 \frac{dx}{\sqrt[4]{x^3}(1+\sqrt{x})} \end{aligned}$$

აღნიშნოთ: $\sqrt[4]{x} = t$, მაშინ $x = t^4$ და $dx = 4t^3 dt$.

ამ აღნიშვნის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$\int_0^1 \frac{4t^3 dt}{t^3(1+t^2)} = 4 \int_0^1 \frac{dt}{1+t^2} = 4 \arctan gt \Big|_0^1 = 4(\arctan g1 - \arctan g0) = 4 \cdot \frac{\pi}{4} = \pi$$

მაგალითი 3:

გამოთვალეთ მოცემული მწკრივის ჯამი :

$$\sum_{k=0}^{\infty} \frac{(-1)^k}{(3k+12)(2k+4)}$$

ამ მაგალითის ამოსახსნელად გამოვიყენებთ (4) ფორმულას. მოცემული მაგალითისთვის $p=3$, $l=2$, $m=4$ და $n=2$. ვისარგებლოთ (4) ტოლობით:

$$\begin{aligned} \sum_{k=0}^{\infty} \frac{(-1)^k}{(3k+12)(2k+4)} &= \frac{1}{3 \cdot 4 - 2 \cdot 12} \int_0^1 \frac{x^{\frac{12}{3}-1} - x^{\frac{4}{2}-1}}{1+x} dx = -\frac{1}{12} \int_0^1 \frac{x^3 - x}{1+x} dx = \\ &= -\frac{1}{12} \int_0^1 \frac{x(x-1)(x+1)}{1+x} dx = -\frac{1}{12} \int_0^1 x(x-1) dx = -\frac{1}{12} \int_0^1 (x^2 - x) dx = \\ &= -\frac{1}{12} \left(\frac{x^3}{3} - \frac{x^2}{2} \right) \Big|_0^1 = -\frac{1}{12} \left(\frac{1}{3} - \frac{1}{2} \right) = \frac{1}{72} \end{aligned}$$

ამ სახის მწკრივების გამოთვლა ესაჭიროება სხვადასხვა ტექნიკური სპეციალობის და თეორიული ფიზიკის სტუდენტებს.

ლიტერატურა

1. Thomas G.B., Weir M.D., Hass J., Thomas' Calculus, Early transcental, Thirteenth Edition, Pearson, New York, 2014, ISBN 978-0-321-88407-7.
2. Chiang A., "Fundamental Methods of Mathematical Economics", The McGraw-Hill Company, International edition 2005, 688 pp.
3. ონიანი გ. მათემატიკური ანალიზის საფუძვლები ტ.2. ქუთაისი, 2008.
4. Бугров Я.С. Никольский С.М. Дыференциальные уравнения. Кратные интегралы. Ряды. Функции комплексного переменного. М. 1981.
5. Виноградова Т.А., Олехник С.Н. Садовничий В.А. Задачи и упражнения по.ч математическому анализу. 2.М., 2004.
6. М.Дьяченко, Р.Ульянов, «Мера и интеграл», Москва, 2002.
7. Виноградова Т.А., Олехник С.Н. Садовничий В.А. Задачи и упражнения по.ч математическому анализу. 2.М, 2004.

Calculating the sum of a number series using a definite integral

Maka Lomtadze

Abstract

The theory of series is widely used for solving integrals, differential equations, and functions. In some cases, the sum of a numerical series can be calculated, and sometimes it is better to use non-standard methods, as these approaches can significantly reduce the time needed to solve them. The goal of this article is to establish integral equations to calculate the sum of certain types of series, which can then be easily computed using these equations. After deriving the integral equations, several examples are solved using the obtained equations.

The methods presented here strengthen the internal disciplinary connection between the theory of series and integral calculus.

Knowledge of how to calculate such numerical series is essential for students of theoretical physics and technical disciplines. Therefore, it is desirable to study such topics for them and provide examples to develop their problem-solving abilities.

Keywords: Numerical series, Sum of numerical series, Integral calculus, Definite integral.

0541 მათემატიკა MATHEMATICS

მწკრივის ორჯერ გაწარმოებით მიღებული მწკრივის ბორელის მეთოდით
შეჯამებადობის შესახებ

ქეთევან შვანგირაძე
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: ketevan.shvangiradze@atsu.edu.ge

რეზიუმე

ნაშრომში ნაჩვენებია 2π პერიოდული ორი ცვლადის ფუნქციის ფურიეს ორმაგი მწკრივის ორჯერ გაწარმოებით მიღებული მწკრივის ბორელის მეთოდით წერტილში შეჯამებადობის შესახებ, როცა ამ წერტილში ფუნქციას აქვს მეორე რიგის შერეული ინტეგრალური წარმოებული.

საკვანძო სიტყვები: ფურიეს ორმაგი მწკრივი, შერეული წარმოებული, შეჯამებადობა, ბორელის მეთოდი.

განვიხილოთ 2π პერიოდული ფუნქციის ფურიეს მწკრივი და გამოვიყენოთ მწკრივის შეჯამებადობის **B**-მეთოდი, ვაჩვენოთ, რომ გული $\rho(t, \tau)$ ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

$$1) \quad \lim_{z \rightarrow \infty} \int_0^{\pi} \rho(t, \tau) dt = 1$$

$$2) \quad \lim_{z \rightarrow \infty} \int_0^{\pi} \omega_x(t) \rho(t, \tau) dt = 0$$

დამტკიცება. 1) $\rho(t, \tau) = e^{-\tau} \sum_{m=0}^{\infty} \left(\frac{-1}{\pi} \sum_{n=1}^m n^2 t^2 \cos nt \right) \frac{\tau^m}{m!}$ ტოლობიდან

$$\int_0^{\pi} \rho(t, \tau) dt = \frac{-e^{-\tau}}{\pi} \int_0^{\pi} \left(\sum_{m=1}^{\infty} \left(\sum_{n=1}^m n^2 t^2 \cos nt \right) \frac{\tau^m}{m!} \right) dt \quad (1)$$

რადგან ყოველი $\tau > 0$ რიცხვისათვის გვაქვს:

$$\left| \sum_{n=1}^m n^2 t^2 \cos nt \cdot \frac{\tau^m}{m!} \right| \leq \pi^2 \left(\sum_{n=1}^m n^2 \right) \cdot \frac{\tau^m}{m!} = \frac{\pi^2}{6} \cdot \frac{\tau^m}{(m-3)!} \cdot \frac{(m+1)(2m+1)}{(m-1)(m-2)} \leq \frac{M\pi^2}{6} \cdot \frac{\tau^m}{(m-1)!}$$

სადაც:

$$\frac{(m+1)(2m+1)}{(m-1)(m-2)} \leq M, \text{ და ნებისმიერი } \tau = \tau_0\text{-სათვის მწკრივი } \frac{M\pi^2}{6} \cdot \sum_{m=3}^{\infty} \frac{\tau_0^m}{(m-3)!} \text{ კრებადაა,}$$

ამიტომ, (1) ტოლობაში მონაწილე მწკრივი თანაბრად კრებადაა, როცა $0 \leq \tau \leq \pi$; შევვიძლია მისი წევრობრივი ინტეგრება:

$$\int_0^{\pi} \rho dt = \frac{-e^{-\tau}}{\pi} \sum_{m=0}^{\infty} \left(\sum_{n=1}^m n^2 \int_0^{\pi} t^2 \cos n t dt \right) \frac{\tau^m}{m!}$$

გამოვიყენოთ ნაწილობითი ინტეგრება ორჯერ, მივიღებთ:

$$\begin{aligned} \int_0^{\pi} \rho dt &= -2e^{-\tau} \sum_{m=0}^{\infty} \left(\sum_{n=1}^m (-1)^n \right) \frac{\tau^m}{m!} = \\ &= -2e^{-\tau} \sum_{k=1}^m (-1)^k \frac{\tau^{2k+1}}{(2k+1)!} = -2e^{-\tau} \sum_{k=1}^m \frac{\tau^{2k+1}}{(2k+1)!} \end{aligned} \quad (2)$$

ვთქვათ (2) მწკრივის ჯამია $S(\tau)$

$$S(\tau) = \tau + \frac{\tau^3}{3!} + \frac{\tau^5}{5!} + \dots; \quad S'(\tau) = 1 + \frac{\tau^2}{2!} + \frac{\tau^4}{4!} + \dots; \quad S''(\tau) = \tau + \frac{\tau^3}{3!} + \dots;$$

მივიღეთ დიფერენციალური განტოლება $S'' - S = 0$, რომლის კერძო ამონახსენი, საწყისი პირობებით $S(0) = 0, S'(0) = 1$ არის $S(\tau) = \frac{1}{2}(e^{\tau} - e^{-\tau})$.

$$\int_0^{\pi} \rho(t, \tau) dt = 1 - e^{-2\tau}$$

საიდანაც ვღებულობთ გულის პირველ თვისებას.

მეორე თვისების დამტკიცება.

$$2) \rho(t, \tau) = e^{-\tau} \sum_{m=0}^{\infty} \left(\frac{-1}{\pi} \sum_{n=1}^m n^2 t^2 \cos n t \right) \frac{\tau^m}{m!} \text{ ტოლობიდან გვაქვს:}$$

$$\int_0^{\pi} \omega_x(t) \rho(t, \tau) dt = \int_0^{\pi} e^{-\tau} \omega_x(t) \sum_{m=1}^{\infty} \left(\frac{-1}{\pi} \sum_{n=1}^m n^2 t^2 \cos n t \right) \frac{\tau^m}{m!} dt$$

რადგან მწკრივი ყოველი τ -სათვის არამარტო თანაბრადკრებადაა $[0, \pi]$ შუალედში, არამედ აბსოლუტურადაა, ამიტომ გვექნება:

$$\left| \int_0^{\pi} \omega_x(t) \rho(t, \tau) dt \right| = \frac{1}{\pi} e^{-\tau} \left| \sum_{m=1}^{\infty} \left(\sum_{n=1}^m n^2 \int_0^{\pi} \omega_x(t) t^2 \cos n t dt \right) \frac{\tau^m}{m!} \right| \leq$$

$$\leq \frac{1}{\pi} e^{-\tau} \sum_{m=1}^{\infty} \left(\sum_{n=1}^m n^2 \int_0^{\pi} |\omega_x(t)| t^2 |\cos nt| dt \right) \frac{\tau^m}{m!} \leq$$

$$\leq \frac{\pi^2 C}{3} e^{-\tau} \sum_{m=0}^{\infty} \left(\sum_{n=1}^m n^2 \right) \cdot \frac{\tau^m}{m!} = \frac{\pi^2 C}{18} e^{-\tau} \sum_{m=1}^{\infty} \frac{(m+1)(2m+1)}{(m-1)!} \cdot \tau^m = \zeta$$

$$\frac{\pi^2 C}{18} e^{-\tau} (6\tau + 15\tau^2 + 14\tau^3 + 7,4\tau^4) + \sum_{m=5}^{\infty} \frac{(m+1)(2m+1)}{(m-1)(m-2)(m-3)(m-4)} \cdot \frac{\tau^m}{(m-5)!}$$

აბელის გარდაქმნიდან გამომდინარე შედეგის თანახმად:

$$\left| \sum_{i=1}^m \alpha_i \beta_i \right| \leq L \alpha_i \tag{3}$$

სადაც α_i – არაზრდადი დადებითი რიცხვებია. L კი $B_i = \sum_{k=1}^i \beta_k$ რიცხვების მოდულთა ზედა საზღვარი, $|B_i| \leq L$

$$\text{ვთქვათ, } \alpha_m = \frac{\tau^m}{(m-5)!}, \alpha_{m+1} - \alpha_m = \frac{\tau^m(\tau - m + 4)}{(m-4)!}$$

თუ $m = [\tau + 5]$ – (მთელი ნაწილი), მაშინ $\alpha_{m+1} - \alpha_m < 0$, როცა $m > \tau + 4$ ე.ი. α_m არაზრდადი და დადებითი რიცხვებია.

$$\beta_m = \frac{(m+1)(2m+1)\tau - m + 4}{(m-1)(m-2)(m-3)(m-4)}$$

$$B_m = \sum_{k=5}^m \frac{(k+1)(2k+1)}{(k-1)(k-2)(k-3)(k-4)}$$

რადგან მწკრივი $\sum_{k=5}^m \frac{(k+1)(2k+1)}{(k-1)(k-2)(k-3)(k-4)}$ კრებადია, ამიტომ, B_m

მიმდევრობა შემოსაზღვრულია $B_m \leq L$; (3) შეფასების თანახმად

$$\sum_{m=5}^P \frac{(m+1)(2m+1)}{(m-1)(m-2)(m-3)(m-4)} \cdot \frac{\tau^m}{(m-5)!} \leq L \cdot \tau$$

ვთქვათ $P \rightarrow \infty$, მივიღებთ შეფასებას:

$$\left| \int_0^{\pi} \omega_x(t) \rho(t, \tau) dt \right| \leq \frac{\pi^2 C}{18} \cdot \left(\frac{6\tau}{e^{\tau}} + \frac{6\tau^2}{e^{\tau}} + \frac{14\tau^3}{e^{\tau}} + \frac{7,5\tau^4}{e^{\tau}} + \frac{L\tau}{e^{\tau}} \right)$$

თუ $\tau \rightarrow \infty$, მივიღებთ გულის მეორე თვისების დამტკიცებას. ტოლობიდან

$$\sigma(\tau) = C_1^\square D_1 f(x) \int_0^\pi \rho(t, z) dt - \int_0^\pi \omega_x(t) \rho(t, z) dt$$

გვეყენება:

$$\lim_{\tau \rightarrow 0} \sigma(\tau) = C_1^\square D_1 f(x)$$

ვთქვათ 2π პერიოდული ორი ცვლადის ფუნქცია $f(x, y) \in GL(Q)$,

სადაც $Q = (-\pi; \pi; -\pi; \pi)$. ვიგულისხმობთ მას (x, y) წერტილში აქვს მეორე რიგის ინტეგრალური სიმეტრიული წარმოებულის

$$C_1^\square D_2 f(x, y) = \lim_{n, b \rightarrow 0} \frac{1}{h^2 l^2} \int_0^h \int_0^l f(x+t, y+\tau) - f(x+t, y-\tau) - f(x-t, y+\tau) + f(x-t, y-\tau) dt d\tau$$

შევადგინოთ f ფუნქციის ფურიეს ორმაგი მწკრივი:

$$\sum_{m, n=0}^{\infty} \lambda_{mn} (a_{mn} \cos mx \cos ny + b_{mn} \cos mx \sin ny + c_{mn} \sin mx \cos ny + d_{mn} \sin mx \sin ny) \quad (4)$$

სადაც

$$\lambda_{mn} \begin{cases} \frac{1}{4}, & \text{თუ } m=n=0 \\ \frac{1}{2}, & \text{თუ } m=0, n>0 \text{ ან } m>0, n=0 \\ 1, & \text{თუ } m>0, n>0 \end{cases}$$

$$a_{mn} = \frac{1}{\pi^2} \iint_Q f(x, y) \cos mx \cos ny \, dx dy, \quad b_{mn} = \frac{1}{\pi^2} \iint_Q f(x, y) \cos mx \sin ny \, dx dy,$$

$$c_{mn} = \frac{1}{\pi^2} \iint_Q f(x, y) \sin mx \cos ny \, dx dy, \quad d_{mn} = \frac{1}{\pi^2} \iint_Q f(x, y) \sin mx \sin ny \, dx dy,$$

გავაწარმოთ (4) მწკრივი ჯერ x -ით, შემდეგ y -ით მივიღებთ

$$\sum_{m, n=1}^{\infty} mn + d_{mn} \cos mx \cos ny \quad (5)$$

თეორემა: თუ $f \in L(Q)$ 2π პერიოდულ ფუნქციას $(x, y) \in Q$ წერტილში აქვს სასრული $C_1^\square D_2 f(x, y)$ წარმოებულის, მაშინ მისი ფურიეს მწკრივის ორჯერ გაწარმოებით მიღებული მწკრივი (5) ბორელის მეთოდით შეჯამებადია (x, y) წერტილში $C_1^\square D_2 f(x, y)$ წარმოებულის მნიშვნელობისაკენ.

ამ თეორემის დასკვნა სამართლიანია იმ შემთხვევაშიც, როცა f ფუნქციას წერტილში აქვს $f''_{x,y}(x,y)$, $C_1^{\square} D_2 f(x,y)$ წარმოებულთაგან რომელიმე, რადგან ყოველი მათგანის არსებობა განაპირობებს $C_1^{\square} D_2 f(x,y)$ წარმოებულის არსებობას.

ლიტერატურა

1. Н.И. Привалов. О джифференцировании Фурье М.С. Т. 320-324.
2. Г.М. Фихтенгольц. Курс дифференциального и интегрального исчисления «Н». Ф.М.Л.М. 1969. Т.III.
3. Г. Харди. Расходящиеся ряды. Изд. Ин. лит. Москва, 1951.

On Summarization by Borel's method of the row obtained by producing the row twice

Ketevan Shvangiradze

Abstract

The paper shows the summability at a point of the series obtained by multiplying the Fourier double series of a 2π periodic function of two variables by the Borel method, when the function has a mixed integral derivative of the second order at this point.

Key words: Double Fourier series, mixed derivative, summability, Borel's method.